პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფურცლებზე—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადებების ფასისა იკლებს 10% საქალაქო განცხადებს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 10 მაისი 1928 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 106 (2149)

დღიური

— საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება.
— წელს ინგლისის გემთსაშენ სახელოსნოებიდან დათხოვნილი იქნება 2.000 მუშა.
— ინგლისის კომპარტიის პოლიტბიუროს მოწოდება [illegible] გის შესახებ ინდოეთში.
— ბერლინის უზენაეს სასამართლოში დაიწყო [illegible] საქმის გარჩევა.
— იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი სპეციალური პოლიტიკური პოლიციის მოწყობის შესახებ.
— განაჩენი ველი იბრაჰიმოვის საქმეზე მოყვანილია სისრულეში.

---

12 მაისს, საღამოს 6 საათზე,
სახალხო წითელ დარბაზში
გაიხსნება
საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის
მორიგი პლენუმი
საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო
კომიტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი

---

10 მაისს, საღამოს 6 საათზე
საკავშირო კომპარტიის, (ბ) ა. კ. საოლქო საკონტროლო
კომისიის ბინაზე (რუსთაველის გამზ. 24) შესდგება
**საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის
საოლქო საკონტროლო კომისიის
მესამე პლენუმი**

დღის წესრიგი:

1. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მუშურ-გლეხური მასების ჩაბმის შესახებ.
2. საქართველოში საბჭოთა დემოკრატიის გატარების გამოკვლევის შედეგების შესახებ.
3. ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შემოწმების შედეგები.

სავალდებულოა ს. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო საკონტროლო კომისიის ყველა წევრების დასწრება.

ს. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო საკონტროლო
კომისიის თავმჯდომარე ნაზარეტიანი

იაპონიის ინტერვენცია ჩინეთში.

ამ ბოლო დროს მეტად საყურადღებო ცნობები მოვიდა ჩინეთიდან. როგორც ვიცით, სამხრეთელები ენერგიულ შეტევას ანვითარებდნენ ჩრდილოეთელების წინააღმდეგ და მათ მთელ რიგ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს ბრძოლის ველზე. მათ შორის ყველაზე უფრო აღსანიშნავია შანდუნის პროვინციის დედა-ქალაქის ძინანის აღება, რითაც ჩანძოლინის ჯარების სტრატეგიული მდგომარეობა ძალზე გაუარესდა.

მაგრამ როგორც ეს ყოველთვის ხდება ჩინეთში, უკანასკნელის შინაურ ძალების გადამწყვეტი ბრძოლის მომენტში ეხლაც სცენაზე გამოვიდა გარეშე იმპერიალისტური ძალა. ჩვენ ვლაპარაკობთ იაპონიის ინტერვენციაზე ჩინეთში. იაპონიის მთავრობა თითქო თანაგრძნობით ეკიდება ნანკინელების წინსვლას. ამისათვის მას თავისი მოსაზრებები ჰქონდა. იაპონიისა და მუკდენის ურთიერთობა უაღრესად გამწვავებული იყო, კერძოდ რკინის გზების საკითხების გარშემო. მუკდენმა დაიწყო ისეთი სარკინისგზო მშენებლობა, რომელიც ძალიან ამცირებდა სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის (რომელიც იაპონიას ეკუთვნის) როლს. მუკდენის ასეთი მოქმედების ასაკვეთად და საერთოდ თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის უფრო განმტკიცებისათვის იაპონია მოწადინებული იყო მანჯურიის დიქტატორის ძლიერების შერყევას, რომ მისთვის თავის ნებისყოფა მოეხვია თავზე. ამ მიზნით მიღწევას მას უადვილებდა ნანკინელების შეტევა მუკდენის წინააღმდეგ.

ეხლა კი სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. როცა ნანკინელების გამარჯვებამ შექმნა სერიოზული საფრთხე ჩანძოლინის ძალაუფლებისათვის და დღის წესრიგში დააყენა მისი ლიკვიდაციის და ჩინეთის გაერთიანების საკითხი, იაპონიის მთავრობა აშკარად გამოვიდა ნანკინის წინააღმდეგ და ეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩინეთის გაერთიანება, თუ გინდ ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით, სრულებით არ არის ხელსაყრელი იმპერიალიზმისათვის. დაქუცმაცებული და მტრულ ბანაკებად დაყოფილი ჩინეთი მასზე იმპერიალისტების ბატონობის ძირითადი პირობაა. შემდეგ: საფიქრებელია, რომ იაპონიის მთავრობამ მიიღო დაპირება ჩანძოლინისაგან, რომ უკანასკნელი მის პოლიტიკას დაექვემდებარება, თუ ნანკინელებს წინ წაწევის საშუალებას მოუსპობს.

მხედველობაშია მისაღები ტანაკას კაბინეტის შინა-პოლიტიკური მოსაზრებებიც. ტანაკას მთავრობა მწვავე კრიზისს განიცდის. მძლავრი საპარლამენტო ოპოზიცია შეტევას აწარმოებს მის წინააღმდეგ და ცდილობს მის ჩამოგდებას. შესაძლებელია, რომ ტანაკას სურს ქვეყნის ყურადღების ცენტრი საგარეო მდგომარეობაზე (ჩინეთის ამბებზე) გადაიტანოს, ამ გზით შეანელოს შინაური პოლიტიკური უთანხმოებანი და თავისი პოზიცია განამტკიცოს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ სეიუკაის პარტია (მმართველი პარტია) ჩინეთის მიმართ ადგას უხეში ძალადობის პოლიტიკას. ამის წინააღმდეგ ილაშქრებს მინსეიტო (ოპოზიციონური პარტია), რომელსაც ესმის, რომ ამგვარი პოლიტიკა, აძლიერებს რა ანტი-იაპონურ მოძრაობას ჩინეთში, მეტად საზიანოა იაპონიისათვის და ამიტომ ის მომხრეა ერთგვარი შეთანხმების მიღწევისა სამხრეთელებთან. ტანაკას მთავრობა ხელოვნურად ართულებს მდგომარეობას ჩინეთში, ცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩინეთი ლახავს იაპონიის უფლებებს, რათა ამნაირად იაპონიის „საზოგადოებრივი აზრი“ ამხედროს ჩინეთის წინააღმდეგ და ზურგი გაიმაგროს ზარბაზნების საშუალებით მის დამონების საქმეში.

ასეა თუ ისე, იაპონიის მთავრობამ ჯარები გაგზავნა შანდუნში და მოახდინა მისი ოკუპაცია. საინტერესოა ამის გამო საექსპედიციო ჯარების უფროსის გენ. ფუკუდას განცხადება. ის ამბობს, რომ იაპონელ ჯარების გაგზავნა შანდუნში გამოწვეულია მხოლოდ იაპონელ მოქალაქეთა უშიშროების დაცვის საჭიროებით და მიზნად არ ისახავს ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევას, თითქო თვით ფაქტი ჩინეთში სამხედრო ძალების გაგზავნისა არ იყოს ამ ქვეყნის სუვერენიტეტის გათელვა და მის საქმეებში უხეში ჩარევა. ფუკუდა სულგრძელად აცხადებს, რომ როგორც სამხრეთელ, ისე ჩრდილოეთელ ჯარებს შეუძლიათ თავისუფლად ისარგებლონ შანდუნის რკინის-გზით, მაგრამ ორივე მხარეს ეკრძალება რკინის-გზის გაფუჭება და მისი მოძრაობის შეწყვეტა. ისე გამოდის, რომ იაპონია, რომელსაც არავითარი ფორმალური უფლებები არა აქვს შანდუნისა და მის რკინისგზის მიმართ, მისი სრული ბატონ-პატრონია. აქაც აშკარაა იმპერიალისტების მიერ ჩინეთის აბუჩად აგდება. ამასთან, ხსენებულ განცხადების მიხედვით ის სჩანს, თითქო იაპონია ნეიტრალიტეტს იცავს ჩინეთის მებრძოლ ძალების მიმართ. ნამდვილად კი შანდუნის ოკუპაციით და ძინანის დაპყრობით ის აფერხებს და თითქოს შეუძლებელსაც ხდის ნანკინელების მიერ ჩრდილოეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების განვითარებას.

იაპონიის ინტერვენციამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია ჩინეთში. ამ ნიადაგზე მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები ნანკინელებსა და იაპონელ ჯარებს შორის, რის მიზეზად გახდა იაპონელების პროვოკაციული მოქმედება ძინანში. უკანასკნელ ცნობების მიხედვით, ბრძოლამ მათ შორის ფართო და სასტიკი ხასიათი მიიღო. მაგრამ უეჭველია, რომ ნანკინის მთავრობა ბოლოს და ბოლოს დაუთმობს იაპონელ იმპერიალისტებს.

ამგვარად, ჩინეთის შინაურ ბრძოლას დაემატა იმპერიალისტური ინტერვენცია. იაპონელების შეჭრას ჩინეთში უყურადღებოდ ვერ დასტოვებენ სხვა იმპერიალისტები—ინგლისელები და ამერიკელები, რომელთა ინტერესები ილახება ჩინეთში იაპონიის გაძლიერებით. მოსალოდნელია საერთაშორისო ხასიათის გართულება. ჩინეთის მასები კი, ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან, რომ ნაციონალური ბურჟუაზია, რომელმაც გასცა რევოლიუცია და ამით ხელი შეუწყო იმპერიალისტების განმტკიცებას ჩინეთში, არ გამოდგება უცხოელთა ძალადობისაგან ქვეყნების განმანთავისუფლებელის როლში. ამ ამოცანის გადაჭრა მხოლოდ რევოლიუციონურ მუშურ-გლეხურ მასებს შეუძლიათ კომპარტიის მეთაურობით. ეს იქნება ამავე დროს ჩინეთის ბურჟუაზიის ბატონობის დამხობაც.

შახტის პროცესის წინ

შახტის კონტრ-რევოლიუციის საქმეზე გამოტანილი საბრალმდებლო დასკვნა, რომელსაც უდიდესი ყურადღებით წაიკითხავენ საბჭოთა კავშირის მშრომელნი, ეს არის ადამიანთა შეუთითებელი, ადამიანის სისხლით დაწერილი დოკუმენტი. ბრალდება გვიხატავს ამაღელვებელ სურათს, თუ როგორ აკეთებდა საბჭოთა ხელისუფლების და მუშათა კლასის ზურგს უკან 1920 წლიდან 1928 წლამდე კონტრ-რევოლიუციონურ მავნებელთა ბანდა თავიდან თავემდე განსაკუთრებით საზიზღარ საქმეს. ის გვიჩვენებს ჩვენი აღმშენებლობის „მეორე მხარეს“, გახრწნილების, სიმდაბლის, ვერაგობის, დაუნდობლობის საზიზღარ ლაბირინტს, რომელშიაც დასრიალებდნენ თეთრგვარდიელთა მონარქისტული გველები, რომელთაც ცეცხლი და საწამლავი შეჰქონდათ პროლეტარულ წრეში, რომლებიც სწამლავდნენ საბჭოთა [illegible] ღალატის ბაცილებით. საბრალმდებლო დასკვნა ჩვენ გვიჩვენებს კლასობრივ ბრძოლის განსაკუთრებულ რაიონს, სადაც სწარმოებს გააფთრებული, განუწყვეტელი ბრძოლა საზიზღარ ძველსა და დიად ახალს შორის, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, კოლოდუბებსა და ლენინის პარტიას შორის. რაიონი, რომელიც მოცულია წყვდიადით და მეტად საფრთხილო და საპასუხისმგებლოა.

ცნობამ შახტის შეთქმულების შესახებ დიდი აღელვება და გულისწყრომა გამოიწვია საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასებში. მტკიცე და გასამკეცებული ენერგიით ბრძოლა სოციალიზმისათვის და გამარჯვების მოპოება ყოველ მიზეზს გარეშე, შახტის კონტრ-რევოლიუციის მსგავს მოვლენების აღგვა დედამიწის პირიდან, სადაც არ უნდა იყვეს და რაშიაც არ უნდა გამოიხატოს ის—აი როგორ უპასუხა მუშათა კლასმა და პარტიამ შეთქმულების აღმოჩენაზე. ჩვენ გაბედული თვითკრიტიკის ცეცხლით ამოვსწვავთ ყველაფერს უვარგისს და დამპალს, დრომოჭმულს შევსცვლით ცოცხალ, ჯანღონით სავსე ელემენტებით, გავაკეთებთ საჭირო პოლიტიკურ დასკვნებს შახტის გაკვეთილებიდან და გავსწევთ წინ. მაგრამ მშრომელთა ყურადღება უნდა მიიპყროს აგრეთვე საქმის უშუალო იურიდიულმა მხარემ, შახტის პროცესის, როგორც ასეთის, პოლიტიკურმა შინაარსმა, იმ კონკრეტულ პირობების გამორკვევამ, რომლებშიაც მოქმედებდნენ ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის „ტეხნიკოსები“. როცა კითხულობ საბრალმდებლო დასკვნას გაოცებული რჩები: რა უდიდესი დაბრკოლებები სდგას პროლეტარული დიქტატურის ძლევამოსილ გზაზე, რა ჯოჯოხეთურ საშუალებებს მიმართავს უცხოეთის იმპერიალიზმი და მისი აგენტურა საბჭოთა კავშირის შიგნით სოციალიზმის მშენებელ ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბრალდებულთა პირადი შემადგენლობა ნათლად მოწმობს, თუ რაზეა ლაპარაკი და ვისთან გვაქვს ჩვენ საქმე. საბრალმდებლო მასალაში მოყვანილი ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ცნობები ნათლად გვიჩვენებს, ვინ არის ეს ხალხი, ვინ არიან ისინი, რომელნიც შახტის საქმეზე უნდა წარსდგენ პროლეტარიატის სამსჯავროს წინაშე, ვინ არის ეს რაბინოვიჩები, მატოვები, სუშევსკები, ბერეზოვსკები, კოლოდუბები და კომპანია.

მათი უმრავლესობა არის ყოფილი მაღაროს მეპატრონეები, ქვანახშირის ყოფილი ბარონები, დონეცის მიწისქვეშა მონების მემკვიდრეობითი ექსპლოატატორები, ეს არის ის ხალხი, რომელნიც რევოლიუციას დონბასში, ისე როგორც მთელს ოქტომბრის რევოლიუციას, სთვლის „ძარცვათ“, რომლებიც მზად არიან მიმართონ ყოველგვარ საშუალებას, ოღონდ კი დაიბრუნონ „ნაძარცვი“. მათი უმრავლესობა არის პირწავარდნილი თეთრგვარდიელი მონარქისტები და კადეტები „ყოფილი“ და არსებითად „თანამედროვე“ თეთრგვარდიელი კონტრ-მზვერავები, ესენი არიან მავნებლები 8 წლის სტაჟით და „ახლები“, რომლებიც შახტის ავანტიურის ჭაობში გადაისროლა იმ გარემოებამ, რომ მათ არ სურდათ ბოლშევიკებთან „საერთო ენის“ გამონახვა, და აგრეთვე ბატონურმა მედიდურობამ მუშისა და გლეხის მიმართ. ესენი არიან უსინდისო და უპრინციპო არამზადები, რომლებიც მზად არიან ემსახურონ ღმერთსაც და ეშმაკსაც, თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს საბჭოთა ერთგული მოქალაქეები არიან, მაგრამ შეთქმულებაში მონაწილეობით „მომავლისათვისაც“ იკეთებენ საქმეს, ესენი არიან ყოფილი ბატონები. ეს ისინი არიან, ვისთვისაც იოლი საქმეს წარმოადგენს მუშის ჩაშვება მაღაროში და შემდეგ მისი მოწამვლა მხამიანი გაზებით, ვინც სცემს მუშებს, ვისაც დატყვევებული წითელარმიელები ტიტველი დაჰყავდა ყინვაში და სცემდა მათ, ვინც თეთრგვარდიელთა ბატონობის დროს გულდამშვიდებულად ხვრეტდა ასეულ მუშებს. ეს ისინი არიან, რომლებიც თავის მავნებელ „ოპერაციებისათვის“ ღებულობდნენ ფულს ყოფილ მეპატრონეებისაგან და იმპერიალისტურ ბურჟუაზიისაგან, რომლებიც დაჭერამდე მზად იყვნენ მოეჩვენებიათ თავი „უაღრესად ერთგულ საბჭოთა“ მოქალაქეებად და გაკიცხვის რეზოლიუციებიც კი ეგზავნათ თავის დაჭერილ „მეგობრების“ წინააღმდეგ. დასასრულ, ესენი არიან უცხოეთის ფირმების „ინჟენრები“, რომლებიც არ სჯერდებიან „საკუთარი“ ქვეყნის მუშების აბუჩად აგდებას და რომელთა „ტეხნიკური ფუნქციები“ განუყოფელია მდაბალი ხარისხის მახინაციებიდან, ესენი არიან განსაკუთრებით „პრივილეგიური“ დამაზიანებელნი, რომლებიც, რა თქმა უნდა, სათანადო გასამრჯელოს ღებულობდნენ ამ მუშაობისათვის.

მთელ ამ კონტრ-რევოლიუციონურ ჭაობს, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნათესაობით, მეგობრობით და მუშათა კლასისადმი უაღრესი სიძულვილით, რომლის მუშაობა სწარმოებდა უაღრესად კონსპირატიულად, ჰქონდა ძლიერ ფართო ორგანიზაცია. მისი საომარი მოქმედების (მაღაროების ხელოვნურად ჩამონგრევა, უვარგის მაღაროების დამუშავება და ქვანახშირით მდიდარ მაღაროების საბოტაჟი, მანქანებისა და მათი ნაწილების გაფუჭება, განზრახ უნაყოფო ხარჯების გაწევა, პროვოკაციული გამოსვლები მემაღაროეთა გამოსაწვევად) მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა დონეცის რაიონი. მაგრამ ორგანიზაციას ჰქონდა „ფილიალები“ და „ინსტანციები“ ხარკოვში, მოსკოვში და უცხოეთში.

მავნებლობის მიზნები იცვლებოდა „ეტაპების“ მიხედვით, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა მდგომარეობა.

პირველად ამოცანას წარმოადგენდა ყოფილ მეპატრონეთა მაღაროების დაცვა წითლებისაგან, რომლებიც „დროებით შეიჭრნენ დონეცის ბასეინში“. მაგრამ ბურჟუაზიისათვის სამწუხარო ფაქტი—საბჭოთა ხელისუფლების მკვიდრად განმტკიცება აღმოჩნდა რეალობად, რომლისთვისაც შახტის კომპანიას ძალაუნებურად უნდა გაეწია ანგარიში. „ბატონის დოვლათის“ უბრალო დაცვა უაზრობად გადაიქცა. ამიტომ დაიწყო პირდაპირი დამაზიანებელი მუშაობა და დონბასის ქვანახშირის მეურნეობის შეგნებული დეზორგანიზაცია იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ შეეფერხებიათ და დაებრკოლებიათ ჩვენი ქვანახშირის მრეწველობის აღდგენა და გაფართოება. ამასთანავე მხედველობაში მიღებულია „შორეული მიზანიც“, იმ პერსპექტივის გათვალისწინებით, რომ მომავალში კაპიტალისტები დაბრუნდებიან, განზრახ არ აწარმოებდნენ განსაკუთრებით მდიდარ ფენების და მაღაროების ექსპლოატაციას. შედარებით უკანასკნელ დროს ეკონომიურმა კონტრ-რევოლიუციამ, იმ იმედით, რომ საერთაშორისო გართულებებს მოჰყვება ომი, განსაკუთრებით დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ მოემზადებინა „ტეხნიკური დახმარება“ ჩვენი მტრებისათვის—ინტერვენტებისათვის საბჭოთა ქვეყნის ზურგში!

სწორედ აქ, თავისი „საზოგადოებრივი მოღვაწეობის“ განვითარების ასეთ მნიშვნელოვან მომენტში, დამაზიანებელთა ბანდიტურ ხროვას მოუსწრეს გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოებმა და დონეცის მაღაროს მუშებმა.

უცხოეთის პრესა, ბურჟუაზიული—იყოს ის სამჯერ დაწყევლილი—და „სოციალისტური“ უკვე არაერთხელ შეეცადა გამოეთქვა „განცვიფრება“ და „აღშფოთებაც“ კი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, შახტის მუწუკის აღმოჩენასთან დაკავშირებით! ბევრი ბურჟუაზიულ-სოციალისტური ფურცლები უტიფრად გამოვიდნენ შახტას არამზადების დასაცავად. ბრალდებას წინდაწინვე უტეხდნენ სახელს, თუმცა ბრალდების მასალები გამოქვეყნებული არ იყო. მაგრამ ამასთანავე უნდა ითქვას, რომ კოლოდუბების დამცველმა იმპერიალისტურმა პრესამ თავისდაუნებურად ამხილა თავი და შახტის ვაჟბატონები შემდეგი „თეზისის“ წამოყენებით: „ბოლშევიკებთან“ მუშაობა მაინც არ არის ხელსაყრელი, მაშ რატომ არ უნდა დაიწყონ მუშაკებმა მაღაროების დაზიანება? საინტერესოა, რას იტყვის ეხლა, ბრალდების მასალების გამოქვეყნების შემდეგ იმპერიალისტური პრესა ამ ბრალდებათა შინაარსის შესახებ. გაბედავს თუ არა სოციალ-იმპერიალისტური „ფორვერტს“-ი რეიხსტაგის არჩევნების წინ დაიცვას ისინი, ვინც სდევნიდა დონეცის მემაღაროეთ, ვინც „სოციალისტურ“ ცემატყეპას მართავდა, ვინც ხვრეტდა მუშებს? ვფიქრობთ, რომ ბევრი გაზეთები იძულებული გახდებიან დაიდგან ენაზე კბილი საბრალმდებლო მასალის შინაარსის გამო.

დამზიანებელთა განზრახვა მიუხედავად მათი უდიდესი თავხედობისა უბადრუკი აღმოჩნდა სოც. მეურნეობის ძლიერების წინაშე. დამზიანებლები მიუხედავად ყოველგვარი ღონისძიებებისა და მიუხედავად იმისა, რომ „ოქროთი“ იყვნენ დაკავშირებული უცხოეთის იმპერიალიზმთან, იძულებული გახდნენ აღეარებიათ თავისი უძლურება მთელი ჩვენი მრეწველობის და კერძოდ ქვანახშირის მრეწველობის შეუკავებელი აღდგენის ფაქტის წინაშე. აღდგენის პროცესი და სოციალისტური აღმშენებლობის განვითარება, ეყრდნობა რა თავის მძლავრ რესურსებს და მუშათა კლასის შეურყეველ ენერგიას, წინ მიდიოდა უდიდესი სისწრაფით. ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლო სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობის შეჩერება ჩვენს ქვეყანაში. ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს ამას მომავალშიაც.

„პრავდა“, 9 მაისი.

შეკითხვა თემთა პალატაში ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

იაპონიის და ჩინეთის ჯარების გააფთრებული ბრძოლა ცზიანში

იაპონელებმა ააფეთქეს ჩინელების სამხედრო საწყობები და ყაზარმები

შეკითხვა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 8 მაისი. ლიბერალმა დეპუტატმა **გარი ჯონსმა** თემთა პალატის სხდომაზე პრემიერს მისცა შეკითხვა: **მზად არის თუ არა იგი მიიღოს წინადადება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ** იმ დისკუსიის გამო, რომელიც ჟენევაში გაიმართა ინგლისის და საბჭოთა წარმომადგენლებს შორის და აგრეთვე იმიტომ, რომ ვაჭრობა ამ ორი ქვეყნის შორის ბრკოლდება დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობით.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი საპასუხო სიტყვაში დაემყარა 29 თებერვალს გაცემულ პასუხს, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ „არაფერი მომხდარა ისეთი, რაიც მთავრობას აიძულებდეს განიხილოს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლების საკითხი“.

გარი ჯონსმა ხელმეორედ მისცა შეკითხვა: ნიშნავს თუ არა ლოკერ ლემპსონის პასუხი იმას, რომ მთავრობას არ აქვს განზრახვა გადასდგას რაიმე ნაბიჯები არსებული გამწვავებული მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის და თანახმა არის თუ არა მთავრობა გაიმართოს კამათი იმ იმედით, რომ რომელიმე ჯგუფი პალატაში წამოაყენებს სასარგებლო წინადადებებს“?

ლოკერ ლემპსონმა უპასუხა, რომ „ვაჭრობას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის არაფერი არ აქვს საერთო დიპლომატიურ ურთიერთობასთან“.

მუშათა პარტიის წევრი ტორნი შეეკითხა: „შეუძლია თუ არა ლოკერ ლემპსონს სთქვას, რატომ არ შეგვიძლია რუსეთთან დავამყაროთ ისეთი მეგობრული ურთიერთობა, როგორიც არსებობდა 1917 წელში“?

ლოკერ ლემპსონმა არ გასცა პასუხი ამ შეკითხვაზე (ადს).

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

კოვნო, 8 მაისი. ოფიციალური ცნობით, პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების დროს, რომელიც ამჟამად კოვნოში სწარმოებს, პოლონეთის დელეგაციამ ლიტვის დელეგაციას გადასცა თავდაუსხმელობის ხელშეკრულების და შემარიგებელი პროცედურის და არბიტრაჟის კონვენციის პროექტები.

„საჭიროა ჩინური კედლის დანგრევა“

კოვნო, 8 მაისი. პოლონეთ-ლიტვის კომისიის პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარე გოლუვკომ ადგილობრივ და უცხოეთის კორესპონდენტებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ პოლონეთი ლიტვის მიმართ მშვიდობიანი სურვილებით არის გამსჭვალული.

„საჭიროა დაინგრეს ჩინური კედელი, რომელიც ორ მეზობელ სახელმწიფოს ერთმანეთისაგან აშორებს—სთქვა გოლუვკომ. პოლონეთი სრულებითაც არ ცდილობს ლიტვის შემოერთებას. იგი დაინტერესებულია, რომ არსებობდეს დამოუკიდებელი ლიტვა, ვინაიდან ლიტვა იმყოფება ორ დიდ სახელმწიფოს—გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შუა. პოლონეთი, რომელსაც შეიძლება მძიმე წუთები დაუდგეს, დაინტერესებულია, რომ მასთან ერთად საერთო ფრონტზე იდგეს ბალტიის ყველა სახელმწიფო, მათ შორის ლიტვაც. პოლონეთის დელეგაცია სიამოვნებით განიხილავს ლიტველების მატერიალურ პრეტენზიებს. თუ პოლონელების კონტრ-პრეტენზიები იმ ზარალის შესახებ, რომელიც პოლონეთს მიაყენეს ლიტველებმა და ნეიტრალიტეტის დარღვევამ 1920 წ., უსაფუძვლო გამოდგება, რადგან ლიტველები ირწმუნებიან, რომ ისინი მაშინ ბოლშევიკების (გოლუვკოს გამოთქმაა) მხარეზე არ იყვნენო, მით უფრო კარგი იქნება საქმისათვის, რადგან ამით დავძლევთ კიდევ ერთ დაბრკოლებას შეთანხმების გზაზე“ (ადს).

პირველი სხდომა

ვარშავა, 8 მაისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: კოვნოში შესდგა პირველი სხდომა პოლონეთ-ლიტვის კომისიისა, რომელიც შეიქნა კენიგსბერგში უშიშროებისა და ზარალის ანაზღაურების საკითხების განსახილველად. გამოყოფილია ორი ქვეკომისია უშიშროებისა და ანაზღაურების საკითხების გარშემო. პოლონეთის დელეგაციამ გადასცა ლიტვის დელეგაციას თავდაუსხმელობის პაქტის პროექტი და აგრეთვე პროექტი კონვენციისა არბიტრაჟის და სამშვიდობო მორიგების პროცედურის შესახებ (ადს).

რეაქციისა და მენშევიზმის კავშირი

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება 1 მაისს ვარშავაში მომხდარ ქლეტის შესახებ

მოსკოვი, 9 მაისი. კომინტერნის აღმასკომმა ყველა ქვეყნის მუშებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია, რომ 1 მაისს ვარშავის ქუჩებზე მე-2 ინტერნაციონალის წევრებისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის რაზმელების მიერ ჩადენილი უმაგალითო ბოროტმოქმედება მოითხოვს ყველა ქვეყნის პროლეტარული მასების აქტიურ პროტესტს. მრავალრიცხოვან დემონსტრანტ მუშებს, რომელთაც მიჰქონდათ კომუნისტური დროშები, სროლა აუტეხეს სოციალ-დემოკრატ ჯალათების ბანდებმა. ქვაფენილები მოიფინა ხუთი მოკლულით და ასეულ დაჭრილებით.

ფაშისტური პრესა, ესალმება რა პოლონეთის სოციალისტური პარტიის მეთაურების მიერ 1 მაისს ჩადენილ ბოროტმოქმედებას, მოუწოდებს და აქეზებს მათ ახალი „საგმირო საქმეებისაკენ“—კომპარტიის ბელადებისა და პირველ რიგში სეიმის კომუნისტ დეპუტატების მკვლელობისაკენ.

პასუხისმგებლობა ვარშავაში დაღვრილ პროლეტარულ სისხლისათვის ეკისრება არა მარტო ბოროტმოქმედების უშუალო ორგანიზატორებს—პოლონეთის სოციალისტური პარტიის მეთაურებს. პასუხისმგებლობა ეკისრება აგრეთვე მთელ მე-2 ინტერნაციონალის ბელადებსაც. „მთელი ქვეყნის სოციალ-გამცემელ ბელადების პოლონელ თანამოძმეთა მიერ ვარშავაში მოწყობილი სისხლისღვრა,—ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში,—ნიშნავს თქვენს გამოწვევას, იმას, რაც დღეს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ბელადებმა ჩაიდინეს, ხვალ ჩაიდენს ის ხალხი, რომელსაც დიდი ბრძოლების დროს არა ერთხელ უღალატნია და დღესაც ღალატობს ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის მუშებს.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის რაზმელებისა და მე-2 ინტერნაციონალის წევრების მიერ ვარშავაში დაღვრილი სისხლისათვის პასუხი მოსთხოვეთ ამ ინტერნაციონალის ბელადებს თქვენს ქვეყანაში! გამოდით ყველგან აქტიურ-მასიური პროტესტით ვარშავის ჯალათებისა და მათი საერთაშორისო თანამონაწილეთა წინააღმდეგ!“ (ადს).

პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატი ოხრანკის აგენტი

ვარშავა, 8 მაისი. „გლოს პრავდი“-ს ყოფილმა თანამშრომელმა ბელციკოვსკაიამ ამას წინად განაცხადა პრესაში, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე მუშაობს ოხრანკაში. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რობოტნიკ“-მა ბელციკოვსკაიას შანტაჟისტი უწოდა. მაშინ ბელციკოვსკაიამ გადასწყვიტა ამ დეპუტატის გვარის გამოქვეყნება.

—„გაზეტა პორანნა“ აქვეყნებს საუბარს ბელციკოვსკაიასთან, რომელმაც განაცხადა, რომ დეპუტატი, რომელიც ოხრანკაში მუშაობდა, არის მარიან მალინოვსკი (ლიუბლინიდან). მალინოვსკის, ბელციკოვსკაიას სიტყვით, საჭიროდ მიაჩნია მხარი დაეჭირა ოხრანკისათვის, ვინაიდან ოხრანკის ბრძოლა კომუნისტებთან მისი აზრით, აადვილებს პოლონეთის სოციალისტური პარტიის მოღვაწეობას. პოლიტიკურ პოლიციაში მალინოვსკის დიდათ აფასებდნენ. მისი რჩევით ხდებოდა მასიური გაჩხრეკა და დაპატიმრება. პოლონეთის სოციალისტური პარტიის გამარჯვება ლიუბლინში ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ მალინოვსკი თანამშრომლობდა ლიუბლინის ოხრანკის უფროსთან. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

ბრძოლა ცზინანში

პარიზი, 8 მაისი. ჰავასის სააგენტო შანხაიდან იუწყება, რომ ცზინანში მკაცრი ბრძოლა სწარმოებს ჩინეთის და იაპონიის ჯარებს შორის. იაპონელები მიზნად ისახავენ ჩინელთა ჯარებისაგან გასწმინდონ მთელი ცზინანის ზონა და შანდუნში პროვინციის მუდმივი ოკუპაციისათვის დასტოვონ 50.000 კაცისაგან შემდგარი არმია (ადს).

იაპონელთა შეტევა სამხრეთელების წინააღმდეგ

ტოკიო, 8 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო ცზინანიდან იუწყება, რომ იაპონიის სამხედრო ძალების მთავარ სარდალმა გენერალმა ფუკუდამ გასცა ბრძანება ჩინეთის სამხრეთელი ჯარების წინააღმდეგ შეტევის შესახებ. იაპონიის არტილერიამ ააფეთქა ჩინელების თოფის წამლის საწყობები. სამხრეთელებმა წინააღმდეგობის გაუწევლად დაიხიეს. იაპონიის ჯარებს განზრახვა აქვთ გააფართოვონ ოკუპაციის რაიონი ცზინანში. იაპონიის მაშველ ჯარებს, რომლებიც ცინდაოში ჩამოვიდნენ, მანჯურიიდან მოუვიდათ ბრძანება, რომ გაემგზავრონ ცზინანში (ადს).

იაპონიის გამანადგურებლები ჩინეთის წყლებში

ტოკიო, 8 მაისი. „სიმბუნ რენგოს“ სააგენტოს ცნობით, სამხედრო ნავთსადგურ მაიზურუდან იანცზის მიდამოებში გაიგზავნა 8 გამანადგურებელი. სამხედრო ნავთსადგურ სასებოდან კანტონში და სვატოუში გაიგზავნა 7 გამანადგურებელი. გარდა ამისა ჩინეთში გაიგზავნა ერთი სამხედრო-საავიაციო გემი.

ანტიიაპონური მოძრაობის ზრდა

ტოკიო, 8 მაისი. სხვადასხვა ცნობა შუა და სამხრეთ ჩინეთიდან ადასტურებს ანტიიაპონური მოძრაობის ზრდას.

შანხაის სავაჭრო პალატამ მოიწვია ასი ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონფერენცია იაპონიის ბოიკოტის კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

კანტონის დიქტატორი ლი ტი-სინი აშკარად ამჟღავნებს თავის მტრულ განწყობილებას იაპონიისადმი. კანტონში გაიმართა მასიური მიტინგი, რომელზედაც განიხილეს იაპონიის საქონლის ბოიკოტის განსახორციელებლად საჭირო ზომები.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ცზინანში დანიშნულია ვან ჩჟენ-ტინი საგარეო საქმეთა დროებით რწმუნებულად (ადს).

გენერალ ფუკუდის ულტიმატუმი

ტოკიო, 8 მაისი. ტოხოს სააგენტო იუწყება ცზინანიდან, რომ ვინაიდან ჩინელებმა არ შეასრულეს იაპონიის სარდლობის მიერ გადაცემული ულტიმატუმი, ამიტომ სარდლობა შეუდგა რკინის გზის რაიონის ძალით გაწმენდას ამის გამო იაპონიის და ჩინეთის ჯარებს შორის გაიმართა ნამდვილი ომი. იაპონიის ჯარები ანგრევენ ჩინელთა ყაზარმებს.

იაპონიის სამხედრო ძალების მთავარ სარდალი გენერალი ფუკუდი თავის ულტიმატუმში მოითხოვდა სამხრეთ-ჩინეთის არმიის იმ მაღალ თანამდებობის პირთა მკაცრად დასჯას, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ცზინანში მომხდარ ამბებში; ულტიმატუმი მოითხოვდა აგრეთვე სინჩუანის და ჩაიცზანჩუანის ევაკუაციას 12 საათის განმავლობაში, ანტიიაპონური პროპაგანდის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და ჩინელთა ჯარების დაშორებას 20 კილომეტრის მანძილზე ცინდაო-ცზინანის რკინის გზის ზონიდან. სამხედრო ზონის პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ცზიან ცზი-პინმა იაპონიის გენერალურ კონსულს აცნობა, რომ მას არ აქვს საშუალება ეხლავე გასცეს ოფიციალური პასუხი ულტიმატუმზე და სთხოვა გაგრძელებულ იქნას პასუხის გაცემის ვადა, გენერალმა ფუკუდამ პასუხი არ სცნო დამაკმაყოფილებლად და სამხედრო მოქმედებას შეუდგა (ადს).

იუ-სუ-ჩუნი ნებდება სამხრეთელებს

შანხაი, 8 მაისი. გომინის სააგენტოს ცნობით, მუკდენელთა ჯარების ჯგუფის სარდალი **იუ-სუ-ჩუნი** სამხრეთელი ჯარების სარდლობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს დანებების შესახებ. (ადს).

ვან-ჩჟენ ცზინანში

ტოკიო, 8 მაისი. ცზინანში ჩამოვიდა ვან-ჩჟენი—დიპლომატი და ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც 1927 წლის აპრილში მიემხრო გომინდანის მემარჯვენე ფრთას. ამჟამად ვანი მხარს უჭერს ფინ-იუ-სიანს. უკანასკნელ ხანებში გავრცელდა ხმები რომ ვანი დანიშნება ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრად. (ადს).

ჩრდილოელთა აეროპლანი ცზინანში

ტოკიო, 8 მაისი. სიმბუნ რენგოს დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის ჯარებმა ჩამოაგდეს ჩრდილოელთა ჯარების აეროპლანი, რომელიც ყუმბარებს უშენდა უცხოელთა უბანს.

ფაშისტების ტყვეების დასაცავად

ლონდონი, 8 მაისი. რემედასის ინგლისის სექცია საპროტესტო კამპანიას აწყობს იმის წინააღმდეგ, რომ შესაძლოა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანონ იტალიელ კომუნისტებს, რომლებიც მილანში თავდასხმის შემდეგ იქნენ დაპატიმრებული. არსებული ცნობებით, საქმის გარჩევა საიდუმლო წესით მოხდება. იტალიის საკონსულოებში ლონდონში, პლიმუტში, ლივერპულში, მანჩესტერში, კარდიფში და გლაზგოში მივიდნენ რემედასის ინგლისის სექციის დეპუტაციები. უახლოეს ხანში დიდი საპროტესტო მიტინგები მოეწყობა ლონდონის სამ რაიონში, სადაც სიტყვებს წარმოსთქვამენ კუკი, ტომ მანი, გარი პოლიტი და სხ. 19 მაისს განზრახულია მოწვეულ იქნას ლონდონის ყველა მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია კუკის თავმჯდომარეობით. (ადს).

ოტო ბრაუნის საქმე

ბერლინი, 8 მაისი. უზენაეს სასამართლოში დაიწყო საქმე მოაბიტის საპატიმროდან ახლახან ძალით განთავისუფლებულ ლიტერატორ **ოტო ბრაუნისა** და სხვა პირებისა, რომელთაც „სახელმწიფო ღალატი“ ბრალდებათ. ბრაუნისა და მისი საცოლის ოლგა ბენარის საქმე მათ დაუსწრებლად ირჩევა, რადგან ბრაუნის განთავისუფლების შემდეგ, მიუხედავად ყოველგვარი ზომებისა, პოლიციამ ისინი მაინც ვერ აღმოაჩინა.

ბრაუნის განთავისუფლების გამო პროკურორმა განაცხადა: „არსებობს ძლიერი ეჭვი, რომ ეს განთავისუფლება კომპარტიამ მოაწყო, რადგან იგი შიშობდა, რომ პროცესის დროს გამომჟღავნდებოდა ისეთი მასალა, რომელიც ეხებოდა აჯანყების სამხედრო-ტეხნიკურ სამზადისს“. ამ განცხადებასთან დაკავშირებით თავმჯდომარემ წაიკითხა პროექტი, რომელსაც ბრაუნს მიაწერენ და რომელიც ვითომდა მან შეადგინა 1926 წელს (ეს პროექტი ითვალისწინებს აჯანყების სამზადისის სხვადასხვა ტეხნიკურ საკითხებს).

ბრალდებულთა გამოკითხვამ გამოარკვია, რომ ამ „დოკუმენტს“ არავინ მათგანი არ იცნობს. დამცველებმა პროტესტი განაცხადეს მისი წაკითხვის წინააღმდეგ და სთქვეს: ეს „დოკუმენტი“ რომ თუნდაც მართლა ბრაუნის კალამს ეკუთვნოდეს, იგი წარმოადგენს მის პირად საქმეს და არასოდეს არ ყოფილა რომელიმე ორგანიზაციის ხელში.

დამცველთა პროტესტის საპასუხოდ პროკურორმა მოითხოვა, რომ მათ სიტყვა წართმეოდათ.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ რადგან ეს პროცესი მთავარი ბრალდებულების დაუსწრებლად სწარმოებს, მისი მიზანია ანტიკომუნისტური საარჩევნო აგიტაციაა (ადს).

პროფკავშირებში გაერთიანებულ ქალთა საერთაშორისო კომიტეტი

მოსკოვი, 9 მაისი. პროფინტერნთან დაარსდა პროფკავშირებში გაერთიანებულ ქალთა საერთაშორისო კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ ინგლისის, ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების, ჩინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიისა და სხვა ქვეყნების რევოლიუციონური პროფმოძრაობის აქტიური მუშა-ქალები. კომიტეტის მიზანს შეადგენს დახმარება გაუწიოს მუშა-ქალებს, გაერთიანდნენ რევოლიუციონურ პროლეტარიატის რიგებში. (ადს).

კომუნისტების გამორიცხვა პროფკავშირიდან

ბერლინი, 8 მაისი. შემთანხმებელ პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებაში შემავალმა მეტალისტთა კავშირმა შუა გერმანიაში გამორიცხა რამდენიმე კომუნისტი, მუნიციპალიტეტების წევრები იმის გამო, რომ ისინი არ ემორჩილებოდნენ სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირული ბიუროკრატიის დირექტივებს.

ზემო სილეზიაში გამორიცხეს ხელმძღვანელი მუშაკები იმის გამო, რომ მათ გამოუშვეს ფურცელი, რომელიც მოუწოდებდა მუშებს—ებრძოლათ ლითონის მრეწველობის პატრონებისა და სამედიატორო მოსამართლეების წინააღმდეგ (ადს).

2.000 მუშის დათხოვა

ლონდონი, 8 მაისი. საზღვაო სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათში გამოირკვა, რომ წელს სახელმწიფო გემთსაშენებიდან კიდევ იქნება დათხოვნილი 2.000 მუშა. (ადს).

„მუდმივი ზავი“

ლონდონი, 8 მაისი. „დეილი ქრონიკლი“ იუწყება: მინისტრთა კაბინეტმა გამოიტანა დადგენილება, რომ ამერიკის პროექტი ომის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის საშუალების აკრძალვის შესახებ პრინციპიალურად მისაღებია. (ადს).

13 მეზღვაურის საქმე

პარიზი, 8 მაისი. დამთავრდა იმ 13 მეზღვაურის საქმე, რომელიც გამოყოფილი იყო კალვიის ციხეში მომხდარ ამბოხების მონაწილეთა საერთო პროცესიდან. ერთ-ერთ ბრალდებულს მიესაჯა 2 წლით დაპატიმრება, დანარჩენებს—ერთი წლიდან 2 თვემდე. (ადს).

„ლენინბუნდის“ დაშლა

ბერლინი, 8 მაისი. „ლენინბუნდის“ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა **მასლოვმა, რუტ ფიშერმა** და **შოლემმა** გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ს წერილობით განუცხადეს, რომ ისინი გამოდიან „ლენინბუნდიდან“ (ეს ორგანიზაცია აპრილის დამდეგს შექმნეს გერმანიის კომპარტიიდან გამორიცხულმა „ულტრა-მემარცხენეებმა“); მათ ითხოვეს აგრეთვე, რომ უკან იქნან მიღებულნი კომპარტიასა და კომინტერნში. **შიმანსკი, შლეხტი** და „ლენინ ბუნდის“ სხვა ბევრი თვალსაჩინო წევრები მიემხრნენ ამ განცხადებას.

შოლემმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, რომელიც „ლენინბუნდმა“ წამოაყენა რეიხსტაგის მომავალ არჩევნებისათვის.

მასლოვი, რუტ ფიშერი და შოლემი თავის განცხადებას ასე ასაბუთებენ: „ლენინბუნდის“ ცენტრალური კომიტეტი აწარმოებს სექტანტურ პოლიტიკას, რომელიც ახასიათებს „გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიას“ (ანარქო-სინდიკალისტური დაჯგუფება); „ლენინბუნდი“ ნამდვილად ხდება ისეთ პარტიად, რომელიც სამტროდ უპირისპირდება კომინტერნსა და კომუნისტურ მოძრაობას. რეიხსტაგის არჩევნებში საკუთარ კანდიდატთა სიის წამოყენება თვით „ლენინბუნდისათვის“ მომაკვდინებელი საქციელი იყო.

შემდეგ მასლოვი, რუტ ფიშერი და შოლემი აღიარებენ, რომ მათი პოლიტიკა, რომელიც „ლენინბუნდის“ დაარსებაში გამოიხატა, ყალბი იყო; ისინი მოუწოდებენ „ლენინბუნდის“ მომხრეებს—დასტოვონ იგი, ითხოვონ გერმანიის კომპარტიაში უკან მიღება და მხარი დაუჭირონ მას რეიხსტაგის არჩევნებს დროს. (ადს).

საფრანგეთი არჩევნების შემდეგ

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 8 მაისი. საფრანგეთის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიამ არჩევნების დროს ყველა ძალები დარაზმა კომპარტიის წინააღმდეგ. სოციალისტები ამ ბრძოლაში აშკარად მიემხრნენ ბურჟუაზიას; მასთან ერთად თავს ესხმოდნენ კომუნისტებს და ავრცელებდნენ სხვადასხვა ჭორებს საბჭოთა კავშირის შესახებ.

„მიუხედავად ამისა, — ნათქვამია მოწოდებაში, — საფრანგეთის კომპარტია საარჩევნო ბრძოლიდან განმტკიცებული გამოვიდა და თითქმის 1.100.000 ხმა შეაგროვა. სოციალისტებს განზრახული აქვთ შემდეგშიაც დაუჭირონ მხარი პუანკარეს. საფრანგეთის კომპარტია მოუწოდებს ყველა იმათ, ვინც ხმა მისცა მას, შევიდნენ პარტიაში და უნიტარულ პროფკავშირებში, ვინაიდან კლასობრივი ბრძოლა სწარმოებს არა ბურჟუაზიულ პარლამენტში, არამედ უშუალოდ ქარხნებში. ამ ბრძოლას აწარმოებს გაყვლეფილთა მთლიანი ფრონტი“. (ადს).

ძალაუფლებისათვის ბრძოლა რუმინეთში

კაროლისტების მეცადინეობა

ლონდონი, 8 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: კაროლის მახლობლები ცდილობენ იმ დადგენილების გაუქმებას, რომელიც ეხება კაროლის გაძევებას ინგლისიდან. დადგენილება მისი გაძევების შესახებ გასაჩივრებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე. (ადს).

„მემარცხენე“ ლოზუნგი მასების მოსატყუებლად

ვენა, 8 მაისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, მანიფესტაციები ალბა-იულიაში, რომლებიც გაიმართა ნაციონალურ-გლეხური პარტიის ყრილობასთან დაკავშირებით, უკვე დამთავრდა. გლეხები, რომლებიც ქალაქში იყვნენ შეგროვილი, სოფლებში ბრუნდებიან.

არსებული ცნობებით, მოჩვენებითი მემარცხენე ლოზუნგი „მარში ბუქარესტისაკენ“, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიეღო 80.000-მდე გლეხს,—წამოყენებულ იქნა ნაციონალურ-გლეხური პარტიის ბელადების მიერ იმ მიზნით, რომ ალბა-იულიადან მოეშორებიათ იქ შეგროვილ გლეხთა მასები. ნაციონალურ-გლეხთა პარტიის ბელადმა მანიუმ განაცხადა, რომ პარტია „უარჰყოფს რევოლიუციონურ ნაბიჯებს, არ იწონებს „მარშს ბუქარესტისაკენ“ და აგრეთვე ყოველგვარ გამოსვლებს, რომლებმაც შეიძლება მღელვარება გამოიწვიოს. ამ გამოსვლებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს რუმინეთის საერთაშორისო მდგომარეობას, ვინაიდან საბჭოთა კავშირი, უნგრეთი და ბულგარეთი მხოლოდ იმას ელიან, რომ გართულდეს რუმინეთის შინაური მდგომარეობა“ (ადს).

პრინც კაროლის ავანტიურა

ლონდონი, 8 მაისი. „დეილი ჰერალდი“, უკეთებს რა კომენტარიებს რუმინეთის ყოფილი მემკვიდრის პრინც კაროლის ავანტიურას, სწერს: „პრინცმა კაროლმა, რომელიც ამას წინად ჩამოვიდა ინგლისში, დაიქირავა ორი ინგლისური აეროპლანი. ამ აეროპლანების საშუალებით მას რუმინეთში უნდა გადაეყარა და გაევრცელებინა მანიფესტი, რომელიც რუმინეთის ყოველ მოქალაქეს მოუწოდებს გაერთიანდნენ კაროლის ირგვლივ. ინგლისის ხელისუფლებამ აკრძალა აეროპლანების გაფრენა. მაშინ კაროლმა ამ გეგმის განხორციელებლად თავისი ინგლისელი აგენტი საიდუმლო დავალებით გაგზავნა კონტინენტზე. გამოირკვა, რომ კაროლის აგენტია ინგლისელი ჟურნალისტი—„დეილი მეილი“-ს მუდმივი თანამშრომელი **დედლი ეტკინი**. „დეილი ექსპრეს“ ესალმება კაროლის გაძევებას ინგლისიდან და აღნიშნავს, რომ მან ბოროტად გამოიყენა სტუმართ-მოყვარეობის უფლება. (ადს).

ინდოეთის მუშების ბრძოლა

ინგლისის კომპარტიის პოლიტბიუროს მოწოდება.

ლონდონი, 8 მაისი. ინგლისის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ინგლისის მუშათა კლასის ყურადღებას მიაქცევს გაფიცვებზე ბომბეიში და კალკუტაში. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ბურჟუაზიული პრესა სდუმს გაფიცვების შესახებ. ამ გაფიცვებს კი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ინგლისის პროლეტარიატისათვის. მოწოდებაში აღნიშნულია აგრეთვე ის, რომ მკაცრად ეპყრობიან გაფიცულ მუშებს ბომბეიში, სადაც ჯარებმა ორჯერ ესროლეს გაფიცულებს და მოჰკლეს 7 მუშა.

მოწოდება ხაზს უსვამს, რომ გენსაბჭომ ჯერჯერობით არავითარი კონკრეტიული ზომები არ მიიღო ინდოელ ამხანაგებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. მოწოდება აუცილებლად სცნობს მოეწყოს ფინანსიური დახმარების აღმოჩენა გაფიცული ინდოელი მუშებისათვის.

კოლუმბიის შრომის ფედერაცია შევიდა პროფინტერნში

მოსკოვი, 9 მაისი. პროფინტერნის აღმასკომმა მიიღო კოლუმბიის შრომის ნაციონალური ფედერაციის განცხადება პროფინტერნში მიღების შესახებ. პროფინტერნის აღმასბიურომ დაადგინა მიიღოს თავის რიგებში კოლუმბიის შრომის ფედერაცია. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. ციურუპას გარდაცვალების გამო

მოსკოვი, 9 მაისი. მოსკოვი ემზადება ყირიმში გარდაცვლილ ამხ. ციურუპას ცხედარის შესახვედრათ.

სადგური, რომელშიც მოვა მატარებელი ამხ. ციურუპას ცხედრით, შემოსილია სამგლოვიარო დროშებით, მწვანეულობით და ყვავილებით.

გადაწყვეტილია ამხ. ციურუპას გვამის დასვენება კავშირთა სახლის ოქტომბრის სახელობის დარბაზში. ამ სახლში ესვენა ლენინის, ნარიმანოვის და სხვა ამ უკანასკნელ წლებში გარდაცვლილ დამსახურებულ პარტიულ მოღვაწეთა ცხედარი. დაკრძალვამდე ამხ. ციურუპას გვამს გამოეთხოვება მოსკოვის პროლეტარიატი.

ამხ. ციურუპას გვამის მოლოდინში სწარმოებს კავშირთა სახლის სამგლოვიაროთ მორთვა, რომელსაც ხელმძღვანელობს მხატვარი არკადიევსკი.

პროლეტმწერალთა ყრილობის დახურვა

მოსკოვი, 9 მაისი. დასრულდა პროლეტმწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელიც მუშაობდა 30 აპრილიდან.

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ გაარჩია ასოციაციის საორგანიზაციო საკითხები და მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებები გამოიტანა ამ მხრივ. ყველაზე უფრო აღსანიშნავი ამ დადგენილებათა შორის არის პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ორგანიზაციის სახელწოდების შეცვლა, რაიც გამოიწვია ცვლილებამ ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურაში.

ასე მაგალითად, გადაწყდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში მიღებულ იქნას ცნობილ მწერალ გლადკოვის ჯგუფის გაერთიანება „კუზნიცა“. ყრილობის დადგენილებით პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ასოციაცია (ВАПП) ამიერიდან ატარებს შემდეგ სახელწოდებას: პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების სრულიად საკავშირო გაერთიანება (ВОАПП).

დახურვის წინ ყრილობამ აირჩია ახალი გამგეობა და სამდივნო, რომელშიაც შევიდნენ ამხანაგები: სერაფიმოვიჩი, კერჟენცევი, ფადეევი, რასკოლნიკოვი და სხვები.

შოლომ აშის ჩამოსვლა

მოსკოვი, 9 მაისი. დღეს პარიზიდან მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი ებრაელი მწერალი შოლომ აში. სადგურზე შოლომ აშს შეხვდნენ ევროპისა და საბჭოთა რესპუბლიკების კულტურულ კავშირის ორგანიზაციის წარმომადგენლები, მწერალთა ორგანიზაციები და ხელოვნების ბევრი გამოჩენილი მუშაკი.

რადიოფიკაციის საკითხი ენერგეტიულ მეურნეობის მუშაკთა ყრილობაზე

მოსკოვი, 9 მაისი. მოსკოვში ამჟამად მიმდინარეობს ენერგეტიულ მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილნი არიან ელექტრონის მრეწველობის და მექანიკური წარმოების მუშა-მოსამსახურეთა დელეგატები.

აღნიშნულ ყრილობაზე ამხ. ბონჩ-ბრუევიჩმა წამოაყენა საკითხი საბჭოთა კავშირის რადიოფიკაციის მოწესრიგების შესახებ.

ამჟამად, ორატორის სიტყვით, რადიოფიკაციის დარგში დიდ არანორმალობას აქვს ადგილი. საჭიროა პირველ ყოვლისა განისაზღვროს რადიო სადგურების რიცხვი. სადგურების რიცხვის შემცირების დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ეროვნულ რესპუბლიკების ადგილობრივ პირობებს. აქ რადიო გადაცემის საქმე უნდა მოეწყოს ადგილობრივ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დანარჩენ რაიონებს, რადიო გადაცემის საქმე აქ უნდა გადავიდეს ცენტრალურ და ძლიერ სადგურების ხელში, რომ ის შესაფერის დონეზე იქნეს აყვანილი და ადგილი აღარ დაურჩეს ისეთ დეფექტებს გადაცემის დროს, როგორსაც ეხლა ვამჩნევთ.

საბჭოთა კავშირის ნამდვილი რადიოფიკაცია შესაძლებელია გატარებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცენტრში აგებულ იქნება ძლიერი, დაახლოებით ათას კილოვატიანი რადიო სადგური.

რუსეთის უნივერსიტეტებში და მუშფაკებში მისაღებთა რიცხვი

მოსკოვი, 9 მაისი. რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა უმაღლეს სასწავლებლებში და მუშფაკებში მისაღებ პირთა საერთო რიცხვის ნორმები. აღნიშნულ ნორმების მიხედვით, მომავალ სასწავლო წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში სულ მიღებული იქნება არა უმეტეს ხუთი ათასი კაცისა, მუშათა ფაკულტეტებზე კი ათი ათასი კაცი.

ამხ. ციურუპას გარდაცვალების გამო

საკავშირო კომპ.-რტიის (ბ) ცეკასაგან

მოსკოვი, 9 მაისი. პარტიამ განიცადა ახალი მძიმე დანაკლისი. გარდაიცვალა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წევრი ალექსანდრე დიმიტრის ძე ციურუპა—ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უერთგულესი მუშაკი.

ამხ. ციურუპამ, რომელიც ჩვენი პარტიის რიგებში შევიდა მისი დაარსების დღიდანვე, განვლო არალეგალური მუშაობის მძიმე სკოლა და არა ერთხელ განიცადა ცარიზმის რეპრესიები რევოლიუციონურ მუშაობისათვის.

ოქტომბრის შემდეგ პარტიამ ამხ. ციურუპას ჩააბარა უაღრესად საპასუხისმგებლო პოსტი—სასურსათო საქმის ხელმძღვანელობა. სამოქალაქო ომის, სამეურნეო ნგრევის და სიმშილობის უმძიმეს პირობებში ამხ. ციურუპამ ისახელა თავი, როგორც უდიდესმა ორგანიზატორმა და წითელი არმიის და პროლეტარულ ცენტრების სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმის ხელმძღვანელმა. რევოლიუციისათვის ამ უძნელეს პერიოდში მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ აღმშენებლობის ახალი ფაზის დაწყებისთანავე, პარტია ამხ. ციურუპას გზავნის უაღრესად საპასუხისმგებლო სამეურნეო და პოლიტიკურ პოსტზე. ამხ. ციურუპას იშვიათი ნიჭი, როგორც პარტიულ და სახელმწიფო მუშაკის, მისი ენერგია და სიმტკიცე შესაძლებლობას აძლევს მას სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე შეასრულოს ურთულესი სამეურნეო ამოცანები.

ამხ. ციურუპას სახით პარტიამ დაჰკარგა სოციალისტური აღმშენებლობის საქმის უაღრესად გამოცდილი და კომპეტენტური ხელმძღვანელი. დანაკლისი განსაკუთრებით საგრძნობია ეხლა, როცა პარტიის ყველა ძალები მიმართულია საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისა და კულტურულ აღორძინებისაკენ.

პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ისეთი უდიდესი მუშაკების შესაცვლელად, როგორიც იყო ამხ. ციურუპა, მუშათა კლასის რიგებიდან უნდა წამოვაყენოთ სოციალისტურ მშენებელთა ახალ-ახალი ძალები.

აღზრდის რა ახალ კადრებს ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე და დაეყრდნობა რა პროლეტარულ მასების რევოლიუციონურ შეგნებას და ორგანიზაციულ დარაზმულობას, ჩვენი პარტია კიდევ მეტი ენერგიით და სიმტკიცით წასწევს წინ სოციალიზმის საქმეს, მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის საქმეს.

უკრაინის ცაკის ოფიციალური ცნობა

ხარკოვი, 9 მაისი. უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მიმართოს მშრომელებს ოფიციალური ცნობით ამხ. ციურუპას გარდაცვალების შესახებ და უკრაინის მთავრობის სახელით თანაგრძნობის დეპეშები გაუგზავნოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, საკავშირო მთავრობას განსვენებულის ოჯახს.

დამკრძალავი კომისიისაგან

მოსკოვი, 9 მაისი. ამხ. ციურუპას დამკრძალავი მთავრობის კომისია ურჩევს ყველა დაწესებულებებს, წარმოებებსა და ცალკე პირებს, რომელთაც სურთ პატივი სცენ ციურუპას ხსოვნას, გვირგვინების ნაცვლად შეიტანონ წვლილი საბავშვო კომისიის ფონდში.

ამხ. ციურუპას ცხედარის გადასვენება

სიმფეროპოლი, 9 მაისი. ამხ. ციურუპას ცხედარი მუხალატკიდან გადაასვენეს სევასტოპოლში, სადაც განზრახულია გვამის განკვეთა.

ამხ. ციურუპას ნეშტი მოსკოვში ჩასვენებული იქნება 10 მაისს.

სამგლოვიარო მატარებელი

სიმფეროპოლი, 9 მაისი. გუშინ ღამით სიმფეროპოლზე გაიარა მოსკოვისაკენ მიმავალმა სამგლოვიარო მატარებელმა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ციურუპას ცხედრით. სადგურზე მატარებელს შეხვდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და წითელი არმიის ნაწილების წარმომადგენლები. კუბო გვირგვინით იქნა შემკობილი (ადს).

ამხ. ციურუპას უკანასკნელი წერილი

მოსკოვი, 9 მაისი. სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა სამმართველომ 8 მაისს ყირიმიდან მიიღო ამხ. ციურუპას მიერ სიკვდილის წინა დღით დაწერილი ბარათი (ღია ბარათი), ღია ბარათი დაწერილია 6 მაისს.

აი რას სწერდა ამხ. ციურუპა ერთი დღით ადრე სიკვდილამდე: „გიგზავნით სალამს ჩემო საყვარელო და ძვირფასო მეგობრებო, გადაეცით ჩემი სალამი ჩემს მეგობრებსა და ამხანაგებს, აგრეთვე ამხანაგებს სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველოსა და სამდივნოდან. ყველას მხურვალედ გკოცნით **ციურუპა**“.

პროფინტერნის აღმასბიუროს სამძიმარი

მოსკოვი, 9 მაისი. პროფინტერნის აღმასბიურომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გამოუცხადა ღრმა თანაგრძნობა ამხ. ციურუპას გარდაცვალების გამო, რაც დიდი დანაკლისია კომპარტიისა, მუშათა კლასისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის. (ადს).

სამძიმრის გამოცხადება

მოსკოვი, 9 მაისი. ამხ. ციურუპას გარდაცვალების გამო გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს სამძიმარი გამოუცხადეს გერმანიის ელჩმა **ბროკდორფ-რანცაუმ,** საფრანგეთისამ—**ერბეტმა,** იაპონიისამ—**ტანაკამ,** ლატვიის—**ოზოლსმა,** ლიტვის—**ბალტრუშაიტისმა,** პოლონეთის წარმომადგენელმა—**პატეკმა,** ჩეხო-სლოვაკიისამ—**გირსმა** და ავსტრიის რწმუნებულმა—**ბუდაჩეკმა** (ადს).

ბრძანება ვაჭრობის სახალხო კომისარიატისადმი

მოსკოვი, 9 მაისი. გამოქვეყნებულია ამხ. **მიქოიანის** ბრძანება ვაჭრობის სახალხო კომისარიატისადმი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ამხ. ციურუპას სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის საგარეო და შინაური ვაჭრობის განვითარების ისტორიასთან. საგარეო და შინაური ვაჭრობის სახალხო კომისრის თანამდებობის დატოვების შემდეგ იგი კვლავ მონაწილეობას იღებდა კომისარიატის მუშაობის ხელმძღვანელობაში, როგორც სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის მშენებლობის საქმე, ამხ. ციურუპას სიკვდილი ღრმესი მწუხარების გრძნობას ჩაუნერგავს გულში“ (ადს).

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დეპეშა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.—ს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში:

„საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი და ა.-კავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაციები იზიარებენ ცენტრალურ კომიტეტის ღრმა მწუხარებას მისი ერთ-ერთი საუკეთესო წევრის ა. დ. ციურუპას დაკარგვის გამო.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი **რუზუნი.**

საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს დეპეშა

საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **ფ. მახარაძემ,** და საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ლ. ქართველიშვილმა** საბჭოთა კავშირის ცაკს და სახკომსაბჭოს გაუგზავნეს შემდეგი შინაარსის სამძიმრის დეპეშა.

საქართველოს ცაკი და სახკომსაბჭო იზიარებენ საერთო მწუხარებას ამხანაგ ციურუპას დაკარგვის გამო და თავს იხრიან რევოლიუციის ამ ერთგულ დარაჯის დაუვიწყარი ხსოვნის წინაშე. მთელ თავის სიცოცხლეში ის ემსახურებოდა მშრომელთა განთავისუფლების დიდ იდეას. მუშათა კლასის საქმისათვის ამ გამოწრთობილი მებრძოლის სიმტკიცე და დაუღალავი ენერგია ყოველთვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იქნება ახალგაზრდა თაობისათვის.

საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზ-ბის სამძიმარი

ამხ. ციურუპას გარდაცვალების გამო, საქ. ძველ ბოლშ. საზ-ბის საერთო კრებამ საქ. კომ. პარტიის ცეკას, საკავშირო სახკომსაბჭოს და მოსკოვის ძველ ბოლშევიკთა საზ-ბას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

საქართველოს ძველ ბოლშევიკების საზოგადოების 8 მაისის საერთო კრებამ, მიიღო რა ცნობა ძველ ბოლშევიკ ციურუპას გარდაცვალების შესახებ, ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და დაადგინა: გამოეცხადოს სამძიმარი ჩვენს პარტიას აქტიურ ამხანაგის დაკარგვის გამო, რომელმაც თავის სიცოცხლის საუკეთესო წლები შესწირა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

კრების თავმჯდომარე ფ მახარაძე.

შახტის კონტრ-რევოლიუციონერების გასამართლება

საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს განმკარგულებელი სხდომა

მოსკოვი, 9 მაისი. საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს განმკარგულებელ სხდომაზე დამტკიცებულია დონბასის ეკონომიურ კონტრრევოლიუციის საქმის ბრალდებულთა დამცველების შემადგენლობა. ყველა ბრალდებულებს ეყოლებათ 15 დამცველი. ბრალდებულ გერმანელ ქვეშევრდომებს, მათი თხოვნის თანახმად, დაიცავენ: ინჟენერ ოტოს—პროფესორი ვორმსი, მონტიორ მეიერს—დოლმატოვსკი, მონტიორ ბადსტიბერს—ოცეპი, დანარჩენ ბრალდებულებს დაიცავენ—ორდინსკი, მერანვილი, კომოდოვი, მალიანტოვიჩი, მურავიოვი და სხვ. (ადს).

დღის ცნობები

სპეციალური პოლიტიკური პოლიციის ორგანიზაცია

ტოკიო, 8 მაისი. იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი 2 მილიონი იენის გადადების შესახებ, რომელიც უნდა მოხმარდეს სპეციალური პოლიტიკური პოლიციის ორგანიზაციას რადიკალიზმთან საბრძოლველად.

აეროდრომის მოწყობა

პეკინი, 8 მაისი. ტიანცზინში იაპონიის გარნიზონის უფროსმა ნებართვის უქონლობის მიუხედავად დაიწყო აეროდრომის მოწყობა.

იაპონია მარტო ვერაფერს გახდება

ლონდონი, 9 მაისი. „დეილი ექსპრესის“ აზრით იაპონიას შეუძლია მოახდინოს შანდუნის ოკუპაცია; იგი ამის გამო სწერს: „იაპონია გონივრად მოიქცევა, თუ ჩინეთში თავის გეგმებს განახორციელებს მხოლოდ სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით, რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს, იაპონია მარტო ვერაფერს გახდება და მარტო ვერ გადასწყვეტს ამ საკითხს, რომელიც არსებითად მსოფლიო პრობლემას წარმოადგენს“.

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს: „თუ იაპონია შანდუნს დაიჭერს, უეჭველია, იქ განუსაზღვრელ დროს დარჩება, ვინაიდან მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია. ჩინეთში სამოქალაქო ომი ვერ შესწყდება დიპლომატიური ნოტებით“.

შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ შანდუნის ოკუპაციამ შეიძლება ხელახლა მოათხოვნინოს ინგლისურ წრეებს, რომ ინგლისმა „უფრო მკვიდრად მოიკიდოს ფეხი იანცზის რაიონში“.

დასასრულ გაზეთი სწერს: „ყოველსავე ამას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ჩინეთის გავლენის სფეროებად გაყოფის პოლიტიკის გამწვავება მსოფლიო ომის წინ, რომელიც საფრთხეს უმზადებს არა მარტო ჩინეთის მთლიანობას, არამედ ჩინეთში მტაცებლურად მომქმედ სახელმწიფოთა კეთილი ურთიერთობის შენარჩუნებას“. (ადს).

ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების შუამდგომლობის პირობები

ვაშინგტონი, 9 მაისი. გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატები ვერ იკისრებს შუამდგომლობას იაპონია-ჩინეთის კონფლიქტში, რომელიც ცზინანის ამბების გამო წარმოიშვა, თუ ეს შუამდგომლობას ორივე მხარე არ ითხოვს. გარეშე საქმეთა მინისტრს კელოგს ეწვია იაპონიის ელჩი, რომელმაც განუცხადა, რომ შანდუნში იაპონელების მოქმედებას მიზნად აქვს მხოლოდ იაპონელი მოქალაქეების სიცოცხლისა და ქონების დაცვა (ადს).

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი

მოსკოვი, 9 მაისი. 9 მაისს, ღამე სისრულეში მოიყვანეს განაჩენი ყირიმის ცაკის ყოფილ თავმჯდომარის **ველი იბრაჰიმოვისა** და აგრეთვე თათართა გადასახლებისა და დასახლების ხელშემწყობი საზოგადოების ყოფილი მდივნის **მუსტაფას** მიმართ, რომელთაც რ. ს. ფ. ს. რ.-ის უზენაესი სასამართლოს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა (ადს).

მიწისძვრა ლენინაკანში

ლენინაკანი, 9 მაისი. 22 ს. და 54 წუთზე ლენინაკანში ადგილი ჰქონდა საკმაოდ ძლიერ მიწისძვრას სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ზოგიერთი სახლების კედლები დასკდა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

განსაკუთრებით ძლიერ მიწისძვრა ბიძგებს ადგილი ჰქონდა კიზილკოჩკომის და აგბაბინსკის რაიონებში.

მიწისძვრა

გუშინ საღამოს 11 საათზე საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს საკმაოდ ძლიერი მახლობელი მიწისძვრა, რომლის კერაც დაშორებულია თბილისიდან 160 კილომეტრით.

თბილისში მიწისძვრის სიძლიერე უდრიდა 5 ბალლს (ნიშანს). მიწისძვრას არ ჰქონია კატასტროფიული ხასიათი.

ამანულა-ხანი მოსკოვში

მუსლიმანთა დელეგაციის მიღება

მოსკოვი, 9 მაისი. 8 მაისს ფადიშახმა ამანულა-ხანმა მიიღო საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მუსლიმანთა დელეგაცია, რომელსაც ცენტრალურ სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე **მუფტი სახრდინოვი** მეთაურობდა. სახრდინოვმა საბჭოთა კავშირის მუსლიმანური მოსახლეობის სახელით მისალმა ფადიშახს, როგორც რეფორმატორსა და ბელადს, რომელმაც ავღანისტანი გაანთავისუფლა იმპერიალისტების ჩაგვრისაგან და თავისუფალ და დამოუკიდებელ ავღანისტანიდან შექმნა მოწინავე, სამაგალითო ქვეყანა აღმოსავლეთის ყველა ჩაგრული ერებისათვის და რომელმაც საბჭოთა კავშირთან დაამყარა გულწრფელი მეგობრული დამოკიდებულება და მით ხელი შეუწყო ეკონომიური და კულტურული კავშირის განვითარებას ორივე ქვეყანას შორის.

ფადიშახმა მადლობა გადაუხადა დელეგაციის წევრებს მისალმებისათვის და აღნიშნა, რომ ის პატივისცემით მოეკიდება საბჭოთა კავშირის მუსლიმანური მოსახლეობის სახელით ნათქვამ სიტყვებს.

„მუსლიმანურ სასულიერო წოდების კონსერვატიული ნაწილი,—სთქვა შემდეგ ფადიშახმა,—ამახინჯებდა ისლამის მოძღვრებას და სწორად არ განმარტავდა მას. განსაკუთრებით ეს ნათლად ჩანს ქალების მიმართ. აქედან ევროპიელებმა გამოიყვანეს დასკვნა, რომ მუსლიმანური სარწმუნოება შეუთავსებელია თანამედროვე კულტურასთან, მრავალცოლიანობა და ჩადრა უკვე წარსულის ნაშთია, ამიტომ თქვენ, სასულიერო პირებმა, სათანადოთ უნდა განუმარტოთ ისლამის მოძღვრება მუსლიმანურ მოსახლეობას“. (ადს).

პარტიული ცხოვრება

მუშკორები და ბიუროების გადარჩევა

გუშინ საღამოს 7 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბში შესდგა თბილისის ყოველდღიურ და კედლის გაზეთების მუშკორთა საქალაქო კრება. კრებაზე, კომუჯრედების ბიუროების გადარჩევისა და მათში მუშკორთა მონაწილეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბედია, რომელმაც გააცნო კრებას პარტიის ხაზი როგორც კერძოდ მუშკორთა შორის მუშაობაში, ისე საერთოდ მასიურ მუშაობის დარგში და აღნიშნა, რომ მუშკორებმა ისეთივე მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ კომუჯრედის ბიუროების გადარჩევაში და გააშუქონ გაზეთის ფურცლებზე უჯრედების ნაკლი და მიღწევები, როგორც ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიერ ჩატარებულ სხვა კამპანიებში მუშკორებმა უნდა გააცნონ ფართო მასას რა მუშაობას აწარმოებდა ბიურო, როგორ ხელმძღვანელობას უწევდა ადგილობრივ სხვადასხვა თავისუფალ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, რაში გამოიხატებოდა ბიუროს ხელმძღვანელობა საწარმოო თათბირებისა და საერთოდ წარმოების რაციონალიზაციის დარგში და სხ.

ამ კამპანიაში განსაკუთრებით დიდია კედლის გაზეთების ამოცანები: კედლის გაზეთებში უნდა შუქდებოდეს მუშათა ფართო მასის აზრი კომუჯრედის ბიუროს მუშაობაზე. დასასრულ მომხსენებელი მოუწოდებს მუშკორებს, აქტიურად ჩაებან ბიუროების საგადარჩევო კამპანიაში და ხელი შეუწყონ მის ნაყოფიერად ჩატარებას.

მოხსენების ირგვლივ ილაპარაკა რამოდენიმე მუშკორმა, რომლებიც მოუწოდებდნენ ყველას გაამართლონ პარტიისა და ხელისუფლების იმედები და გააშუქონ, როგორც კედლის, ისე ყოველდღიურ გაზეთებში კომუჯრედის ბიუროების საქმიანობა. კრებამ ამხ. ბედიას მოხსენება მიიღო სახელმძღვანელოდ.

უჯრედთა ბიუროების საარჩევნო კრებებზე

ლენინის სახ. თამბაქოს ქარხანა

ქარხნის მუშები დღეს 2 საათზე ასრულებენ მუშაობას კომუჯრედის წევრები იკრიბებიან დიდ დარბაზში—ვინაიდან უჯრედის წევრები ქარხნიდან მეტის მეტად შორს ცხოვრობენ, ბიურომ მიზანშეწონილად სცნო კრების მოწვევა მუშაობის შემდეგ.

ეს იყო უჯრედის წევრთა სურვილიც, მაგრამ დაქანცულობამ თავისი გაიტანა: ბევრი ერთმა უხალისოდ მიმჯდარიყო უკან, კუთხეში კარებისაკენ, თითქოს გაპარვას ეპირებათ.

ზოგიერთი ძალაუნებურად სთვლემდა. უმრავლესობას კი მზრუნველობით მოემარჯვებინა ქაღალდი და ფანქარი. ყურადღებით აქცევდა მოხსენების თვითეულ წვრილმანს.

უჯრედის მდივანი ამხ. ლიაპინი დალაგებით და ფართოთ უშლის კრებას ბიუროს მუშაობის სურათს.

— საორგანიზაციო კომისიამ უკანასკნელ ხანებში თავისი მუშაობა გამოაცოცხლა. უჯრედის წევრები მიმაგრებული იყვნენ პირველ და მეორე საფეხურის პოლიტსკოლებზე. ჩვენ თვითონ გვქონდა ჩამოყალიბებული მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე სამწუხაროდ მსმენელები ხშირად აკლდებოდენ წრის მეცადინეობას.

— თვით შენც არ ესწრებოდი მოსწრებულად შენიშნავს ამხ. ლიაპინს უჯრედის ერთ-ერთი წევრი-ქალი.

— რა უყოთ ამხანაგებო, მე გამომკვლევ კომისიებში მიხდებოდა მუშაობა.—თავს იმართლებს მდივანი.

— პარტორგების ინსტიტუტმა—განაგრძობს მომხსენებელი, გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. პარტორგები საუკეთესოდ ამცნობდენ უპარტიო მუშების განწყობილებას და სათანადო პასუხსაც აძლევდენ მუშებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, იმ შემთხვევაში, როცა თვითონ ვერ არკვევდა ამა თუ იმ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, პარტორგი მოგვმართავდა ჩვენ განმარტებისათვის.

პარტდატვირთვის განაწილება ვერ არის დამაკმაყოფილებელი, პარტიის ზოგი წევრი გაურბის დავალებათა შესრულებას.

ვერ შევძელით სათანადო ბრძოლის წარმოება სამუშაო დღის გაცდენის წინააღმდეგ, რომლის მაგალითები ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან გახშირდა ამთავრებს თავის მოხსენებას.

— ბიურომ ვერ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება თავისუფალ საზოგადოების მუშაობას; სამეფო საზოგადოების კავშირში ზოგიერთ ამხანაგებს არა აქვთ გადახდილი 9—10 თვის საწევრო გადასახადი. როდესაც მოვითხოვე მათგან საწევრო გადასახადის შემოტანას, იძახიან აცხადებენ: თუ გინდათ ამოგვშალეთ არ გვსურს მუშაობა,—ამბობს კამათში სამეფო საზოგადოების უჯრედის მდივანი.

— ბიურომ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მომავალში იმ გარემოებას, რომ ხშირად არ იქნეს მოწვეული სხვადასხვა თათბირები

— უჯრედის ამა თუ იმ ნაკლის საქმიანი გაკრიტიკებისათვის უჯრედის წევრებს არ უნდა აფრთხობდეს ბიურო (სტურუა).

— ქალთა შორის მუშაობა ძალზე მოიკოჭლებს. მეტი ყურადღება მათ დაწინაურებას და ჩვენ სამეურნეო ცხოვრებაში ჩაბმას! აღნიშნავს შემდეგი ორატორი.

— აგიტკომისია ვერ აწარმოებს ნაყოფიერ მუშაობას. სარედაქციო კოლეგიაში არ სჩანს უჯრედის აქტივის მონაწილეობა, რის გამოც ხშირად იგვიანებს კედლის გაზეთის მორიგი ნომერი. (მინასიანი).

კრებამ ვერ ამოსწურა ერთ სხდომაზე დღის წესრიგი. კამათის გაგრძელება და ბიუროს არჩევნები გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

ნ. ფ—ძე.

1-ელ ქართ. მსროლელ დივიზიის პარტკონფერენცია

5 მაისს, ქ. ქუთაისში გაიხსნა 1-ლ დივიზიის მე-7 პარტიული კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა: 1) პოლიტსამმართველოს მოხსენება, 2) პოლიტგანყოფილების ანგარიში, 3) დივ-პარტ-კომისიის ანგარიში, დივიზიის მეთაურის მოხსენება და 4) პარტკომისიის არჩევნები.

კონფერენციის ორგანოების არჩევის შემდეგ დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. პეტროვი, ის უმთავრესად ამუქებს ნაწილების პარტორგანიზაციების მონაწილეობას წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების საქმეში. ამხ. პეტროვი დაწვრილებით ჩერდება წ. არმიელების აღზრდაზე და კულტურულ რევოლიუციის ამოცანებზე და ამბობს, რომ წითელ არმიელთა მასა ფართოთ უნდა იქნეს გაცნობილი პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებებთან.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ფორმალიზმს, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ჩვენს პოლიტგანმანათლებელ მუშაობაში. მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე მეთაურთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებზე და სხვა.

ამხ. პეტროვის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს 20 ამხანაგმა. ორატორების გამოსვლა მეტად ცოცხალი და საქმიანი ხასიათის იყო. კამათის დროს კონფერენციაზე შემოვიდა კ. წ. დ. არმიის მთავარსარდალი ამხ. ლევანდოვსკი, რომელსაც დელეგატები ტაშით და დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. პეტროვმა კონფერენციის ყურადღება მიაქცია პოლიტშემადგენლობის სწავლა-აღზრდის საკითხებს.

კონფერენციის მეორე დღეს (6 მაისს) მოსმენილ იქნა ამხ. დევდარიანის და მელაძის მოხსენებები. ამხ. დევდარიანი პირველად შეეხო ყრილობების და კონფერენციების დადგენილებათა რეალიზაციის საკითხებს წ. ჯარში და შემდეგ გადავიდა რა დივიზიის შემადგენლობის დახასიათებაზე აღნიშნა, რომ წელს ჩვენ უკეთესი გამოწვევა მივიღეთ, რამაც ძლიერ გააუმჯობესა ჩვენი სამხედრო პოლიტმომზადების საქმე.

ამხ. მელაძე შეეხო დივიზიის საბრძოლო მომზადების საკითხებს, თუ როგორ მიმდინარეობდა საზაფხულო სწავლება და რა უშლიდა მას ხელს. ამხანაგი ეხება აგრეთვე სროლის საქმეს და ამბობს, რომ ამ მხრივ ჩვენ ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი გვიჭირავს წითელი არმიის მაშტაბით. დისციპლინა ზოგიერთ დარგში მოისუსტებს. ნაწილებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს. კამათში მოხსენებების ირგვლივ მონაწილეობა მიიღო 40 კაცმა. ორატორები მიუთითებდნენ ცოცხალი ხელმძღვანელობის გაძლიერების და ნაცუმცირესობათა შორის მუშაობის გაღრმავების აუცილებლობაზე. აგრეთვე ეხებოდენ მოქალაქეთა გასამხედროებისა და უფშემადგენლობის წითელ არმიელებთან უფრო მეტ დაახლოვების საკითხებს.

ს. გეგია.

საკ. კომკავშირის ყრილობა

მოსკოვი, 9 მაისი. კომკავშირის ყრილობის 8 მაისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ბუხარინის და ჩიპლინის მოხსენებათა გარშემო.

კამათში გამოსულმა ამხ. ლუნაჩარსკიმ გამოთქვა რწმენა, რომ კომკავშირი ყოველგვარი საშუალებით დაუჭერს მხარს სახალხო განათლების ორგანოებს სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ახალი კადრების მომზადებისა და კულტურული რევოლიუციის ამოცანების განხორციელების საქმეში.

საღამოს სხდომაზე კამათში გამოვიდა ამხ. კრუპსკაია. მან ყრილობას მოაგონა ლენინის სიტყვები ორგანიზაციის საჭიროების შესახებ: „ორგანიზაცია,—ამბობდა ლენინი,—სოციალისტური მშენებლობის საფუძველია“-ო.

„როცა არსდებოდა ჩვენი პარტია,—სთქვა ამხ. კრუპსკაიამ,—ლენინი ამბობდა, პარტიის ყოველი წევრი უდიდესი მანქანის შემადგენელ ნაწილად უნდა გრძნობდეს თავსო. ჩვენი პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციის მანქანა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მოქნილი და სოციალისტური მშენებლობის ახალ პირობებთან შეგუებული. ჩვენთვის საჭიროა ფხიზელი კომუნისტური თვალი, ვინაიდან ხშირად მხედველობიდან გვეპარება მნიშვნელოვანი ფაქტები.

ამხ. ვალ. ბახტაძის განცხადება

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანს ამხ. [illegible]

ცხადია, უფრო ადრე უნდა გამეცხადებია ის, რასაც ეხლა გწერ, მაგრამ ვფიქრობ — სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

ჩემთვის უკვე ნათელია: ოპოზიცია პარტიის და მის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლაში უკვე მივიდა იმ საზღვრამდე, როდესაც იგი ობიექტიურად, ფაქტიურად, რეაქციის წისქვილს უმატებს წყალს. ოპოზიციის კრიტიკა, პარტიის ხაზის გამოსწორებისაკენ მიმართული, გადაიქცა უკვე ჩვენი მტრების იარაღათ, კომუნისტური პარტიის მეთაურობის და საბჭოთა ხელისუფლების მოსპობის იარაღათ. საინტერესო არ არის და მნიშვნელობაც არა აქვს იმას, თუ რას ფიქრობს, რა უნდა სუბიექტიურად ოპოზიციას; საინტერესო ის არის და მნიშვნელობაც იმას აქვს, რომ ის ბრძოლა, რომელსაც ოპოზიცია განაგრძობს პარტიის და მისი ცეკას ხელმძღვანელობის წინააღმდეგ — უნდა არ უნდა მას — მუშათა კლასის დიქტატურის წინააღმდეგ არის მიმართული. პარტიის გარეშე დარჩენილ ოპოზიციის არსებობის საჭიროება — რევოლიუციის სარგებლიანობის თვალსაზრისით — შეიძლება მხოლოდ იმ პირობებში, თუ კომუნისტური პარტიის მეთაურობა უკვე არ მიდის რევოლიუციის გზით, თვით კომუნისტური პარტია საბოლოოდ გადაგვარდა და დაჰკარგა მარქსის და ლენინის გზა, თუ თვით დიქტატურა პროლეტარიატისა — პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველი არ არის, ე. ი. იგი უკვე აღარ არსებობს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება გამართლებულ იქნას რევოლიუციის თვალსაზრისით და არამც თუ გამართლებული, აუცილებლად საჭიროდ ცნობილი მუშათა კლასის ახალი პარტიის დაარსების ცდა და ბრძოლა კომუნისტურ პარტიის იქიდან პარტიის წინააღმდეგ.

ფიქრობს ასე ოპოზიცია? მგონია, რომ არა, ყოველ შემთხვევაში ასეთია მისი საჯარო განცხადებანი მე-15 ყრილობამდე და თვით ყრილობაზე. მაშასადამე ცდა ახალი პარტიის დაარსებისა და ბრძოლის გაგრძელება რევოლიუციის სარგებლიანობიდან ვერ გამოვა. პირიქით. ამიტომაც მე ყოველთვის რევოლიუციონურ ლოღიკას მოკლებულად, გაბოროტებულ ადამიანების ჯიუტობათ, თავმოყვარეობა შელახულ ინდივიდუალისტობათ, დაუშვებელ შეცდომათ მიმაჩნია ოპოზიციის არსებობა და ოპოზიციონერობა...

მაგრამ შეიძლება მე ვცდები და ზოგიერთი ოპოზიციონერები ფიქრობენ მართლაც, რომ პარტია საბოლოოდ გადაგვარდა, ხელმძღვანელობა ასცილდა ლენინიზმის გზას პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის კარდინალურ საკითხებში; კომუნისტური ინტერნაციონალი უკვე არ არის ერთად ერთი შტაბი მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის მომზადებისა და გამარჯვებისა, მაშინ ბრძოლების გაგრძელებაშიც ლოღიკა არის და ახალი პარტიის შექმნის ცდაშიც. მაგრამ, ჩემი „ოპოზიციონერობა“ არასოდეს ამდაგვარი შეხედულებანი არ ქონია და ცხადია, არც ეხლა ექნება. ასეთი ოპოზიციონერები — თუ კი ისინი არიან და ამის შესაძლებლობა ექნებათ — საბოლოოდ დაღუპავენ რევოლიუციასაც და გზა მათი მენშევიზმის ჭაობისაკენ უკვე გაკაფულია.

მე კარგად ვიცი — უკან დახევა ხშირად უფრო ძნელია, ვიდრე წინსვლა. მაგრამ უკან დახევის, ე. ი. პარტიასთან მოსვლის დაბრკოლებანი, რომლებიც უმთავრესად თვით ოპოზიციაშია, ოპოზიციამ, — ყოველ შემთხვევაში მათ, რომელთაც კი სურთ კვლავ ემსახურონ რევოლიუციას — უნდა დასძლიოს. არ დაგვავიწყდეს, რომ უკან დახევა ამ შემთხვევაში ნიშნავს რევოლიუციასთან მოსვლას, წინსვლა კი რეაქციის ბანაკში თავის ამოყოფას ან და სრულ პოლიტიკურ სიკვდილს.

მე უყოყმანოთ და საბოლოოდ გადავწყვიტე პარტიასთან დარჩენა, რადგან [illegible] ამით რევოლიუციას [illegible]

მე კარგად ვიცი, თუ რა ძნელია ხშირად „საკუთარ თავთან“ ბრძოლა. მაგრამ რევოლიუციონერობა არ ნიშნავს მარტო იმას, რომ სხვებს ებრძოლო, ხშირად შენს „საკუთარ თავსაც“ უნდა მოკიდო მაგრად ხელი. „ჯიუტობა“ საერთოთ ცუდი თვისებაა, ოპოზიციის არსებობის დღევანდელ პირობებში კი დამღუპველია. პარტიისაკენ უკან დასახევი ხიდები ჯერ კიდევ არ არის სავსებით დამწვარი. საჭიროა ვისარგებლოთ ამით და აუცილებელი დაღუპვა, როგორც რევოლიუციონერებისა, რომელიც ჩვენ მოგველის, თავიდან ავიცილოთ.

და ცხადია, პარტიაში დაბრუნება არა იმიტომ, რომ „ცოტა შევისვენოთ“ და კვლავ მოხერხებულ პირობებში „ძველი გალობა“ დავიწყოთ... არა და არა. ვინც ასე ფიქრობს, მისთვის ჯობია დაივიწყოს საბოლოოდ, რომ ის ოდესღაც კომუნისტურ პარტიის წევრი იყო... „დიპლომატობის“ დრო წავიდა და არ დაბრუნდება. არც გამოვა აქედან არაფერი, გარდა ახალი „სამარცხვინო მარცხისა“.

პარტია ახალი და უდიდესი ამოცანების წინაშე სდგას. ბრძოლანი და დაბრკოლებანი ჯერ კიდევ ბევრი იქნება ჩვენი წინსვლის გზაზე. მაგრამ მიუხედავად ყოველივესი კომუნისტური პარტია, ის რომელიც დღეს მეთაურობს საბჭოთა ქვეყნებს და მსოფლიოს მუშათა მოძრაობას, აუცილებლივ გაიმარჯვებს. ეს იქნება გამარჯვება სოციალიზმის, კომუნიზმის.

გულწრფელი სურვილით მე მინდა ვიმუშაო და მოვკვდე ამ გამარჯვებისათვის მებრძოლ ერთად ერთ ლენინურ კომუნისტურ პარტიის რიგებში. კომუნისტურ პარტიასთან და მის ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად ყოველგვარ გამთიშველების წინააღმდეგ!

ვალ. ბახტაძე.

30 აპრილი, აბასთუმანი.

გერმანიის ახალი კონსული ამიერ-კავკასიაში

თბილისში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიაში ახლად დანიშნული გერმანიის კონსული დ-რი ბენდორფი.

უკანასკნელ ხანამდე მოქ. ბენდორფი ასრულებდა გერმანიის კონსულის მრჩევლის თანამდებობას ანგორაში. მოქ. ბენდორფმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ იგი ყოველ ღონით შეუწყობს ხელს ამიერ-კავკასიის და გერმანიის შორის კულტურულ კავშირის განმტკიცებას.

მე ბედნიერი ვარ—განაცხადა მოქ. ბენდორფმა, რომ ჩემი თანამდებობის შესრულება მიხდება ა. კ.-ში.

ამიერ-კავკასიის ხალხებს მთელ მსოფლიოში ბევრი მეგობრები მოეპოვება. მაგრამ ამ ხალხებისადმი გერმანია განწყობილია ყველაზე უფრო მეგობრულად.

მიუხედავად იმისა, რომ მე ცოტა ხანია რაც თბილისში ჩამოვედი, უკვე გამოვიტანე ბევრი სასიამოვნო შთაბეჭდილება და წინასწარ ვარ დარწმუნებული, რომ ამიერ-კავკასიის და გერმანიის შორის მეგობრული ურთიერთობა მომავალში უფრო გაძლიერდება. ჩემი წინათ გრძნობის რეალობაში მე კიდევ უფრო დავრწმუნდი მას შემდეგ, რაც ვინახულე ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მოქალაქე შ. ელიავა, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული მოქ. კარკლინი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მოქ. ს. ჟღენტი.

მე მწამს, რომ ის სრული ნდობით სავსე ურთიერთობა საბჭოთა კავშირის დაწესებულებათა და გერმანიის საკონსულოს შორის, რომელიც არსებობდა ჩემს აქ ჩამოსვლამდე, მომავალში უფრო გაღრმავდება და ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის და გერმანიის მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებას.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ, დღის 11 საათზე, ამხ. მ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის და ზაჰესის სამშენებლო კომიტეტის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა:

ზაჰესის სამშენებლო კომიტეტის მუშაობის საბოლოო ანგარიში

ზაჰესის საამშენებლო კომიტეტის მუშაობის საბოლოო ანგარიშის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. ბ. ჭიჭინაძემ და გ. დოლიძემ.

წარმოდგენილ საბოლოო ანგარიშის მიხედვით ზაჰესის აგებაზე სულ დახარჯულა—17.135.000 მანეთი.

აქედან მარტო სადგურის აგება და მისი სავსებით მოწყობა დაჯდა 13.900 მანეთი, დანარჩენი თანხის ნაწილით მოწყობილ იქნა მუშათა ბინები, ხიდები მდ. მტკვარზე, ვიადუკი და გზატკეცილი. ყველა ამ სამუშაოებზე დახარჯულა 665 ათასი მანეთი.

ქალაქში ელექტრო-ქსელის გასაყვანად, ელექტრო-ენერგიის გადამცემ ქვე-სადგურების მოსაწყობად და სხ. ზაჰესის საამშენებლო კომიტეტს გაუღია 791.000 მანეთი.

დანარჩენ თანხას შეიცავს სადგურის დამთავრების შემდეგ დარჩენილი მასალები, ინვენტარი და სხვ.

დარჩენილ მასალებიდან რიონჰესს გადაეცა 751.000 მანეთის ელექტრო-მექანიკური მოწყობილობა და საამშენებლო მასალა, ხოლო თბილისის წყალსადენს 359.000 მანეთის ელექტრო-მექანიკური მოწყობილობა და მასალა.

გარდა ამისა, სალერზო და ალებულ სესხებზე საპროცენტო გადასახადის დასაფარავად გაღებულ იქნა 662.000 მანეთი. დანარჩენი თანხები ირიცხება სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებზე და დებიტორებზე.

ყველა ეს თანხები გაღებულ იქნა საკავშირო მთავრობისაგან, თბილისის აღმასკომის, საქ. სახალხო კომისართა საბჭოს და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

სხდომამ დაამტკიცა წარმოდგენილი ანგარიში და დაადგინა გამოსცეს ის ცალკე კრებულად 1.000 ცალის რაოდენობით.

სხდომამ აგრეთვე გადასწყვიტა ცალკე ალბომის სახით გამოსცეს სადგურის ნახაზები, ინჟენერების მუშაობა-ანგარიშები და სხვა ტექნიკური მასალები, რომლებსაც ჰიდრო-ელექტრო მშენებლობაში აქვს სამეცნიერო მნიშვნელობა.

შემდეგ სხდომამ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ზაჰესის აგების ერთ-ერთ ინიციატორის და საამშენებლო-ტექნიკურ განყოფილების გამგის ინჟ. **ვასილიევის** ოჯახს დაენიშნოს გაძლიერებული პენსია.

დასასრულ, სხდომის დადგენილებით ზაჰესის საამშენებლო კომიტეტი გამოცხადებულ იქნა დაშლილად.

გაერთიანებულ სხდომის დამთავრების შემდეგ, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა თბილისის აღმასკომთან დაარსებული იქნეს მ. გ. ინსპექციის განყოფილება.

ქუთაისის ელექტროფიკაციის გეგმა

თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. **კალანდაძე,** რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს საქ. ტექნიკური საზოგადოების ელექტრო-ტექნიკურ სექციასთან ქუთაისის საელექტროფიკაციო სამუშაოთა გეგმის შედგენის შესახებ.

რიონჰესის ჰიდრო-ელსადგურის აგების შემდეგ ქუთაისი გადაიქცევა საქართველოს ე. წ. ჰიდრო-ცენტრალურ საკვანძო პუნქტად, ერთი მეორეს შეუერთდება სამი დიდი ჰიდრო-ელსადგურის ენერგია—ზაჰესის, რიონჰესის და აბაშის ჰიდრო-ელსადგურის. აბაშის ჰიდრო-ელსადგურიდან ქუთაისამდე უკვე დაწყებულია ელექტრო ხაზის გაყვანა, რაც დასრულებული იქნება 1-ლ ოქტომბრისათვის და ამავე დროიდან ქალაქი მიიღებს აბაშის ენერგიას.

ელექტროფიკაციის გეგმით გათვალისწინებული იქნება ქუთაისის წარმოებისა და ფაბრიკების გადაყვანა ელექტრო-ენერგიაზე, ქუჩების განათება და კერძო აბონენტებისათვის სინათლის მიწოდება. მომავლისათვის იაფი ელექტრო-ენერგია გამოყენებული იქნება აგრეთვე ქუთაისის ახალი წყალსადენისა და ქალაქში ელექტრონის ტრამვაის გასაყვანად.

წინასწარი შეთანხმება საზოგადოების ელექტრო-ტექნიკურ სექციასა და ქუთაისის აღმასკომის წარმომადგენელს შორის უკვე მოხდა. სექციამ გამოყო საელექტროფიკაციო კომისია, რომელშიაც შედიან—ინჟ. გ. ანდრონიკაშვილი, ლ. ხიზანიშვილი, ა. მუსხელიშვილი და ინჟ. ყირქხელაშვილი.

საელექტროფიკაციო გეგმის დამუშავების კონსულტანტად მოწვეულია პროფ. ა. **დიდებულიძე.**

რიონჰესი

რა გაკეთდა

რიონჰესის სამუშაოთა მთავარმა მწარმოებელმა—ინჟენერმა მელიქ-ფაშაევმა ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს შემდეგი აცნობა რიონჰესში წარმოებულ მუშაობის შესახებ:

„ამჟამად თავდება ბარაკების, საწყობებისა და საცხოვრებელი ბინების მოწყობა, აგებულია მექანიკური სახელოსნოს შენობა. მალე დამთავრდება 680 ცხ. ძალიან დროებითი ელსადგურის შენობის აგება. შენობის შიგნით უკვე სწარმოებს მანქანების დადგმა. ახლო მომავალში გაყვანილი იქნება ელსადენის ხაზი“.

საქართველოს ბიუჯეტი*)

XV.

საქართველოს ბიუჯეტი და მენშევიკების ფინანსთა ექსმინისტრის კ. კანდელაკის „ფაქტები“

კ. კანდელაკი—მენშევიკების ყოფილი ფინანსთა მინისტრი—თავის ბროშურაში „რას ამბობენ ფაქტები“ ეხება საბჭოთა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების ზოგიერთ დარგებს და ცდილობს დაამტკიცოს ის, რაც ესიამოვნება მას და მის თანამოაზრეებს, რაც უნდათ მას და მის მომხრეებს, რომ იყოს სინამდვილეში, რაც მას **წინასწარ** აქვს გადაწყვეტილი დაამტკიცოს.

რისი დამტკიცება აქვს კ. კანდელაკს წინასწარ გადაწყვეტილი? მას ბევრი რამის დამტკიცება უნდა. მას უნდა დაამტკიცოს, სხვათა შორის, რომ საბჭოთა სახელმწიფო მრეწველობას სჯობია კერძო მრეწველობა, სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობას—კერძო ვაჭრობა, სახელმწიფო ბანკებს—კერძო ბანკები, ერთი სიტყვით საბჭოთა სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობას კერძო კაპიტალისტური მეურნეობა სჯობია. მას უნდა დაამტკიცოს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხის კავშირი რუსეთის მუშათა კლასთან საზარალოა ქართველი ხალხისთვის, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ქართველი ხალხი ამ კავშირს გასწყვეტდა რუსეთის მუშათა კლასთან და პირს იბრუნებდა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებისკენ, ვინაიდგან კაპიტალისტური ქვეყნებიდგან შემოტანილი საქონელი უფრო იაფია, ვიდრე რუსეთიდგანო.

მას უნდა დაამტკიცოს, რომ საქართველოს ბიუჯეტი არ არის დეფიციტიანი, რომ საბჭოთა კავშირი კი არ ეხმარება ფულებით საქართველოს, არამედ პირიქით საბჭოთა კავშირს, საბჭოთა რუსეთს მიაქვს ეს ფული საქართველოს შემოსავლიდგანო. ყველაფერი ეს უნდა დაამტკიცოს კ. კანდელაკს ჩვენივე მასალების მიხედვით, ამ შემთხვევაში, საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ გამოცემულ წიგნის „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-25 წ.“ მიხედვით. თუმცა ამ წიგნში გამოქვეყნებული ციფრობრივი მასალები მოძველებულია უკვე, ბევრი არასრული და ზოგი კი არასწორიც, მიუხედავათ ამისა ციფრებით და ფაქტებით დამტკიცება ყოველივე იმის, რის დამტკიცებაც განუძრახავს კ. კანდელაკს, ყოვლათ შეუძლებელია, თუ ამ ფაქტებს და ციფრებს კეთილსინდისიერათ მოეპყრობა კაცი, განძრახ არ დაამახინჯებს, არ გააუპატიურებს, ან და არ „ჩააწყობს“ ისე, როგორც შულერი აწყობს კარტს.

მე არ შევუდგები აქ ყველა იმ დებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაც, ყოველივე შანსების გარეშე, თავს უდვია მოქ. კ. კანდელაკს. რომელ მუშას, გლეხს, მშრომელს უნდა დაუმტკიცოს კ. კანდელაკმა, რომ საქართველოს მუშათა—კლასისათვის უმჯობესი იქნებოდა, თუ საქართველოს სახელმწიფო თამბაქოს ტრესტის მაგივრათ ისევ ბოზარჯიან—ენფიაჯიანცები დაეპატრონებოდნენ თბილისის თამბაქოს ფაბრიკებს, ან სახელმწიფო და კოოპერატიულ ბანკების მაგივრათ, კვლავ მკვდრეთით აღსდგებოდნენ ხოშტარია—აფრიკიანები? ასეთი მუშა, გლეხი, მშრომელი, საქართველოში ახლა სანთლით საძებნელია. კ. კანდელაკს, როცა საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მეურნეობას იწუნებს და კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის უპირატესობას ამტკიცებს, სახეში ჰყავს ალბათ სულ სხვა აუდიტორია, სახელდობრ ამ 7 წლის წინეთ სამუდამოთ დამსხვრეული წვრილ-ბურჟუაზიული წყობილების ის ნამტვრევები, რომელთა გადათრევა საბჭოთა საქართველოს ტერიტორიიდან ჯერ კიდევ სავსებით ვერ მოგვისწრია.

ვერ გავყვებით ჩვენ კ. კანდელაკს კამათში აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ჯობია საქართველოს მუშა—გლეხისთვის: ის, რომ ისინი ძმურ კავშირში არიან მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან და მასთან ერთათ აშენებს საქართველოს ტერიტორიაზე ფაბრიკა-ქარხნებს, ელექტრო-სადგურებს, რათა ამ გზით სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად თავი დააღწიონ დამოკიდებულებას კაპიტალისტურ მეურნეობისაგან, თუ ის, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა კავშირი გასწყვიტოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან და დაუახლოვდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს, რათა ამ საღირალით უფრო იაფი საქონელი შემოიტანოს საზღვარგარეთიდგან. ეს არის ფსიხოლოგია მომხმარებელის ან ვაჭრის და არა ფსიხოლოგია მწარმოებელი კლასის—მუშათა კლასის, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ისტორიული მისია—ააშენოს სოციალისტური საზოგადოება, რისთვისაც მან პირველათ ყოვლისა უნდა გარდაჰქმნას ახალ სოციალისტურ ნიადაგზე ჯერ თვით წარმოება და მხოლოთ შემდეგ მოხმარება.

ჩვენ შევჩერდით საბიუჯეტო საკითხებზე ეგრე დაწვრილებით და ვრცლათ იმიტომ, რომ ამ სფეროში ბევრნი სცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ საქართველოს ტერიტორიალური შემოსავალი ჰფარავს საქართველოს ყველა გასავალს, რომ საქართველოს ბიუჯეტი დღეს უკვე უდეფიციტოა. ადგილი აქვს ასეთ შემცდარ აზრს იმიტომ, რომ ჩვენი საბიუჯეტო უფლებები თითქმის ყოველ წლიწადს იცვლება, საშემოსავლო წყაროებისა და საგასავლო სტატიების გამიჯვნა საკავშირო ბიუჯეტსა და ა.-კ. ფედერატიულ ბიუჯეტს შორის ერთი მხრივ, და ამ უკანასკნელს და ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს შორის მეორე მხრივ, თითქმის ყოველ წლობით ხდება და ეს მუშაობა დღესაც არაა დამთავრებული. ამავე დროს საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა ა.-კ. ფედერაციასთან და საბჭოთა კავშირთან ისეთია, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ფუნქციები, ხელშეკრულების თანახმათ, საქართველოს გადაცემული აქვს ა.-კ. ფედერაციაზე და საბჭოთა კავშირზე. ამის და მიხედვით სათანადოთ განაწილებულია შემოსავალიც და გასავალიც ამ პოლიტიკურ ერთეულებთა შორის. **ბიუჯეტის** ასეთი კონსტრუქცია აძნელებს საქართველოს ტერიტორიალური ბიუჯეტის გამონაგარიშებას და ცალკე გამოყოფას. ჩვენ შევეცადეთ ამ წერილში ნათელი მოგვეფინა ამ საკითხისათვის და მკითხველი ჩაგვეხედვინებია საქმის სინამდვილეში. როგორც ციფრობრივ მასალების განხილვამ დაგვანახა, საქართველოს ბიუჯეტი 1926-27 და 1927-28 წლებში დეფიციტიანია. დეფიციტის რაოდენობა შეადგენს 1926-27 წელში — 17.618.979 და 1927-28 წელში—21.131.879 მანეთს. ჩვენ ვთქვით უკვე და კიდევ ვიმეორებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო ეს ციფრი არ არის სავსებით ბუხჰალტერულათ სწორი, ის, შეიძლება, რამოდენიმეთ მეტი იყოს, ან ნაკლები. მაგრამ ერთი კი ფაქტია: ჩვენი ბიუჯეტი აღნიშნულ წელში აშკარა დეფიციტიანია და ეს დეფიციტი იფარება საკავშირო კასიდან, და არა პირიქით, როგორც ამას ამტკიცებს კ. კანდელაკი, თითქოს საქართველოს ბიუჯეტით შემოსავალი მეტი იყოს, ვიდრე გასავალი და ეს ზედმეტი „იმპერიალისტურ“ რუსეთს მიჰქონდეს თავის სასარგებლოთ.

აქ შეიძლებოდა ჩვენ წერტილი დაგვესვა და გაგვეთავებია უკვე ლაპარაკი სადავო საკითხის შესახებ, დეფიციტიანია თუ არა ჩვენი ბიუჯეტი. მაგრამ მკითხველს შეიძლება ეგონოს, რომ კ. კანდელაკის დასკვნები სიმართლეს შეიცავდეს იმ წლის ბიუჯეტის შესახებ, რომელზედაც ლაპარაკობს კ. კანდელაკი და საგეგმო კომისიის „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-25 წელში“ ე. ი., 1924-25 წლის ბიუჯეტის შესახებ. ამიტომ მივყვეთ ფეხდაფეხ კ. კანდელაკის „ფაქტებს“ და ვნახოთ, თუ როგორ არა კეთილსინდისიერათ ეპყრობა ის ნამდვილ ფაქტებს და ციფრებს, როგორ ამახინჯებს ის მათ იმისათვის, რომ თავისი დაამტკიცოს.

კ. კანდელაკი თავის ზემოხსენებულ წიგნაკში სწერს: „ახლა ავიღოთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ნორმალურ დროს. ომის წინა წლებში საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით იხარჯებოდა დაახლოვებით 40-45 მილიონი მან. წელიწადში. მაშინ ვაჭრობა-მრეწველობა, კრედიტი, გამოცემლობა და სხვა მრავალი დარგი, რაც ახლა სახელმწიფო ხარჯზეა, უმთავრესათ კერძო პირთა და დაწესებულებათა ხელში იყო და ამ უკანასკნელთა ხარჯით ინახებოდა. გაიზარდა ახლა, სახელმწიფოს მიერ ახალ ფუნქციების ხელში აღების გამო, შესაფერისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ჯამი (შემოსავალი და გასავალი)? სრულიადაც არა: წინააღმდეგ. 1924-25 წ. საქართველოს ტერიტორიის მთელი სახელმწიფო შემოსავალი უდრიდა 23.917 ათას მანეთს და ხარჯი 21.634 ათას მანეთს, ხოლო არა ჩვეულებრივი ხარჯის მითვლით—28.607,5 ათას მანეთს (საგეგმო კომისიის მიერ გამოცემულ წიგნში მთელი სახელმწიფო შემოსავალი შეცდომით ნაჩვენებია 27.757,1 ათას მანეთი, რაც გასწორებულია თვით კ. კანდელაკის მიერ 27.757,1 ათას მანეთიდგან 28.607.5 ათას მანეთამდე. გ. მგ.); ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტი, თუმცა იმაში მრავალი ახალი სახის ხარჯია შესული, მაგალითად, 1913 წ. შედარებით (45.837 ათასი მან.) არამც თუ არ გაზრდილა, არამედ შემოკლებულა 40 პროცენტით. ეს არის ზოგადი დამახასიათებელი ნიშანი საქართველოს დღევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტისა.

ერთი სიტყვით, კ. კანდელაკს არ მოსწონს ის, რომ მიუხედავათ ახალი ხარჯებისა, რომელიც შესულია საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტში, ეს ბიუჯეტი, თავის მოცულობით მაინც ნაკლებია (40 პროც.), ვიდრე მეფის დროის ბიუჯეტი. (28.607,5 ათასი მანეთი წინააღმდეგ მეფის დროის 45.837 ათასი მანეთისა) დავუშვათ, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ბიუჯეტის ჯამები მათი ავტორების მიერ სწორათაა გამონაგარიშებული, თუმცა ეს მეტის მეტად საეჭვოა.. მიუხედავათ ამისა აქ ფაქტების სამი დამახინჯებაა დაშვებული კ. კანდელაკის მიერ.

ერთი ისა, რომ კ. კანდელაკი ადარებს ორ სხვადასხვა გვარ და შეუდარებელ ციფრებს. საბჭოთა ბიუჯეტში —28.607,5 მ.—არ შედის რკინის-გზების ხარჯები, მეფის დროის ბიუჯეტში—45.837.000 მ.—შედის რკ.-გზების ხარჯები, რომელიც იმავე საგეგმო კომისიის მიერ გამოყვანილია 1913 წლისათვის 11.435,5 ათასი მანეთი. ეს თანხა უნდა გამოვაკლოთ 45.837.000 მანეთს, მაშინ მივიღებთ, მეფის დროის ბიუჯეტს ურკინისგზოთ—34.401,5 ათას მანეთს.

მეორე დამახინჯება მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა საქართველოში ბიუჯეტი დიფერენციაცია ქმნილია და დღეს საქართველოს სახალხო მეურნეობაზე ფულები იხარჯება არამც თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდგან, არამედ ადგილობრივი ბიუჯეტიდგანაც, რომელიც საბჭოთა პირობებში დამატებაა იმავე სახელმწიფო ბიუჯეტის. 1924-25 წელში ადგილობრივი ბიუჯეტის რაოდენობა უდრიდა—24.648.000 მანეთს. აქ შედის ქალაქების, მაზრების და თემების ბიუჯეტში ყველა ერთათ. ჩვენ არ ვიცით რამდენი თანხა დაიხარჯა საქართველოს სახალხო მეურნეობაზე 1913 წელში იმ ქალაქების ბიუჯეტებიდგან, რომლებიც თვითმმართველობის უფლებებით სარგებლობდნენ და თავისი ბიუჯეტები ჰქონდათ, მაგრამ ვფიქრობთ, ჭეშმარიტებიდგან შორს არ ვიქნებით, თუ ამ თანხების რაოდენობას ვიანგარიშებთ ჩვენ 10-12 მილიონ მანეთამდე დაახლოვებით. მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგ ციფრებს: მეფის ბიუჯეტი ხარჯავდა საქართველოში ურკინისგზოთ 1913 წელში—34.401,5 მანეთს+12 მილიონი ქალაქების თვითმმართველობების დანახარჯი =46.401.5 მანეთს. საბჭოთა საქართველოში იხარჯებოდა 1924-25 წელში სახელმწიფო ბიუჯეტიდგან 28.667,5 +ადგილობრივი ბიუჯეტი 24.648,0=53.255.5 მან.

როგორც ვხედავთ საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტი 1924-25 წლის თავისი მოცულობით 40% ნაკლები კი არაა მეფის დროის ბიუჯეტზე, როგორც სწერს კ. კანდელაკი, არამედ მეტი, თუმცა 1924-25 წელში საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენა ომისა და რევოლიუციის შემდეგ კიდევ არ იყო ასული ომის წინა დროის დონეზე.

1927-28 წელში კი საქართველოს მეურნეობაზე დახარჯული თანხების ჯამი ყველა ოთხივე ბიუჯეტებიდგან ურკინისგზოთ, როგორც ზევით დავინახეთ, შეადგენს უკვე 89.470.235 მანეთს, ე. ი., თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე მეფის დროს.

მესამე და უმთავრესი დამახინჯება ფაქტების კ. კანდელაკის მხრივ გამოიხატება იმაში, რომ ის ერთმანეთთან ადარებს ნომინალურ რაოდენობას მეფისა და საბჭოთა ბიუჯეტისას და ამავე დროს არაფერს არ ამბობს იმის შესახებ, თუ **რაზედ** ხარჯავდა მეფის მთავრობა ამ ფულებს და **რაზედ ხარჯავს** საბჭოთა ხელისუფლება. იმპერიალისტურ რუსეთს აუარებელი ჯარი ედგა საქართველოს ტერიტორიაზე, ვითომც და სამხრეთ საზღვრების დასაცავად, სინამდვილეში კი განუწყვეტლივ ემუქრებოდა ოსმალეთს და სპარსეთს. საქართველოში მეტათ ძლიერი იყო რევოლიუციონური მოძრაობა, რაც აიძულებდა მეფის მთავრობას ყოლებოდა აქ გაძლიერებული რაზმები ჟანდარმერიისა, პოლიციელებისა და სტრაჟნიკებისა. ყველა ამ იმპერიალისტურ-პოლიციურ ატრიბუტებზე გაცილებით მეტი თანხებს ხარჯავდა მეფის მთავრობა, ვინემ რაიმე სოციალ-კულტურულ საქმეზე ან სამეურნეო აღმშენებლობაზე. საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტიდგან თავ-დაცვაზე იხარჯება მხოლოდ 3.160,5 მანეთი და ადმინისტრატიულზე 3.854,9 მ. დანარჩენი მოდის სოციალ-კულტურულ და სამეურნეო ხარჯებზე. ამ ბიუჯეტშივე შედის ის ხარჯი, სამრეწველო წარმოებებზე და ელექტრო-სადგურებზე—6.148.000 მანეთი (არა ჩვეულებრივ ხარჯებათ წოდებული), რომლებიც ასე არ მოსწონს კ. კანდელაკს და რომლებიც ასე ანსხვავებს ჩვენს ბიუჯეტს მეფისა და ბურჟუაზიულ ბიუჯეტებიდგან.

კ. კანდელაკი ვერ ხედავს, ან არ უნდა დაინახოს თუ როგორი პრინციპიალური განსხვავებაა საბჭოთა საქართველოს და მეფის დროის ბიუჯეტებს შორის. მეფის ბიუჯეტი საქართველოში უმთავრეს თავის ნაწილში ემსახურებოდა ხალხის დამონებას, მისი წინსვლის დახშობას. საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტი კი პირიქით ემსახურება ხალხის კულტურულ განვითარებას, ვაჭრობა-მრეწველობის დანერგვას, სახალხო მეურნეობის აღმშენებლობას.

ჩვენ დაგვრჩენია შევჩერდეთ კიდევ კ. კანდელაკის ერთ ყალბ დებულებაზე. ის ამტკიცებს, რომ საქართველოს ბიუჯეტი არაა დეფიციტიანი, საქართველოს კი არ ეხმარება ფულებით საკავშირო კასა, არამედ პირიქით, საბჭოთა კავშირს მიაქვს საქართველოს შემოსავლიდგან. ამის დასამტკიცებლად მას მოყავს იმავე წიგნიდან „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-25 წ.“ საქართველოს 1924-25 წლის ტერიტორიალური ბიუჯეტის გამონაგარიშება.

1926-27 და 1927-28 წლის ტერიტორიალური ბიუჯეტების განხილვით ჩვენ დავამტკიცეთ ზევით, რომ საქართველოს ბიუჯეტი ამ წლებში დეფიციტიანი იყო და ეს დეფიციტი იფარება საკავშირო საშუალებებიდან.

ჩვენთვის არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს აგრეთვე იმის დამტკიცება, რომ საქართველოს ტერიტორიალური ბიუჯეტი დეფიციტიანი იყო 1924-25 წელშიაც და ეს დეფიციტიც დაიფარა იმავე წყაროდგან—საკავშირო საშუალებებიდგან.

კ. კანდელაკს მოყავს საგეგმო კომისიის წიგნიდგან ასეთი ცხრილი საქართველოს ტერიტორიალურ შემოსავალ-გასავლისა 1924-25 წ. „ამნაირათ, საქართველოს მთელი შემოსავალი აღნიშნულ წლის განმავლობაში შეადგენდა (რკინის-გზების გარდა) ათას მანეთებში. ა. რესპუბლიკანური (დოტაციის გარდა) 5.785,8, ბ. ფედერატიული 569,3, გ. საკავშირო 17.562,5. სულ—23.917,6 მან.

საქართველოს სახელმწიფო გასავალი აღნიშნულ წელში უდრის ათას მანეთებში: ა. რესპუბლიკანური ბიუჯეტი—11.582,3, ბ. ფედერატიული—3.040.5, გ. საკავშირო (არა ჩვეულებრივ ხარჯებიანათ 6.148,9 მ.) 13.984,7 სულ—28.607,5 მან.“

დეფიციტი შეადგენს 4.689,9 მან. (28.607,5—23.917,6), თუ მთელ არა ჩვეულებრივ ხარჯებს—6.148.9 მან. მივიღებთ, როგორც უკან დაუბრუნებელ თანხებს. მაგრამ, თუ არაჩვეულებრივი ხარჯებიდგან, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, უკან დაუბრუნებლათ ვცნობთ მხოლოთ ნახევარს, ნახევარს კი, როგორც სესხს, მაშინ დეფიციტი დაიწევს 1.628.8 ათას მანეთამდე. რომ ეს დეფიციტი სინამდვილეში მეტია, ვიდრე აქ არის ნაჩვენები, ამას მე ქვევით დავამტკიცებ. მანამდე კი უნდა ვცნათ, რომ იმ ციფრების მიხედვითაც კი, რომელიც მოყავს თვით კ. კანდელაკს და საგეგმო კომისიას, დეფიციტი არის —ერთ შემთხვევაში—4.689,9 მ., მეორე შემთხვევაში—1.628,7 მან. კ. კანდელაკი თითქოს ერთი წამით გვეთანხმება კიდევაც იმაში, რომ დეფიციტი შეადგენს 4.689.9 ათას მანეთს, თუ არაჩვეულებრივ ხარჯებს მივიღებთ მხედველობაში, მაგრამ ასეთი შედეგი მისთვის არ არის ხელსაყრელი, ამიტომ ის სხვა კომბინაციებს მიმართ-

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. კავკასიის პროფკავშირთა მე-4-ე ყრილობა

9 მაისის დილის სხდომა

9 მაისის დილის სხდომა გახსნა ამხ. გალტუნიმ.

ამხანაგებო სთქვა ამხ. გალტუნიმ,—ტელეგრამამ მეტად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: გარდაიცვალა საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ციურუპა. და ულმობელმა სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა კიდევ ერთი დაუღალავი მუშაკი, ჩვენ დავკარგეთ ერთ-ერთი უძველესი და ერთგულესი მუშაკი, გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ განსვენებულის ხსოვნას. (ყველანი სდგებიან).

პრეზიდიუმის სახელით წინადადება შემომაქვს გაიგზავნოს სამძიმარი დეპეშა.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარს ამხ. იაშვილს.

ამხ. იაშვილის მოხსენება

ამხანაგებო, ჩემს მოხსენებაში მე შევჩერდები შრომის ორგანოების მუშაობის უმთავრეს მომენტებზე.

შრომის დაცვის ორგანოების მუშაობა ერთი უმთავრესი დარგია ჩვენს საერთო მუშაობაში. მთელი რიგი კანონმდებლობითი აქტები, რომელიც ჩვენს მიერ მიღებული და გატარებული იქნა ცხოვრებაში, შეიცავდნენ შვიდი საათის და 6 საათის სამუშაო დღის შემოღებას მუშებისათვის მავნებელ წარმოებებში. ეს აქტები აგრეთვე ითვალისწინებენ სპეც-ტანსაცმელების გაცემის, შრომის დაცვის და სხვა ღონისძიებებს ჩვენს წარმოებაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამიერ-კავკასიის მასშტაბით 1925—26 წელს შრომის დაცვის დარგში ჩვენ გვქონდა 80 სხვადასხვა ხელშეკრულება. 1926—27 წელს კი მათი რიცხვი გაიზარდა 178-დე. 1927—28 წლის განმავლობაში შრომის დაცვისათვის საწარმოო საფინანსო გეგმებით გათვალისწინებულია 3.547.000 მანეთი. მე დაწვრილებით არ შევჩერდები შრომის დაცვის ორგანოების მუშაობაზე ვიტყვი მხოლოდ, რომ მიღებული ღონისძიებით ეს დარგი ფრიად გაუმჯობესებულია.

შრომის დაცვის ორგანოების მუშაობა უმთავრესად გამოიხატებოდა ადმინისტრატიულ გადახრებთან ბრძოლაში, სახიფათო მეურნეობაში ჩაბმულ მუშების შრომის მოწესრიგებაში, ტრავმატიზმთან ბრძოლაში და სხვა. შრომის დაცვის საქმის უფრო მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად შრომის სახალხო კომისარიატთან არსებობს განსაკუთრებული ინსპექცია, რომელიც თვალყურს ადევნებს შრომის კანონების ცხოვრებაში გატარებას.

შემდეგი საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევჩერდე, ეს არის სატარიფო-საკონფლიქტო მუშაობა. მე შევეხები უმთავრესად ხელფასის რეფორმას. ამ რეფორმის გატარება წელს დაიწყო, სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს სრული მასალა, რომ მის შედეგებზე ვილაპარაკოთ. შრომის ხელფასის მოწესრიგების საქმე გატარებული უნდა იქნეს იმ ფონდების ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტით. ამ მიმართულებით ჩვენ შევძელით მიგვეღწია მნიშვნელოვან შედეგებისათვის. დღეს თითქმის უკვე აღარ არსებობს მუშათა სხვადასხვა ჯგუფების ხელფასის ისეთი მრავალფეროვანობა, როგორიც იყო დღემდე.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მუშაობას საკონფლიქტო დარგში და აღნიშნავს, რომ საკონფლიქტო საქმეების გარჩევა სასამართლოში და სხვადასხვა ორგანოებში ვერ იყო მოგვარებული სათანადოთ. მე მგონია მომავალში გარდამავალ საკონფლიქტო ინსტანციების შემოკლების გზით საქმე მოგვარებული იქნება.

შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ნათელჰყოფენ საქმეების გაჭიანურების ფაქტს.

მომხს. ეხება შრომის ბაზრის მოწესრიგების საქმეს და ამბობს, რომ 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის აღრიცხვაზე იყო აყვანილი 43.000 უმუშევარი, 1927 წლის ამავე დროისათვის მათი რაოდენობა 48.000 კაცით გაიზარდა.

შრომის მომწესრიგებელ ორგანოების მუშაობა უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში მიმდინარეობდა ორი ძირითადი მიმართულებით. პირველი—შრომის ორგანოების წინაშე იდგა საკითხი, რომ აღმოფხვრილი ყოფილიყო ყოველივე პროტექციონიზმი და მუშა-ხელის შრომის ბირჟის გარეშე მიღება წარმოება-დაწესებულებებში; მეორე—მიღებული ყოფილიყო ყოველგვარი ზომები უმუშევრობის შესამცირებლად.

თბილისის და ბაქოს სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ 1926—27 წელში გაგზავნილი იყო სამუშაოზე 7.022 კაცი. აქედან შრომის ბირჟის საშუალებით 89 პროც., დანარჩენი კი ბირჟის გარეშე. შემდეგში ეს პროცენტი საგრძნობლად გაიზარდა. ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ, რომ შრომის ბაზრის მონოპოლიის განხორციელების დარგში, შრომის ორგანოებს აქვთ მიღწევები.

უმუშევართა დახმარების დარგშიაც ადგილი აქვს მდგომარეობის შესამჩნევად გაუმჯობესებას. სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით ყოველწლიურად იზრდება საშუალებები ამ დარგისათვის. ასე, მაგალითად: 26—27 წელში უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდი შეადგენდა 722.000 მანეთს, 27—28 წელში კი იგი გაიზარდა 1.500.000 მანეთამდე. ჩვენ გვაქვს აგრეთვე მიღწევები უმუშევართა სწავლების და გადამზადების დარგში მათი კვალიფიკაციის აწევის მიზნით. ამ საქმისათვის წელს ამიერ-კავკასიაში დახარჯულია 218.000 მანეთი.

მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო მუშათა ბინების აღმშენებლობაზე. მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხში ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები. ჩვენ განვიცდით ბინების კრიზისს. ციფრები, რომელსაც მე მოვიყვან, ნათლად მოწმობენ იმას, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო აღმშენებლობის ამ დარგს.

ამიერ-კავკასიაში მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის დახარჯულია 47.060.000 მანეთი, ეს თანხა ყოველწლიურად იზრდება დაახლოებით 20—30 პროცენტით. ამასთან ერთად, ფართოთ გამოხატული ჰპოვა მშრომელთა შორის საბინაო კოოპერატიული ამხანაგობების დაარსებამ და ამგვარად საბინაო კრიზისთან ბრძოლამ მიიღო მასიური ხასიათი.

1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის ამიერ-კავკასიაში ირიცხებოდა 51 საბინაო კოოპერატიული ამხანაგობა, 27 წლის პირველ ოქტომბრისათვის 107 ამხანაგობა, ეხლა კი მათი რიცხვი 143 უდრის. ამ ამხანაგობების წევრთა რიცხვი 21 წელში უდრიდა 2.185 კაცს, დღეს კი მათი რიცხვი 3.930 კაცს აღწევს. ეს ამხანაგობები დიდ როლს თამაშობენ საბინაო კრიზისთან ბრძოლის საქმეში.

უკანასკნელი საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევჩერდე, ეს არის საკითხი შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ. ამ მიმართულებით მართალია, ჯერ-ჯერობით მუშაობა მხოლოდ კაბინეტებში სწარმოებს. მაგრამ სათანადო კომისიებს აქვთ მიცემული დირექტივები და მითითებანი, რომ ეს საკითხი დაწვრილებით დაამუშაონ და გამოარკვიონ, თუ რომელი წარმოებები შეიძლება გადაყვანილ იქნას შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ეს უნდა განხორციელდეს მომავალ წელში. შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, რასაკვირველია, უპირველესად ყოვლისა გატარებული იქნება უფრო მოღონიერებულ წარმოებებში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა ასწევს მომავალში არა მარტო შრომის ნაყოფიერებას, არამედ შრომის ხელფასსაც.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ ყრილობაზე ჩვენ ჯამს გაუკეთებთ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შედეგებს.

კამათი

ამხ. იაშვილის მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ათოევმა, კალაკოლენცევმა, მანუკიანმა, შალაშვილმა, ასლანოვმა, შახნაზაროვმა, შევტემა, ჯიქიამ, ხიტარიანმა, მუსაევმა, ტრუპკოვიჩმა და სხვებმა.

საღამოს სხდომა

ყრილობის მეხუთე სხდომაზე გრძელდება კამათი ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარ ამხ. იაშვილის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობას ღებულობს 26 ორატორი: ამხ. აბულაძე ეხება სოფლად კვალიფიკაციური მუშა-ხელის ნაკლებობას და აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა თავის მუშაობის გეგმაში უნდა შეიტანოს სოფლად მომზადებული და კვალიფიციური მუშაკების გაგზავნის საკითხი. და დაამუშაოს სამისოდ შესაფერი გეგმა. სოფლად წარმოებული აღმშენებლობისათვის, ორატორის აზრით, საჭირო არის, რომ იქ მუშაობდენ მაღალი კვალიფიკაციის აგრონომები, ექიმები, პედაგოგები, ბეითლები და სხვა.

ამხ. იუზბაშევი ჩერდება ადგილებზე ზოგიერთ შრომის კანონმდებლობათა გაუტარებლობის შესახებ და განმარტავს, რომ საჭირო არის ცენტრში გამოცემული კანონები სწორად და გადაუხვევლად სრულდებოდენ ადგილებზე, რადგანაც ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების დაახლოებისათვის მშრომელ მასასთან.

ამხ. დავთიანი, დულჩინი, არაქჩიევი და მთელი რიგი სხვა ორატორები ჩერდებიან უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხებზე, რაც უმთავრესად გამოწვეული არის წარმოებებში რეკონსტრუქციის და რაციონალიზაციის გატარებით.

და აღნიშნავენ რომ საჭირო არის მოხდეს უმუშევართა ხელახალი გადამზადება და მათი გამოყენება წარმოებებში, რადგანაც მომავალში სახელმწიფო მრეწველობისათვის საჭირო იქნება დიდძალი მუშა ხელი 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ამხ. იაშვილის საბოლოო სიტყვა

ყველა გამოსულმა ორატორებმა,—ამბობს თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. იაშვილი,—კიდევ უფრო გააშუქეს ის საკითხები, რომელზედაც მე მომიხდა შეჩერებულიყავი ჩემს მოხსენებაში. ორატორების ერთმა რიგმა ჩემი მოხსენება შეავსო მნიშვნელოვანი პრაქტიკული მითითებით, რაც დიდ მასალას მოგვცემს იმ კომისიას, რომელიც ამორჩეული იქნება ჩემი მოხსენების გარშემო პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

შემდეგ ამხ. იაშვილი დაწვრილებით ჩერდება კამათში მონაწილე ორატორების სიტყვებზე და უმთავრეს ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას,—რომ ხშირად ზოგიერთ დეფექტებს უსამართლოდ აკეთებენ ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატს, რომელიც მხოლოდ სადირექტივო ორგანიზაციად ითვლება და არ ეწევა პრაქტიკულ მუშაობას. ასეთ საკითხებად ორატორი ასახელებს შრომის საკონფლიქტო კომისიებს, შრომის ბირჟებს, კოლექტივების მოწყობას და სხვა დარგის სამუშაოებს, რომელთაც უშუალოდ განაგებენ და ხელმძღვანელობენ რესპუბლიკანური შრომის სახალხო კომისარიატები.

კვალიფიციური მუშა ხელის ნაკლებობასთან ბრძოლის მიზნით მიმდინარე წლისათვის ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატს, ორატორის გადმოცემით, გადადებული აქვს 280.000 მანეთი და ამჟამად მუშაობა სწარმოებს მხოლოდ აღნიშნული თანხის გამოსაყენებლად დანიშნულებისამებრ.

დასასრულ ორატორი ეხება ზედმეტ საათებში მუშაობასთან ბრძოლის საკითხებს, რესპუბლიკანურ შრომის კომისარიატებთან ცოცხალი კავშირის გაძლიერების აუცილებლობას, წარმოებებში უშიშროების და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების შექმნას.

ამხ. იაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ დაადგინა გამოყოს პრაქტიკულ წინადადებათა შემმუშავებელი კომისია, რომელშიაც არჩეულ იქნა 25 კაცი.

სოციალური დაზღვევის საქმე ა.-კავკასიაში

ამხ. ბანოვიჩის მოხსენება

თავის ვრცელ მოხსენებაში ამხ. ბანოვიჩი ეხება დამზღვევი ორგანოების მუშაობის საქმეს მთლიანად ამიერ-კავკასიაში და შემდეგ ცალკე რესპუბლიკებში სათითაოდ. მომხსენებლის გადმოცემით, გასული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ა. კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მუშაობა მიმართული იყო იქითკენ, რომ შემცირებული ყოფილიყო დაზღვევის საქმის გაჭიანურება და შესაძლებელი გამხდარიყო ყოველგვარი აქტუალური საკითხების უფრო დაჩქარებით გადაჭრა. ამ მიზნით გაუქმებული იქნა რესპუბლიკანური დაზღვევის კომიტეტები, საქართველოში და სომხეთში, ხოლო ამჟამად მიდის მუშაობა აგრეთვე კომიტეტის გასაუქმებლად აზერბეიჯანში. სამაგიეროდ გამრავლებულ იქნა სოციალური დაზღვევის პუნქტების რაოდენობა ადგილებზე, რომელთა რიცხვი ამჟამად აღწევს 136, წინააღმდეგ 1925—26 საანგარიშო წლის 122 პუნქტისა.

მიმდინარე მუშაობაში შემჩნეული დეფექტების დახასიათებისას მომხსენებელი ვრცლად ჩერდება სამაზრო დამზღვევი ორგანოების მუშაობაზე და აღნიშნავს, რომ ადგილებზე დამზღვევი ორგანოები რიცხვობრივად არ შეეფერებიან დაზღვეულთა იმ მასას, რომლებიც ცხოვრობენ ამა თუ იმ პუნქტში. მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე სარევიზიო კომისიების მუშაობის სისუსტეს და განმარტავს, რომ საჭირო არის ჩატარებულ იქნეს დეტალური რევიზიები ყველა დამზღვევი ორგანოების მუშაობის გამოსარკვევად რესპუბლიკანურ ცენტრებში—წელიწადში ორჯერ ხოლო სამაზრო ცენტრებში წელიწადში ოთხჯერ.

მიუხედავად მუშაობის პირობების სირთულისა, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დამზღვევ სამმართველოს, მომხსენებლის გადმოცემით, მაინც დიდი მიღწევები აქვს. ასეთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სადელეგატო ინსტიტუტების შემოღება, მოჯამაგირეთა შორის დაზღვევის კამპანიების ჩატარება, უმუშევართათვის დახმარების რაოდენობის გაცემის წესების გაუმჯობესება პენსიონერთა უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება და სხვა. პენსიონერების შესახებ მომხსენებელს მოჰყავს ცნობები, რომ მათი რიცხვი თანდათან დიდდება და თუ გასული წლის პირველი ოქტომბრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში პენსიონერების რიცხვი უდრიდა 11,754, ხოლო თვის განმავლობაში მათ რიცხვმა მოიმატა 13,061 კაცით. დასასრულ მომხსენებელი ჩერდება დასაზღვევ გადასახადების შემოტანაზე და წარსულ წლების დავალიანებათა მოკრების საკითხებზე და აღნიშნავს, რომ ამიერ-კავ. ცენტრალური მთავრობის ორგანოების დახმარებით უკანასკნელ ხანებში დავალიანებათა მოკრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ამჟამად უკვე მოკრებილი არის გასული წლების დავალიანება 98 პროცენტით.

— ჩვენი ორგანიზაცია,—ამბობს მომხსენებელი—ძალიან ახალგაზრდა არის და მათ არა აქვს წარსული საქმიანობის ხანგრძლივი პრაქტიკა. აღნიშნული გარემოება უსათუოდ იწვევს მთელ რიგ სიძნელეებს, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ წარსულ შეცდომების შესწავლით მომავალში შევძლებთ სახელმწიფო დაზღვევის საქმე დავაყენოთ სამაგალითო დონეზე.

თავს. ის აერთებს ფედერატიულ და საკავშირო შემოსავალს ერთათ და ამგვარათ იღებს ჯამს 18.131,7 ათ. — (569,3+17.562,5), შემდეგ აერთებს ფედერატიულ და საკავშირო ხარჯებს (30405+13.984,7) და იღებს ჯამს ხარჯებისას 17.025,2 ათას მანეთს. შემოსავლიდგან აკლებს გასავალს (18.131,5 ათ.—17.025,2 ათ.), ამგვარათ იღებს განსხვავებას 1.106 ათას მანეთს და ამბობს: „ისინი (კავშირი და ფედერაცია) კი არ ეხმარებიან საქართველოს, პირიქით მათ მიაქვთ საქართველოს შემოსავლიდგან 1.106 ათას მანეთიო“. შემდეგ ამ თანხას უმატებს 1.100 ათას მანეთს, რომელიც საგეგმო კომისიის მიერ გამოცემულ წიგნში არის ნაჩვენები, როგორც შემოსავალი საქართველოს რკინის-გზებისა 1924-25 წელში (ეს გამონაანგარიშებულია საგეგმო კომისიის მიერ იმ პრობლემატიური ალგებრაული მეთოდით, რომელზედაც მე ლაპარაკი მქონდა ზევით) და ამბობს: „ამნაირათ ფედერ. და საკავშირო კასას საქართველოს სახელმწიფო შემოსავლიდგან მიაქვთ 2.200 ათასი მანეთზე მეტი“-ო. „ჩააწყო“ რა ამგვარათ ორი ბიუჯეტის ციფრები (საკავშირო და ფედერატიული), რომ გამოეყვანა თავისთვის სასიამოვნო დასკვნა. ქ. კანდელაკი ცდილობს მესამე ბიუჯეტის შესახებ (სახელმწიფო) სიტყვა ბანზე ააგდოს. ის სწერს: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, არა ჩვეულებრივი ხარჯების ჩათვლით (არავითარი არა ჩვეულებრივი ხარჯები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით არ ტარდებოდა 1924—25 წ. წ., ყველა ხარჯები აქ ჩვეულებრივია გ. მ.), დეფიციტით არის დამთავრებული, მაგრამ არსაიდგან სჩანს, რომ ეს დეფიციტი საკავშირო კასიდგან არის დაფარული. პირიქით, როგორც დავინახეთ, საქართველოს შემოსავლიდგან ფედერ. და საკავშირო კასას მიაქვთ ორ მილიონ მანეთზე მეტი“-ო.

როგორ თუ არსაიდგან სჩანს, რომ ეს დეფიციტი დაფარულია საკავშირო კასიდგან? მაშ საიდგანაა დაფარული? ა.-კ. ფედერატიული ბიუჯეტი დეფიციტიანია, დარჩა მხოლოდ საკავშირო კასა, საიდგანაცაა სწორეთ დაფარული ეს დეფიციტი დოტაციით 5.796.5 ათასი მანეთის რაოდენობით.

ამგვარათ გამოვიდა სახელმწიფო ბიუჯეტით დეფიციტი 5.796.5 ათ. მანეთი, საკავშირო და ფედერატიულით ზედმეტი 1.106 ათასი მანეთი, ანუ შედეგათ იგივე დეფიციტი გამოდის 5.796.500—1.106.000= 4.690.000. ჩვეულებრივი ხარჯების 100 პროც. ჩათვლით, თუ მხოლოდ 50 პროც. ჩავთვლით, დეფიციტი იქნება 1628,7 ათასი მან. სინამდვილეში კი დეფიციტი მეტია ამ ციფრზე, ვინაიდგან საგეგმო კომისიის ცნობები არაა სავსებით სწორი, ზოგიერთი უწყებების ხარჯები ნაკლებია ნაჩვენები; სულ გამოტოვებულია ანარიცხები სახელმწიფო ბიუჯეტით ადგილობრივ ბიუჯეტის სასარგებლოთ 2.197.846 მანეთის რაოდენობით. მხოლოთ ეს შესწორება რომ შევიტანოთ, მაშინაც კი დეფიციტი გაიზრდება 3.826,5 ათას მანეთამდე.

ერთი სიტყვით, როგორაც არ უნდა ვატრიალოთ ჩვენ ეს ციფრები, დეფიციტს საქართველოს ბიუჯეტში ვერ ავცდებით. მიზეზი ამ დეფიციტისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა ვეძიოთ საქართველოს ეკონომიურ ჩამორჩენილობაში ერთი მხრივ და ხალხის სოციალ- კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათა შედარებით ფართედ დაკმაყოფილებაში, მეორე მხრივ.

კიდევ რამოდენიმე წელიწადი გასტანს ჩვენი ბიუჯეტის ეს დეფიციტიანობა, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო ღონისძიებანი იმდენათ არ ასწევს ჩვენი მეურნეობის ყველა დარგების შემოსავლიანობას, რომ შესაძლებელი გახდება გადიდებული შემოსავლით დავფაროთ ყველა აუცილებელი ხარჯები. მანამდი კი საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტი იძულებულია ისარგებლოს ძმური დახმარებით საბჭოთა კავშირისაგან.

ქ. კანდელაკის ცდა კი, ციფრების კომბინაციებით დაამტკიცოს წინააღმდეგი, თითქოს პროლეტარული რუსეთი რამეს ართმევდეს საბჭოთა საქართველოს, ვფიქრობ საკმაოთ გამომჟღავნებულია ჩვენ მიერ, რომ ამ ჭორსაც იგივე ბედი ეწიოს, როგორც სხვა დანარჩენ ჭორებს, რომლებსაც ასე უნაყოფოთ ავრცელებს როგორც გარეშე, ისე შინაური ემიგრაცია.

გ. მგალობლიშვილი.

საქ. ცაკის სოფუზრუნველ-ყოფის განყოფილებაში

გლეხკომების ყრილობა

სრ. საქართველოს გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების ყრილობა შესდგება 15 ივნისს. ყრილობას თითოეულ მაზრიდან და ავტონომიურ რესპუბლიკიდან გადამწყვეტი ხმის უფლებით დაესწრება ხუთ-ხუთი დელეგატი, სათათბირო ხმით კი ორ-ორი. ყრილობაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები: 1) ცენტრალური გლეხკომის მოხსენება, 2) გლეხკომების ამოცანები სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში, 3) „სოფლის კავშირის“ მოხსენება სამეურნეო კოოპერაციის და გლეხკომების მუშაობაზე და 4) მოხსენება გლეხკომებზე და შინა-მრეწველობის კოოპერაციაზე.

გლეხთა სახლი

ქალაქ სიღნაღში გაიხსნა გლეხთა სახლი. სახლში გლეხკომებისათვის ღამის გასათევად მოწყობილია 23 საწოლი.

ა.-კ. ეკონომსაბჭოში

ნედლი ბამბის ფასი

ა.-კ. უმაღლეს ეკონომსაბჭომ საჭიროთ სცნო დაწესებული იქნეს ნედლი ბამბის ერთიანი ფასი, რა მიზნითაც ჩატარებული უნდა იქნეს ცდები მებამბეობის ორ რაიონში.

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს და საბამბო კომიტეტს წინადადება მიეცათ გამოარკვიოს სახელდობრ რომელ რაიონებში შეიძლება ხსენებული ცდების ჩატარება.

მერკუროვის დანიშვნა

ა.-კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოს დადგენილებით, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლის მოადგილეთ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირში დანიშნულია ამხ. მერკუროვი.

კორენბლიტის დანიშვნა

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლათ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირში დანიშნულია ამხ. კორენბლიტი.

საქ. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებაში

სამშაბათს, 8 მაისს, საღამოს სახალხოს წითელ დარბაზში ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების გარდაცვალებულ წევრების ამხ. მიხაილოვის (მოსკოვის ძვ. ბოლშევიკთა საზ. მდივნისა) და ამხ. თ. ჩიჩუას (საქართველოს ძვ. ბოლშ. საზოგადოების წევრის) ხსოვნას.

ამხ. მამია ორახელაშვილმა ამცნო კრებას საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ა. დ. ციურუპას გარდაცვალების ამბავი. კრებამ ფეხზე ადგომით პატივისცა ამხ. ციურუპას ხსოვნას.

შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. ვანო სტურუას მოხსენება მოსკოვის ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების მუშაობის შესახებ და მცირე კამათისა და შეკითხვების შემდეგ, რომელიც შეეხებოდა საზოგადოების არსებობის მიზანს მიიღო ის ცნობათ.

ამხ. თ. ჟღენტის მოხსენების მიხედვით კრებამ დაამტკიცა დრ. ბიუროს მიერ საზოგადოებაში მიღებული წევრები.

საზოგადოებისათვის ფინანსიური წყაროების გამონახვის შესახებ მიღებულ იქნა წინადადება—შედგენილ იქნას საზოგადოების სამოქმედო გეგმა და მინიმალური მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნას გადადგმული სათანადო ნაბიჯი.

საზოგადოების მუდმივ ბიუროში არჩეულ იქნენ ამხანაგები: მ. ტოროშელიძე; ს. თოდრია; ვ. სტურუა; თ. ჟღენტი; ვ. ბოლქვაძე; ა. ნაზარეტიანი; ა. ფიოლხალავა; შ. ლეჟავა და ლ. სუხიშვილი. სარევიზიო კომისიაში: ი. კარტკავი; გ. როველაძე და ა. ათაბეგოვი.

მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრების

გამაუმჯობესებელი კომიტეტი

თბილისის და მის მაზრაში მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად თბილისის აღმასკომთან დაარსდა სპეციალური მუდმივი კომიტეტი.

კომიტეტში შედიან: ამხ. ვ. ბოლქვაძე (თავმჯდომარე), დ. კანდელაკი, ს. ჯუღელი, მაჩაიძე, ახობაკოვი, მარჩილაძე, ხამოხელოვი, სალუქვაძე და გეგენავა.

კომიტეტის მიზანია გამონახოს საშუალებები ღარიბ მოსწავლეთათვის ნივთიერი დახმარების გასაწევად და მათთვის შესაფერი ცხოვრების პირობების შესაქმნელად.

კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მიიღოს შესაფერი ზომები პროლეტარულ სტუდენტთა დამხმარე კვირეულის წარმატებით ჩასატარებლად.

სტუდენტთა კვირეულისათვის დახმარების გასაწევათ კომიტეტის დადგენილებით 3 დღის განმავლობაში გამოყოფილი იქნება ტრამვაის 4 ვაგონი (№ 1, 2, 3 და 4), ამ ვაგონებიდან 3 დღის განმავლობაში შემოსული ფული მთლიანად გადაიდება სტუდენტთა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლად.

აგრეთვე 3 დღის განმავლობაში გოგირდის აბანოებიდან შემოსულ თანხების 10 პროცენტი გადაირიცხება იმავე ფონდში

კომიტეტმა დაადგინა დაევალოს კომუნალურ განყოფილებას მიიღოს სათანადო ზომები, რათა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, რომლის აგება უკვე დაწყებულია ვაკეში, დამთავრებული იქნეს მიმდინარე წელში.

ფშავ-ხევსურეთის გზა

ფშავ-ხევსურეთის გზის გაყვანის საკითხი გადაწყდა. მუშაობა დაიწყება ა. წ. 15 ივლისიდან.—გადადებულია 25.000 მანეთი.—გზის გაყვანაზე იმუშავებენ მესანგრე წითელარმიელები და გლეხები.—ხევსურეთში გაიგზავნება ინჟინერ-ტეხნიკოსები გზის გამოსაკვლევად და გეგმის შესადგენად.

ფშავ-ხევსურეთის კულტურული და ეკონომიური ჩამორჩენილობის ერთ უმთავრეს მიზეზად უგზოობა ითვლება.

გასულ წელს დუშეთის სამაზრო აღმასკომმა საქართველოს ცაკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ფშავ-ხევსურეთის გზის გაყვანის შესახებ. ამასთან დაკავშირებით შარშანვე ფშავ-ხევსურეთში გაიგზავნა გზატკეცილთა სამმართველოს სპეციალისტები ადგილობრივ პირობების გამოსაკვლევად. სპეციალისტებმა გამოარკვიეს, რომ დუშეთიდან და ანანურიდან შესაძლებელია მგზავრობა თავისუფლად სოფ. ჟინვანამდე (ხევსურეთშია). აქამდე გზა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. აქედან მიიმართება საცალფეხო გზა, რომელიც იმდენად უვარგისია, რომ ზოგიერთ ადგილებში გავლა მეტად სახიფათოა; გზა საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

სპეციალისტების დასკვნით, გზამ ჟინვანოდან უნდა გაიაროს სოფ. მაღაროს-კარზე, ორწყალზე და მიაღწიოს სოფ. შუა-ფხომდე (უკანა ფშავში). საერთო მანძილი უდრის 50 კილომეტრს.

წელს ამ გზის გაყვანის საკითხი სათანადო ორგანოებში უკვე გადაწყვეტილია საბოლოოდ. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გადადებულია 25.000 მანეთი და მიღებულია დადგენილება გზის გაყვანაზე (სვანეთის მაგალითის მიხედვით) მესანგრე წითელარმიელების გამოყენების შესახებ.

საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მთავრობამ ადგილობრივ გაგზავნა საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილე ივ. მარდალეიშვილი, რომელმაც დაათვალიერა გასაყვანად გათვალისწინებული გზის მიდამოები.

ამხ. მარდალეიშვილი უკვე დაბრუნდა თბილისში და ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

გზის გაყვანის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებას ადგილობრივი მოსახლეობა დიდის სიხარულით შეეგება. იგი მზად არის გაიღოს თავისი წვლილი გზის გაყვანაზე მუშაობით.

გადაწყვეტილია გზის გაყვანა დაიწყოს ა. წ. 15 ივლისიდან, მესანგრეები იმუშავებენ კლდეების სამუშაოებზე და ხიდების აგებაზე ადგილობრივი გლეხობა შრომის ბეგარის წესით გამოყენებული იქნება მიწის სამუშაოებზე.

პროფმოძრაობის მუზეუმი

დღევანდლამდე საქართველოში არ არსებობდა პროფესიონალური მოძრაობის მუზეუმი. ამას ყურადღება მიაქცია პროფსაბჭომ და საჭიროდ სცნო პროფმოძრაობის მუზეუმის დაარსება. ცალკე მუზეუმის დაარსება მან მიიჩნია მიზანშეუწონლად, რადგან ეს გამოიწვევდა დიდ ხარჯებს. ამას გარდა პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში ყოველთვის დაკავშირებული იყო პროფესიონალურ მოძრაობასთან და ამიტომ პროფმოძრაობის მუზეუმი უნდა დაარსებულიყო იმ ორგანიზაციასთან, რომელიც პოლიტიკურ მოძრაობის სამუზეუმო მასალებს ამუშავებს.

ეს ორგანიზაცია კი რევოლუციის მუზეუმია.

რევოლუციის მუზეუმთან დაარსდა პროფკავშირების განყოფილება. ამ განყოფილების მიზანს შეადგენს როგორც საქართველოს პროფმოძრაობის მასალების მეცნიერულად დამუშავება და გამოფენა, აგრეთვე რუსეთისა და საერთაშორისო პროფმოძრაობის შესახებ სამუზეუმო მასალების შეძენა, გამოფენა და საქართველოს მუშათა კლასისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობისა და სხვ. გაცნობა.

ამ დიდი საქმის შესრულება ერთობ ძნელია: ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ჩვენი მუშათა პროფესიონალური მოძრაობის მასალები გაბნეულია გაზეთებში, ჟანდარმთა არქივში, კერძო პირთა ხელში და სხვ.

მიუხედავათ სიძნელისა—ამ განყოფილებამ მაინც შესძლო მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება: აღადგინა 1917—21 წლების საქართველოს პროფმოძრაობა და ეხლა შეუდგა საბჭოთა საქართველოს პროფმოძრაობის ისტორიულ საფუძვლების შესწავლას და აღდგენას.

ამას გარდა პროფმოძრაობის განყოფილებამ მიიღო ზომები საერთაშორისო პროფმოძრაობის მასალების შესაძენად; მასალები მიღებული იქნება ახლო ხანში.

ალმშენებლობის გასაიაფებლად

ა.-კ. უმაღლესი ეკონომსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ა.-კ. საღმშენებლო ტეხნიკური კომიტეტის მოხსენება საღმშენებლო მასალების და კვალიფიციური მუშა-ხელის ბაზრის მდგომარეობის შესახებ.

შეკრებილი ცნობების მიხედვით, ა.-კ. უმაღლესი ეკონომსაბჭო აღნიშნავს, რომ მშენებლობის გაიაფების შესახებ არსებული დირექტივის განსახორციელებლად საჭიროა მშენებელ ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება.

ა.-კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო განმეორებით მოაგონებს ა.-კ. ორგანოებს და რესპუბლიკანურ ეკონომიურ საბჭოებს, რომ საალმშენებლო მასალის და საერთოთ აღმშენებლობის გაიაფების შესახებ მოცემული დირექტივა შესრულებული უნდა იქნეს ყოველ მიზეზს გარეშე.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას დაევალა გამოარკვიოს, ასრულებენ თუ არა საალმშენებლო მასალის გაიაფების შესახებ არსებულ დირექტივას საალმშენებლო მასალის დამამზადებელი ამიერ-კავკასიის და საკავშირო ორგანოები, რომლებსაც ამიერ-კავკასიაში შემოაქვთ საალმშენებლო მასალები.

სათეატრო თათბირი

თეატრი და დრამატურგია

მომხსენებელი ამხ. შ. დუდუჩავა

ოქტომბრის რევოლუციამ,—ამბობს მომხსენებელი,—შემდეგი მომენტებით განსაზღვრა თეატრის ამოცანა: თეატრმა ხელოვნების სპეციფიური ხერხებით მხატვრულად უნდა აღზარდოს მუშა-მაყურებელი, რევოლუციონური მიმართულებით უნდა დარაზმოს მისი ფსიქიკა, სისტემაში უნდა მოიყვანოს და დაამუშაოს ახალი ფსიქოლოგიური ტიპის ელემენტები, და ებრძოლოს ყოველგვარ მისტიურ შეხედულებებს და მეშჩანურ ყოფა-ცხოვრების ნაშთებს. ამასთან ერთად თეატრმა არ უნდა დაჰკარგოს თავისი სპეციფიური ენა და ენერგიულად უნდა იმუშაოს სცენიური გამოხატულების ყველა ფორმების გასაუმჯობესებლად—და სრულსაყოფად. ყოველი სკოლა, ყოველი მიმართულება თეატრის დარგში ერთ ამოცანას უნდა მისდევდეს: დაიპყროს ეპოქის სტილი, გაიგოს რევოლუციონური მოძრაობის სპეციფიურობა, [illegible] რევოლუციონური განვითარების მთავარი ხაზი და საერთოდ მხატვრულად გამოხატოს პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის საერთო ტონი. მოახერხებს ამას თეატრი დეკორატიული სტილიზაციით (პირობითი თეატრი), ნატურალური ტონებით (ნატურ. თეატრი); თუ საგნების გეომეტრიული სტილიზაციით (კონსტრუქტივიზმი),—ეს არის დრამატურგიული მასალის შემოქმედებითი დამუშავების და რეჟისორის მსოფლშეგრძნობის საქმე.

ქართული თეატრის შემოქმედებითი განვითარებამ ისტორიულად განიცადა რუსული თეატრალური ხელოვნების თანდათანობითი მოძრაობის ყველა პერიოდები: აქტიორის თეატრი შესცვალა ანსამბლის თეატრმა, რომელიც თავის მხრით წინ უძღოდა „პირობით“ თეატრს. ამ პერიოდში ქართული თეატრი,—რომელიც სცენიურ გაფორმებისათვის დეკორატიულ სტილიზაციას მიმართავდა, გატაცებული იყო მისტიურ-ექსპრესიონისტული სახეებით. უკანასკნელი სამ-ოთხი წლის განმავლობაში ქართული თეატრის მუშაობას ახასიათებს „[illegible]“ კონსტრუქტივიზმი: სცენიდან იდევნება მხატვრობა (ЖИВОПИСЬ), და მის ადგილს იჭერს სტილიური არქიტექტური ნაგებობა; მხატვარი თეატრისათვის რჩება, როგორც მხოლოდ სხვადასხვა ნაგებობათა ესკიზების და პროექტების ავტორი. კვადრატი, წრე, და სამკუთხედი ედება საფუძვლად სცენის გარეგნულ გაფორმებას და სათანადო განათების მონტაჟით ეს გეომეტრიული ფიგურები ღებულობენ თეატრულ [illegible] ხასიათს.

მაგრამ ასეთი სცენიურ გაფორმებას არ შეუძლია შექმნას ნამდვილი მხატვრული თეატრი, რადგან სცენიური შემოქმედების ცენტრალური ფიგურა არის მსახიობი. აქედან ქართული თეატრის გადაუდებელ ამოცანას ამჟამად წარმოადგენს გეგმიანი მუშაობის წარმოება აქტიორის აღზრდის სისტემაზე, აქტიორ-მხატვარის შინაგანი ტეხნიკის გარკვეული სისტემის გამომუშავებაზე.

სწორედ აქ იშლება ნაციონალური თეატრის პრობლემა.

ნაციონალურ თეატრს არ შეუძლია თავისი ასპარეზი შემოფარგლოს ნაციონალური დრამატურგიით, რადგან ნაციონალური თეატრი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ნაციონალური დრამატურგია. თეატრის ნაციონალურობა იქნება სათანადო ნაციონალური სტილის, როგორც ეპოქის საერთო ტონის—მხატვრული გამოხატულების ძიებით. რევოლუციონური პერიოდის ქართული რიტმის ამოჩენა და მისი გამოყენება დრამატიული მასალის დასამუშავებლად — აი ქართული თეატრის ამოცანა. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ქართული დრამა მიუახლოვდა ამ ამოცანას და ამ მხრივ აქვს მეტად ძვირფასი მიღწევები.

ნაციონალური თეატრი უნდა გახდეს ძლიერი მებრძოლ ორგანოთ, რომელიც ფსიქოლოგიურ რაზმთამზადებს მასებს ახალისაზოგადოებრივი წყობილების განსამტკიცებლად ბრძოლებისა და გამარჯვებისათვის. ამიტომ ჩვენს პირობებში „ინტიმიური ნატურალიზმის“ გზა, როგორც მთავარი ხაზი, რევოლუციური თეატრისათვის უარსაყოფია, როგორც გზა, რომელიც მაყურებელს პასიურ ელემენტად აქცევს. რევოლუციისათვის უცხოა ტრადიციული „ლირიკა“, იგი უარყოფს სიყვარულის სამკუთხედის გაბატონებას სცენაზე. რევოლუციას აქვს თავისი ლირიკა; ეს არის სიხარული, რომელსაც იწვევს ბრძოლა საუკეთესო მერმისისათვის, ეს არის სიძულვილი კაპიტალისტური მსოფლიოსადმი და გამარჯვების აუწერელი ენტუზიაზმი. თეატრმა უნდა დაიპყროს რევოლუციის ეს რომანტიზმი და ამ ფონზე გაშალოს თავისი შემოქმედებითი მუშაობა, როგორც ფორმალურ-ტეხნიკური ხერხების, ისე თემატიკის მხრივ. მაგრამ აქ საკითხი ეხება უკვე დრამატურგიას, რომელიც თეატრის ახალი ამოცანების თვალსაზრისით, სულ სხვაგვარ გაშუქებას საჭიროებს.

ნატურალისტური თეატრი, რომელიც ტყვედ ჰყავდა ლიტერატურას, იყო ცხოვრების უბრალო ილიუსტრატორი, და არა მისი მხვავრმდებელი. პირობითმა თეატრმა, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ნატურ. თეატრის ფოტოგრაფიულ ხერხებს, თავის სამფლობელოდან განდევნა ლიტერატურა და მის მაგივრად გაბატონა მხატვრობა. მხატვრობის დიქტატურამ სცენაზე მსახიობი მარიონეტად გადააქცია და ამით მოჰკლა თეატრი, როგორც მაყურებელზე ფსიქიური ზეგავლენის მომხდენი. ქართული თეატრი ვერ წავა ვერც ცხოვრების ფოტოგრაფიულ ასახვის, და ვერც სცენაზე ნივთების ბუტაფორიების გაბატონების გზით. ლიტერატურამაც და მხატვრობამ მაც მხოლოდ ხაზი უნდა გაუსვან და გამოაშკარავონ მოქმედი პირის შინაგანი განცდები, ისინი უნდა გახდენ მხოლოდ დამხმარე მხარეთ საშუალებად, და არა თვით მიზნად, აქტიორის შინაგანი ემოციის გამომჟღავნების სფეროში.

დრამატურგია თეატრისათვის წარმოადგენს მხოლოდ ნედლ მასალას, ვინაიდან თეატრალური მიმართულებანი იქმნება არა დრამატურგის, არამედ დრამატიული მასალის დამუშავების ფორმებით და მეთოდებით. პიესა მეტყველებელი უნდა იქნეს სცენასთან და სათანადოთ შეცვლილი რეჟისორის შეხედულების მიხედვით. აქედან ლიტერატურის ტექსტის სცენიური კომპოზიციის პრინციპი არ შეიძლება მთავარ მოვლენად არ ჩაითვალოს რეჟისორის შემოქმედებით მუშაობაში. განსაკუთრებით საჭიროა ამ პრინციპის მიმართვა კლასიკოსების მიმართ.

მათ ნაწარმოებზე მშვენივრად იზრდება აქტიორები, მაგრამ ისინი ვერ აღელვებენ დღევანდელ მაყურებელს, აქედან აუცილებელი ხდება კლასიკოსების გათანამედროვება, რაც აუცილებლად მოითხოვს ტექსტის სხვაგვარ კომპოზიციას და ტიპების სხვაგვარად გაგებას (მეიერხოლდის მეთოდი). მაგრამ, რაც არ უნდა გათანამედროვდეს კლასიკოსები, თეატრს მაინც არ მართებს კლასიკოსებით გატაცება.

თანამედროვე დრამატურგიის თემატიკა მთლიანად უნდა დაეყრდნოს რევოლუციონურ სინამდვილეს, სოციალისტური მშენებლობის ყველა მომენტებს. სამოქალაქო ომების ეტიუდების მოცემასთან ერთად, დრამატურგიამ გვერდი არ უნდა აუაროს სოციალისტურ მშენებლობის ყოველდღიურობას, დრამატურგმა სათანადო სიუჟეტში მხატვრულად უნდა მოაქციოს სოციალისტური მშენებლობის ყველა მნიშვნელოვანი საფეხურები და აგრეთვე ამ პროცესის შემაფერხებელი მომენტები.

ახალი დრამატურგის ყურადღების ცენტრი უნდა გახდეს მორალის პრობლემა და საერთოდ ახალი ყოფა-ცხოვრების პრობლემა. ახალი ყოფა-ცხოვრების ცენტრალური ფიგურა არის ახალი ადამიანი, როგორც მორალური კატეგორია. არ არის იშვიათი შემთხვევა, როცა პოლიტიკურად გამობრძმედილი პირი,—კერძო ცხოვრებაში ინერციით ულტრა-მეშჩანურ და ბურჟუაზიულ ცრუ-შეხედულებათა გავლენის ქვეშ არის მოყოლილი. საბჭოთა დრამატურგიამ ენერგიული ბრძოლა უნდა აწარმოოს ასეთი ანტინომიის წინააღმდეგ და მთელი ექსპრესიით გამოაშკარავოს და გაამათრახოს ჩვენი ყოფა-ცხოვრების ჩამორჩენილობა. საბჭოთა დრამატურგიამ უნდა ასახოს ახალი ფსიქოლოგიური ტიპი ყველა მის ინტიმურ მომენტებში. აქ, რასაკვირველია, საჭიროა სათანადო სიუჟეტი, რომ პიესა დრამატურგიული თვალსაზრისით გამართლებული იქნეს.

განსაკუთრებით მწვავედ სდგას საკითხი საბჭოთა კომედიის შესახებ. ახალ მაყურებელს ღრმა ემოციებთან ერთად სადი სიცილის მოთხოვნილებაც აქვს, მხატვრული იუმორი მაყურებლების აღზრდის სისტემის ერთი შემადგენელი ელემენტთაგანია. ქართული დრამატურგია ამ მხრივ უზადრუკი აღმოჩნდა. „კვაჭიზმი“ — აი, ქართული კომედიის მთავარი ხაზი. მაგრამ ეს „კვაჭიზმი“ სავსეა პორნოგრაფიით, ჩვენი სინამდვილის პროფანაციით, (კომბალა) და ბულვარულ-ავანტიურული მომენტებით: კვაჭიზმი ვერ იქნება საბჭოთა კომედიის იდეოლოგია.

საბჭოთა დრამატურგიამ უნდა იცოდეს იუმორის პრინციპი. სიცილს იწვევს ტიპის შინაგანი წინააღმდეგობის გამოაშკარავება. ამის მაგალითია ჩარლი ჩაპლინი კინოში. მაგრამ სიცილს აქვს მეორე ფონიც. ეს არის გარეშე მყოფ პერსონაჟების შეგნებული გაბითურება, თავის-თავის გაბითურება მაყურებლის თვალში, ან მოქმედი პირთა გაბითურება რომელიმე პერსონაჟის მიერ და სხვ. (მაგალითად ოსიპი „რევიზორში“ და ხლესტაკოვი). საბჭოთა დრამატურგიამ ორივე პრინციპი უნდა მოიმარჯვოს და გამოიყენოს ისინი სათანადო სიუჟეტის ან ანეკდოტის დასამუშავებლად.

დრამატურგი უნდა იქნეს თეატრის მუდმივი მუშაკი. შემოღებული უნდა იქნეს დრამატურგისათვის დაკვეთების სისტემა. თეატრს უნდა ჰქონდეს თავისი დრამატურგია, თეატრს უნდა ჰყავდეს საკუთარი დრამატურგი.

თბილისიდან როსტოვამდე

(შთაბეჭდილებანი)

როგორც „კომუნისტი“-ს მკითხველებმა ალბათ იციან, თბილისის საბჭომ გამოჰყო დეპუტატების ერთი ჯგუფი, რომელიც გაგზავნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ადგილობრივ საბჭოების მუშაობასთან გასაცნობათ. ჩვენ თბილისიდან გავემგზავრეთ მიმდინარე წლის 24 აპრილს. რამდენიმე დღე დავრჩით ბაქოში იქაურ საბჭოს მუშაობის გასაცნობათ და შემდეგ გავემგზავრეთ დონის როსტოვისაკენ.

თბილისიდან მოსკოვ-ლენინგრადისაკენ მოგზაურობისათვის ყველაზე გრძელი და მოსაწყენი მგზავრობა არის ბაქოდან-როსტოვამდე. ეს არც გასაკვირია.

თბილისიდან ბაქომდე ჩქარ მატარებელს უნდება 14 საათი, ბაქოდან როსტოვამდე 39 საათი, როსტოვიდან ხარკოვამდე 14 საათი, ხარკოვიდან მოსკოვამდე 16 საათი და მოსკოვიდან ლენინგრადამდე 10 საათი.

ამნაირათ ოთხი დღე და ღამის მოგზაურობიდან ბაქო-როსტოვის გზას მიაქვს თითქმის ნახევარი. ბაქოდან სადგურ ხაჩმასამდე ბუნებაც მოსაწყენია, ხაჩმასიდან კი იწყება ლამაზი ბუნება, ტყე და ხეხილოვანი ადგილები. ალაგ ალაგ პურის ყანებიც ბიბინებს, ასეა დერბენტამდი.

აქ თავდება ამიერ-კავკასიის რკინის გზა და იწყება ვლადიკავკაზ-როსტოვის გზა. დერბენტიდან გუდერმესამდე ხედავთ ახლად ამწვანებულ დიდ მინდვრებს.

გუდერმესიდან იწყება უკვე „პურის ქვეყანა“. მიგაქროლებს მატარებელი და თქვენ წინ იშლება თვალუწვდენელი ყანები.

ჯერ ჯეჯილი პატარაა, ვერ ღელავს ზღვასავით, ზოგ ალაგას ეხლა სთესავენ. მაგრამ ეს ტრიალი მინდვრები ეხლაც დაუსრულებელ ზღვას გავს.

მე აქ მგზავრობა მომიხდა 1917 წელში, როცა ნაწილი სადგურებისა უკვე დანგრეული იყო. დღეს კი ყველა სადგურები აღდგენილია.

მუშაობა სდუღს. მატარებელი თავის დროზე მიქროლავს, აღარ აქვს ადგილი რაიმე მოულოდნელ შემთხვევებს.

ჩვენს ვაგონში მოდის ერთი გერმანელი ინჟინრის ცოლი. მან რუსული არ იცის, ის რამდენიმე დღეა რაც ჩამოსულა ჩვენში მომუშავე ქმართან. რომელიც საქმეების გამო დადის სხვადასხვა ქალაქებში და ცოლიც თან დაჰყავს. მას გვერდით რუსულის შესასწავლი სახელმძღვანელოები უწყვია, შიგ ჩასჩერებია, სწავლობს.

— მაშინებდნენ აქეთ წამოსვლისას. ვინ იცის საბჭოთა რუსეთში რა შეგემთხვევაო, — ამბობს ის, მაგრამ აი, ექვსი თვეა საბჭოთა კავშირში ვარ და კარგის მეტს ვერას ვიტყვი.

— ვნახე მოსკოვი, თბილისი, ბაქო და ყველგან ცხოვრება დუღს და გადმოდის. არ ვიცი რათ გვაშინებენ, რათ გვატყუებენ, რათ ვვაქულებენ საბჭოთა კავშირს.

— მთელი გერმანია რომ შემოიარო, ვაგონში დასაწოლ მოწყობილობას ვერ ნახავ, თქვენი მატარებლები ნამდვილი სასტუმროა, სადაც მგზავრობას კაცი ვერ იგრძნობს, სადგურებზე რაც გინდა, რომ არ ყიდიან. მშვენიერი, თეთრი პური გირვანქა 6 კაპეიკი ღირს.

გერმანელ ქალს ეს გარემოებაც აკვირვებს.

გათენდა პირველი მაისი. სადგურები ყველგან სადღესასწაულოთაა მორთული, ყველგან ფრიალებს წითელი დროშა, ბევრს გულზე წითელი ნიშანი აქვს გაკეთებული.

ყველა ზეიმობს. მაგრამ აი, შეხედეთ, მინდვრებს. აქ გაცხარებული მუშაობაა გაჩაღებული. ზოგი ხნავს, ზოგი ფარცხავს, ზოგი კი დევ ძველ ჩალას იღებს და სწვავს. აქ თოვლი სულ ახლად აღია და ამიტომ ხვნა-თესვაც შემოგვიანებათ.

მუშაობენ გლეხები გაცხარებით პირველ მაისს. ზოგს გუთანზე წითელი დროშა მიუკრავს. ზოგს გუთნის გამწევ ცხენის თავი შეუმკია წითელი დროშით. ის თან მუშაობს, თან უქმობს პირველ მაისს.

— რათ მუშაობენ დღეს? კითხულობს ერთი ამხანაგი ვაგონში.

— როგორ თუ რათ: აძლევენ მას პასუხს სხვები.

— ხომ ნახე ზამთარმა რა დღე დაგვაყენა. ძლივს გამოიდარა, ძლივს თოვლი აიღო, ძლივს მუშაობის საშუალება მოგვეცა. დღეს აი, რა მშვენიერი დარია, გლეხი ვერ დაკარგავს ასეთ დღეს.

შუა დღე ახლოვდება. ჩვენი მატარებელიც მიუახლოვდა წითელ როსტოვს.

პირველი მაისი როსტოვში

დღეს როსტოვი წითლებშია გახვეული. ეს უკვე მის ახლომდებარე პატარა სადგურ ბატაისკიდან გვემცნო.

ცოტა როსტოვის დიდმა ხიდმა შეგვაჩერა. აქ გემებს გაევლო, ხიდი გაიშალათ და ჩვენი მატარებელი უცდიდა მანამ ისევ შეაერთებდენ.

ჩავედით როსტოვში. ძლივს დავბინავდით. ჩვენს ბინას დიდი აივანი აქვს წინ, რომელიც გადაჰყურებს ქალაქის უმთავრესს ქუჩას. აი, ამ ქუჩაზე მოდის სამაისო დემონსტრაცია, მოდის ზღვა ხალხი.

როსტოველ ამხანაგებს პირველი მაისი ნამდვილ ხალხურ დღესასწაულად გაუხდიათ.

სიმღერა, ცეკვა, თამაში, მუსიკა ერთი მეორეს მისდევს. და ყველა ეს ისე მწყობრათ ისე ლამაზათ ხდება.

როსტოვი საუცხოო ქალაქია, სწორი, განიერი ქუჩები.

ერთი მთავარი ქუჩა—ენგელსის სახელობის პირდაპირ გადის შუა ქალაქში და აერთებს როსტოვს დონის ნახიჩევანთან.

დანარჩენი ქუჩები ჯვარედინათ არიან ამ ქუჩასთან დაკავშირებული.

საუბარი საბჭოს თავმჯდომარესთან

ჩვენი მიზანია გავეცნოთ ამ დიდი ქალაქის საბჭოს და მისი სექციების მუშაობა მიღწევებს. ორი დღე უქმეა. ამან შეგვიშალა ხელი. მაგრამ როსტოვის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვორონეჟსკის გაუგია ჩვენი მოსვლა და 2 მაისს დილით თითონ გვეწვია. მან გადაგვიშალა თვალწინ როსტოვის კარგი და ცუდი მხარეები.

როსტოვში დღეს 308 ათასი მცხოვრებია. 1914-ში 220 ათასი იყო.

როსტოვმა მცხოვრებთა რიცხვის მხრივ, მთელ კავშირში დაიჭირა მერვე ადგილი. წინათ კი იყო მეცხრე.

თუმცა ვაჭრობა წინანდელთან შედარებით დაეცა, მაგრამ აღმშენებლობა დიდი სიჩქარით და ნაყოფიერებით მიდის წინ.

აღდგენილია ყველა ძველი ქარხანა-ფაბრიკა.

ახლად აშენდა ფეხსაცმელების დიდი ფაბრიკა, სადაც მუშაობს 1.500 კაცი და ჩქარა ეს რიცხვი სამი ათასამდე ავა. აუგიათ დიდი პურის საცხობი ქარხანა, რომელიც, სამი ცვლით აცხობს 6 ათას ფუთ პურს დღე და ღამეში.

ქალაქს კი სჭირდება 11.500 ფუთი. დანარჩენს აცხობენ კოოპერატივები, აშენდა ავეჯეულების, თუნუქის და მრავალი სხვა ქარხანა.

შენდება დიდი ელექტრო-სადგური. დამთავრდა დიდი ხიდი დონზე, რომელიც გემების გავლის დროს მაღლა აიწევა და შემდეგ ისევ დაიშვება ხოლმე. კეთდება ახალი წყალსადენი. ექცევა დიდი ყურადღება მშენებლობას მუშათა უბნებში.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხედავთ მუშათა კლუბებს.

არ დამალა ამხ. ვორონეჟსკიმ ქალაქის ნაკლიც.

დიდია ბინის კრიზისი, თუმცა ყველა დიდი სახლები ნაციონალიზაციაქმნილია, დიდია უმუშევრობა, ვინაიდან მრავალი გლეხობა მოილტვის როსტოვში.

როსტოვი მინახველებზე სტოვებს მეტად კარგ შთაბეჭდილებას...

როსტოვის საბჭოს მუშაობის გაცნობის და ქალაქის დათვალიერების შემდეგ, ჩვენ გავემგზავრეთ ხარკოვისაკენ

ს. დოლიძე.

თავდადებული მუშაკის ხსოვნას

ნიკო კეჩხუაშვილი



მშრომელ ინტელიგენტების ჯგუფს გამოაკლდა ერთ-ერთი თავდადებული საზოგადო მუშაკი, გორის მაზრის აგრონომი ნიკო კეჩხუაშვილი.

ნიკომ მთელი თავისი ცოდნა მოახმარა ჩვენი სოფლის მეურნეობის აყვავების და სოციალისტურ ნიადაგზე დაყენების საქმეს. 5 წელიწადია, რაც ამხ. ნიკო მუშაობს გორის მაზრაში. ამ ხნის განმავლობაში მან მთელი მაზრის გლეხობაში მოიპოვა დიდი ავტორიტეტი და საერთო სიყვარული.

მისი ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი, რომელიც შეემთხვა მდინარე ლიახვის ურმით გა[illegible] სისწრაფით მოედო მთელი მაზრის გლეხობას.

არ არის მაზრაში არც ერთი კომუნა, სას.-სამ. კოლექტივი, სამანქანო ამხანაგობა, საკრედიტო ამხანაგობა, იარაღ-მანქანების გამქირავებელი პუნქტები, საცდელ-საჩვენებელი მინდვრები, კულტურულ მცენარეთა გავრცელების საქმე და სხვადასხვა, რომელთა მოწყობა-მუშაობაში ამხ. ნიკოს მიღებული არ ქონდეს ენერგიული მონაწილეობა.

ჩვენს მაზრაში მეხილეობის გავრცელების საქმეს, ნიკომ თავის ამხანაგებთან ერთად მთელი თავისი ძალა და ღონე მოახმარა და კიდევაც დაიღუპა ამ საქმეში, როდესაც მივლინებული იყო სოფ. შინდისში ბაღების მოწამლის საქმეზე და ხილის დამზადების ოპერაციის მოსამზადებლად.

გორის მაზრის გლეხობამ დაჰკარგა ერთი საუკეთესო მომუშავეთაგანი ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენის დარგში. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება გორის მაზრის მშრომელ მოსახლეობაში. იმ საქმეს, რომელზედაც ამხ. ნიკო ასეთი თავ-გამოდებით და სიყვარულით მუშაობდა, ჩვენ მივიყვანთ ბოლომდე. ეს იქნება ამხ. ნიკოს ხსოვნის საუკეთესო აღნიშვნა.

მშვიდობით კარგო და საყვარელო მეგობარო ნიკო.

ვ. ქურდაძე.

იშვიათი მუშაკი

7 მაისს სამსახურის ასრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა გორის მაზრის აგრონომი ნიკოლოზ გრიგოლის ძე კეჩხუაშვილი.

განსვენებული დაიბადა ქალაქ გორში 1897 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის დამთავრების (1922 წ.) შემდეგ იგი მუშაობს ამავე უნივერსიტეტის მუხრანის სამოსწავლო მამულში მებაღის თანამდებობაზე და იწვრთნება ამ დარგში. 1923 წელს ინიშნება გორის მაზრის აგრონომათ. და ამ თანამდებობას ასრულებს სიკვდილამდის.

დიდი და მრავალმხრივი იყო განსვენებულის მოღვაწეობა საერთოდ და სოფლის მეურნეობის დარგში კერძოთ. იგი იყო მაზრის აგრონომიულ ღონისძიებათა ხელმძღვანელი, აქტიური მონაწილე კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობისა, საადგილ-მამულო პოლიტიკისა, კოოპერაციისა და სხ.

ვინც კი იცნობდა ამხ. ნიკოს, ან ვისაც კი იგი უნახავს მუშაობაში, ყველას აკვირვებდა ის დაუღალავი მხნეობა და ენერგია რომლითაც აღვსილი იყო განსვენებული და რომლითაც იგი უდგებოდა ყოველგვარ საქმიანობას. მან არ იცოდა პირადი მოსვენება და მუდამ საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო გართული.

მისი მეცადინეობით და დაუღალავი მუშაობით გორის მაზრის აგრონომიული ორგანიზაცია გაიზარდა ერთ დიდ მძლავრ ორგანიზაციათ, რომელსაც რიცხობრივათ და თვისებითაც მთელ საქართველოში უჭირავს ერთი პირველი ადგილთაგანი.

იშვიათად მოიპოვება გორის მაზრაში რომელიმე სოფლის მეურნე თუ მეურნეობა, რომელსაც არ მოხვედროდეს მადლიანი ხელი ამ მუშაკისა. ყველა კარგად იცნობდა მას. კარგად იცნობდნენ მას და მის ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს აგრონომიული ძალებიც, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოებიც.

თავმდაბალი, მხიარული, საუკეთესო ძმა და მეგობარი, ჭირში და ლხინში გამტანი, იგი თავისი დაუფასებელი ღირსებებით ყველას ხიბლავდა და საყვარელი არსება იყო.

განსვენებულს არ ასვენებდა აზრი, რომ მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის, მის რეკონსტრუქციისათვის საჭიროა ცოდნა და ცოდნა, იმაზე მეტის ცოდნა, რაც განსვენებულს ჰქონდა, მისი იდეალი იყო გაეღრმავებინა თავისი ცოდნა ამერიკაში და ევროპაში პირადი გამგზავრებით და იქ მეურნეობის ადგილობრივ შესწავლით, რომ ამ გზით შეძენილი ცოდნა შემდეგში გამოეყენებია თავისი ქვეყნისათვის. მისი გაგზავნა გორის მაზრის აღმასკომს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა თავის ხარჯზე და ის მალე უნდა გამგზავრებულიყო კიდეც.

ამხ. ნიკო ერთი პირველი სპეციალისტთაგანი იყო, რომელმაც შეიგნო, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მშრომელთა სასარგებლოდ განავითაროს სახალხო მეურნეობა მთლიანად და სოფლის მეურნეობა კერძოთ.

უბედურმა შემთხვევამ არ დაინდო ენერგიით და სურვილით აღსავსე ახალგაზრდა, რომელმაც თავის ხანმოკლე ცხოვრებაში ბევრის გაკეთება შესძლო. დაობლდა გორის მაზრის აგრონომიული ორგანიზაცია, მასთან ერთად აგრონომიულ ძალებს დააკლდა ერთი საუკეთესო მუშაკი. საბჭოთა ხელისუფლებამ მასში დაჰკარგა იშვიათი მომუშავე. მას ბევრი რამის გაკეთება კიდევ შეეძლო.

მწუხარებით გლოვობენ მის დაკარგვას მისი ნაცნობები, მეგობრები და ის ორგანიზაციები, რომლებშიაც იგი ასე მუყაითად მუშაობდა.

მშვიდობით ამხ. ნიკო! სამუდამო იყოს შენი სახელი ჩვენს ხსოვნაში!

მ. ძამანაშვილი.

საკურორტო სეზონი

ამჟამად საქართველოში ირიცხება რესპუბლიკანური მნიშვნელობის შემდეგი კურორტები: ბორჯომი; აბასთუმანი; წყალტუბო; ახტალა პატარა ცემი; წაღვერი; ბახმარო და შოვი. ყველა ეს აგარაკები იმყოფება საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში.

საკურორტო სამმართველოს ცნობით, აღნიშნულ აგარაკების კეთილმოწყობა ზაფხულის სეზონისათვის უკვე დამთავრებულია.

ყველა საავადმყოფო შენობები დეზინფექციაქმნილია, და სამკურნალო დაწესებულებებისათვის შეძენილია ახალი საექიმო იარაღები.

აბასთუმანში გაფართოებული და შეკეთებულია პანსიონი, რომელსაც აქვს 100 საწოლი. წყალტუბოში დამთავრდა სასტუმროს აგება. სასტუმროს აქვს 82 ოთახი. სასტუმროშივე მოწყობილია სადიეტო სასადილო ექიმის ხელმძღვანელობით. გადაკეთებულია აგრეთვე ყველა აბაზანები.

წელს გაიხსნება საავტომობილო მიმოსვლა ქუთაისს-აბასთუმანს შორის.

1 ივლისისათვის დანიშნულია კურორტ შოვის სეზონის გახსნა. ეს კურორტი ყველა კურორტს შორის უნდა ჩაითვალოს საუკეთესოთ მოწყობილად. შოვს აქვს კანალიზაცია, წყალსადენი, ელსადგური, კურზალი, საუკეთესოდ მოწყობილი სანატორიუმი, პანსიონატი, სასტუმრო და სხვ.

წელს ყველა კურორტებზე გაიგზავნება 70 ათასი ავადმყოფი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, მიღებულია სათანადო ზომები კურორტების სურსათ-სანოვაგით უზრუნველსაყოფად მთელი სეზონის განმავლობაში. კურორტების უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით დავალებული აქვს კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

ყველა კურორტებზე ოთახების უმრავლესობა უკვე გაცემულია.

ხარისხების მიხედვით ქირის სახით კვადრატიულ მეტრზე დაწესებულია 1 მან. 3 მანეთამდე. არა კავშირის წევრები იხდიან 25 პროც. მეტს.

1905 წელში დაბადებულთა სამთვიანი შეკრება

1905 წელში დაბადებულთა სამთვიან შეკრებაზე გაწვევასთან დაკავშირებით, ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს და წარმოებებს წინადადება მიეცა აღნიშნულ წელში დაბადებული ახალგაზრდები გაანთავისუფლონ მუშაობისაგან 14 მაისიდან 15 აგვისტომდე (სამსახურის შენახვით).

შეკრებაზე გაწვეულ ახალგაზრდებს მიეცემა მხოლოდ ორი კვირის ხელფასი. უმუშევარნი, რომელნიც აღრიცხვაზე არიან აყვანილი, დამზღვევ სალაროებში, მიიღებენ ერთი თვის დახმარებას.

შეკრებაზე გამოცხადებისათვის თვალყურის დევნება დავალებული აქვს მილიციას და სოფლის საბჭოებს.

—:—

მე-6 ქარ. მსრ. ლეგიონზე, მის განაყოფებზე და მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის ზურგის ნაწილებზე მიწერილი (1905 წელში დაბადებული) ახალგაზრდები სამთვიან სამოსწავლო შეკრებაზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი წესით: მცხოვრებნი ქალ. თბილისში—ლეგიონის შტაბში (კახეთის ქუჩა, 16), 15 მაისს დილის 7 საათზე; მცხოვრებნი პროვინციაში—თავთავიანთ განაყოფებში საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, სათანადო შესაკრებ წერტებზე, 14 მაისს.

—:—

1905 წელში დაბადებული ახალწვეული ცვალებადი წითელარმიელები, მიწერილნი ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე საარტილერიო ლეგიონზე და საარტილერიო პარკზე, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სამთვიან შეკრების გასავლელად შემდეგ სამოსწავლო წერტებზე: თბილისის რაიონი—16 მაისს დილის 6 საათზე—საბურთალოზე; ქუთაისის რაიონი—15 მაისს დილის 6 საათზე—ქუთაისის სამხ. კომისარიატში; ხონის რაიონი—14 მაისს—ხონის სამოსწავლო წერტზე; სამტრედიის რაიონი—15 მაისს—სამტრედიის სამოსწავლო წერტზე; ახურეთის რაიონი—15 მაისს—ახურეთის სამოსწავლო წერტზე; ალბულადის რაიონი—14 მაისს—ალბულადის სამოსწავლო წერტზე; მანგლისის რაიონი—14 მაისს—მანგლისის სამოსწავლო წერტზე.

ის ახალწვეულნი, რომლებიც დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდებიან შეკრებაზე, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

ზამთრის შედეგები

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს გამოკვლევით, გასულმა ხანგრძლივმა ზამთარმა და დიდმა თოვლმა საგრძნობლად დააზარალა სოფლის მეურნეობა საქართველოს ყველა კუთხეებში, გარდა ბორჩალოს მაზრისა, სადაც ნალექების სიმრავლე ხელსაყრელ გავლენას ახდენს ნათესებზე.

საზაფხულო თესვა, თოვლის გამო, საქართველოს ყველა კუთხეებში დაგვიანებით დაიწყო, სახელდობრ—მარტის დამლევს და აპრილის დამდეგს, გარდა ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრებისა. დაბლობ ადგილებში, სადაც შესაძლებელი იყო თესვის შედარებით ადრე დაწყება, მუშაობა ჩატარებული იქნა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში. ხანგძლივი ზამთრის და საკვების უქონლობის გამო, მუშა საქონელი გაზაფხულზე ძალიან დასუსტებული აღმოჩნდა, რამაც საგრძნობლად დააზარალა თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება.

შემოდგომის ნათესები შედარებით დამაკმაყოფილებელია იმ რაიონებში, სადაც თოვლი ადრე დადნა, ხოლო იქ, სადაც თოვლი გვიან გაქრა, ნათესები ნაწილობრივ დაზარალებული აღმოჩნდა.

არაჩვეულებრივ მკაცრი ზამთრის გამო, მოსახლეობას საშუალება არ ჰქონდა საქონელი გაერეკა საზამთრო საძოვრებზე, საკვები მომარაგებული ჰქონდათ მცირე რაოდენობით და მუშა საქონლის ნაწილი გაწყდა საქართველოს ყველა რაიონებში. ამ მხრივ განსაკუთრებით დაზარალდენ შირაქის ველზე დაბინავებული მეცხვარეები.

ზამთარმა დააზარალა მევენახეობაც, მაგრამ მევენახეობის ზარალი შედარებით უმნიშვნელოა. სამაგიეროთ საგრძნობლად დაზარალდა ხეხილის ბაღები გორის მაზრაში; ახალციხის მაზრის ხეხილის ბაღები შედარებით უვნებლად გადარჩა, ხოლო დუშეთის მაზრაში დაზარალდა ბაღების 50 პროცენტამდე.

მეფუტკრეობა გასულ ზამთარს მოუმზადებლად შეხვდა, სკებში დატოვებული იყო თაფლის მცირე მარაგი, ზამთრის განმავლობაში მეფუტკრეებს საშუალება არ ჰქონდა შეეტანათ სკებში საკვები თაფლი და ამის გამო ფუტკრის ნაწილი დაიხოცა.

ზამთრის განმავლობაში საქართველოს ყველა კუთხეებში იზრდებოდა სურსათ-სანოვაგის და საქონლის საკვების ფასები. მოთხოვნილება ამ სურსათ-სანოვაგეზე გაცილებით სჭარბობდა მიწოდებას.

სამრეწველო საქონლით ნორმალური მომარაგება შეფერხებული იყო თითქმის ყველა რაიონებში და ის საქონელი, რომელიც კოოპერაციას არ მოეპოვებოდა კერძო სავაჭროებში მეტად მაღალ ფასებში იყიდებოდა.

ზარალის გამორკვევა

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის წინასწარი გაანგარიშებით, გასულ ზამთარში ცივი ამინდებისა და საკვების უქონლობის გამო საქონლის გაწყვეტით გამოწვეული ზარალი საქართველოში უდრის 7.000.000 მანეთს.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ დაავალა საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს—დაჩქარებით გამოარკვიოს ზარალის ნამდვილი რაოდენობა.

საექსკურსიო სეზონის დაწყების წინ

აჭარისტანის პროფსაბჭომ პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან ერთად საექსკურსიო სეზონის მოახლოვების გამო გახსნა სპეციალური საექსკურსიო ბაზა. გარდა ამისა, სკოლებში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ექსკურსანტებისათვის გამოყენებული იქნება სასწავლებლების შენობები. შარშან ცენტრალური საექსკურსიო ბაზა გაიარა 6.000 ექსკურსანტმა, წელს მოელიან დაახლოვებით 10.000 ექსკურსანტს. პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო 15 მაისიდან ბათომში გახსნის ერთ-თვიან კურსებს ექსკურსიების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით ბოტანიკურ ბაღში, ციხისძირში, და მწვანე კონცხზე გაიხსნება კიოსკები და სავაჭრო კარვები, რომლებიც ექსკურსანტებს მინიმალურ ფასებში მიაწოდებენ სანოვაგეს და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ქალაქის მცხოვრებთა საყურადღებოდ

თბ. ქალაქის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 10 მაისიდან იწარმოებს სასწავლო სამხედრო სროლა ქალაქის შემდეგ რაიონებში: 10 მაისიდან თვის ბოლომდე ჯავშნოსანი ნაწილები აწარმოებენ სავარჯიშო სროლას ტყვიისმფრქვევლებიდან მდ. ორხევის რაიონში რკინის გზის და კახეთის ხაზებს შორის; 13 მაისიდან ვაკეში იწარმოებს სასწავლო სროლა თოფებიდან; 17—20 მაისამდე კუს ტბის რაიონში. სამხედრო ნაწილები ჩაატარებენ სამოსწავლო სროლას ვინტოვკებიდან და ხელით სასროლ ყუმბარებით.

უცხოელების ჩამოსვლა

გუშინ კავკაკიდან თბილისში ჩამოვიდნენ გერმანიის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი შვერინ ფონ კროზინგი და გერმანიის საკონცესიო კამპანია „დრუზი“-ს წარმომადგენლები ვინკლერი და ა. განი.

აღნიშნულ კომპანიას ჩრდილოეთ-კავკასიაში აღებული აქვს კონცესიები.

მათი ჩამოსვლის მიზანს შეადგენდა საკონცესიო [illegible] დათვალიერება.

თბილისის აღმასკომში

◆ რძის ნაწარმოების დამამზადებელ ქარხნის მოწყობილობა თბ. აღმასკომმა გადასცა მიწსახკომის ზოოტექნიკურ სადგურს.

◆ სკოლების შეკეთება. განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა ზაფხულის განმავლობაში მოახდინოს სკოლის შენობების საფუძვლიანი შეკეთება.

სხვადასხვა

◆ საქ. ხალხ. და საეთნოგრაფიო საზ-ბის კრებაზე პარასკევს, 11 მაისს (საქ. მუზეუმის აუდიტორიაში) გ. ბოჭორიძე წაიკითხავს მოხსენებას: „არქეოლოგიური მოგზაურობა ქართლსა და იმერეთში“.

◆ ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკა. (ყოფ. ზუბალაშვილის) გაიხსნება 10 მაისიდან.

◆ სოციჰიგიენის აუდიტორიაში დღეს საღამოს 8 ს. შესდგება ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზ-ბის მორიგი კრება.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ლიუქსენბურგიდან—ჯანდიერს, ახალქალაქიდან—მირაქოვს, ზესტაფონიდან — ხითაროვს, სოხუმიდან — კოლტუკოვსკის, გორიდან — კომბიტს.

ხელოვნების ქრონიკა

თვითმოქმედების საღამო

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ხუთშაბათს, 10 მაისს, მუშათა ახალ კლუბში ამიერკავკასიის პროფკავშირთა 4 ყრილობის დელეგატებისათვის მართავს დიდ თვითმოქმედებათა საღამოს.

—:—

◆ „როზიტა“. დღეს ოპერის თეატრში კამერულ თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „როზიტა“.

◆ პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნო ახლო ხანში დასდგამს გ. ყორჩიბაშის ახალ დრამას „გრიგალს“. დადგმა დ. კობახიძის. მხატვარი დ. კაკაბაძე.

◆ ფისარევას საგასტროლოდ დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „მირა ეფროს“.

◆ ახალი წიგნი. იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა სიო ხიდისთაველის ლექსთა კრებული.

შემთხვევები

ლომის მოწამვლის გარშემო

ლომის—„დუნკან“-ის სიკვდილის გამომკვლევმა კომისიამ გუშინ დაასრულა მუშაობა.

საბოლოოდ დადასტურდა, რომ ლომის სიკვდილი გამოიწვია მოწამვლამ.

გამოძიება გრძელდება.

ყალბი ჩეკებით

ამ უკანასკნელ ხანებში მუშკოოპის ცენტრალურ მაღაზიიდან ვიღაც ბოროტმოქმედს ყალბი ჩეკებით სისტემატიურად გამოჰქონდა სხვადასხვა საქონელი. მუშკოოპის გამგეობამ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ ბოროტმოქმედებას ეწეოდა ვინმე მიხეილ ლიტვინოვი (მცხ. გლეხთა სახლში), ლიტვინოვი დაპატიმრებულია.

ჯიბგირი ტრამვაიში

გუშინ, დილით, ვიღაც ჯიბგირმა მოქ. ივანე ერისთავს (მცხ. საბჭოს ქ., 175), ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალა 1.180 მანეთი და მიიმალა.

ცოლის დაჭრა

გუშინ, დილით, ალექსანდრე მიხეილისძე ივანოვმა დანით დასჭრა თავისი ცოლი—ევდოკია. დაჭრილ ქალს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს საავადმყოფოში. ივანოვი დაპატიმრებულია.

ქურდობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის პასუხისგებაში მისცა: სარდიონ ალექსისძე კოქლამაზაშვილი, ვასილ ანდრიასძე ტუზინკო, იოსებ სტეფანესძე ძიგურაშვილი და ვასილ ალექსანდრესძე კალკამანია.

მტკვრის ნაპირის ჩამონგრევა

გუშინ, საღამოს მტკვრის ნაპირზე ყოფილ პასკუნის სახლსა და ყოფ. რეალურ სასწავლებლის შენობას შუა ჩამოინგრა მიწა. მიწის ჩამონგრევა გამოწვეულია იმით, რომ წყალდიდობის დროს ახალ დაყრილ მიწას მტკვარმა გამოუთხარა ძირი. მიწის ჩამონგრევის დროს ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

შეჯიბრი სროლაში

საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა და პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩაატარეს შეჯიბრი სროლაში. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 219 კაცმა. მათ შორის იყვნენ ქალები—სასროლო წრეების წევრები. სროლა სწარმოებდა 30 ნაბიჯის მანძილზე სამხაზიან შაშხანა და „მეკო“-ს სისტემის თოფებიდან.

შეჯიბრის შედეგი ასეთია: ქალების გუნდიდან პირველობა ხვდა: რომანოვას (20 მოხვედრა—25-დან), მიხაილოვას (19 მოხვედრა 25-დან), შუბინას (17 მოხვედრა 25-დან), ტიდემანს (16 მოხვედრა 23-დან) და იაგეტენბაუმს (12 მოხვედრა 25-დან).

ვაჟებიდან პირველი ადგილი დაიკავა ვარნაძემ (საბ. უნივერსიტეტი), შემდეგ ხეხიაშვილმა (ბორჯომი), მაყაშვილმა (საბ. უნივერსიტეტი) და ჭიჭინაძემ (მოწაფე).

—:—

საზაფხულო სასროლო სპორტის განვითარების მიზნით თავდაცვა-ავიაქიმი სოფლად და ქალაქად აწყობს სასროლო ტირებს. პირველ რიგში ტირი მოეწყობა სამაზრო ქალაქებში. თავდაცვა-ავიაქიმი თავის ორგანიზაციებს მოკლე ხანში დაუგზავნის პატარა ყალიბიან თოფებს და ვაზნებს.

ავიაქიმის ადგილობრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცა სასროლო წრეების და ტირების ხელმძღვანელებად გამოიყენონ ყოფილი წითელარმიელები და თადარიგის მეთაურები.

სასამართლო

არსენას ოინები

— ვაჰ! ვაჰ! ვაჰ! რა დრო იყო! რა დრო დავკარგეთ! „პერვოი გილდიის კუპეცს“ რას მიშვრებიან ეს ვირინები? ქალინკა! იცი ქალო, რამდენი უნდა გადავიხადო „ნალოგი“? მოიტანე ჩოთქი...

ცოლმა მიუტანა საანგარიშო.

— სათანაბროა, თუ რაღაც ჯანდაბა—1700 მანეთი, ჩავიდეთ!... ეხლა „ნალოგი“ ყასეულთა მიმოქცევაზე, მაგათ დააქცევს და აპოაგდებს ღმერთი! სულ 326 მანეთი... ეხლა საშემოსავლო 5.535 მანეთი... ეს ყველა ხომ ჩავიდით... ამას მიუმატოთ „ნალოგი“ ზედმეტ შოგებზე—1150 მანეთი... სულ გამოდის 8.711 მანეთი. აი, ამოდენა ფული ჩემი ხელით უნდა მივართვა მაგ ღვთისაგან გარისხულებს!

ცოლმა ამოიოხრა, არსენმა მგრად შეიგინა და ჩოთქის კოჭებს მძლავრად გაჰკრა ხელი.

ვინ არის არსენ სარიბეგოვი? სარიბეგოვი რაც თავს მოესწრო, ვაჭარია სულ მუდამ. 22 წლის „სტაჟი“ აქვს ვაჭრობაში. ვერავინ მოატყუებს! გამოჭრილია ყველაფერში.

— ამ ფულს, რასაკვირველია, მე არ შევიტან. გიჟი ვარ! სულ მივაკრავ ჩემს ღვინის სარდაფს. მერე მდიონ, —არსენას თავი ქუდში აქვს.

ან რისი უნდა ეშინოდეს! მისი უძრავ-მოძრავი ქონება: სახლი, ნივთები, ავეჯეულობა სულ ყველაფერი ცოლს დაუმტკიცა ორიოდე თვის წინ. იცის არსენამ, როგორ შემოუაროს კანონს, როგორ დაუბრმაოს თვალები ფინინსპექტორს, არაფერი მას არ გააჩნია! ნემსი რომ ნემსია, ისიც მის ცოლს მოჰყვა მზითევში.

სათანადოთ ჩამოყალიბებულ იურიდიულ საბუთებსაც წარმოადგენს არსენა. უნდა დაიჯეროთ, რომ 22 წლის განმავლობაში „პერვოი გილდიის კუპეცს“ ერთი კაპეიკის საღირალი არ მიუმატებია ოჯახისათვის, ყველაფერი ქალინკასია! თვითონ ნამდვილი „ლუმპენპროლეტარია“...

არსენა, როგორც ვსთქვით, გამოცხრაკებულია ვაჭრობის საქმეში. მან იცის საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის ავკარგიანი. მართალია, წლიური ბრუნვის შესახებ ცნობა უნდა მიაწოდოს საგადასახადო ინსპექციას, მაგრამ მერე რა? მიაწოდებს ისე, როგორც მისთვის არის ხელსაყრელი. ვინ რას გაუგებს, რამდენი ვედრო ღვინო გაჰყიდა სარდაფში!

მანაც შეადგინა წლიური ბრუნვა.

— 17.000 მანეთია წლიური ბრუნვა,—ციცავს არსენა.

ფინინსპექციამ მოითხოვა ცნობები სააქციზო უწყებიდან. გამოიანგარიშეს და არსენას წლიური ბრუნვა გამოვიდა 69.573 მანეთი. „ცოტა“ შეცდომა მოუვიდა ანგარიშში არსენს. „ცოტა“ განსხვავებაა ჩვიდმეტი ათასსა და სამოცდაათი ათას შორის!..

არსენამ იცის, რომ გადასახადის გასანაღდებლად სარდაფში შენახულ ღვინის დაადებენ ყადაღას.

1214 ვედრო ღვინო აქვს სარდაფში. ხუმრობა საქმეა? ის რომ არ გააქროს სადმე არსენმა, მაშინ ხომ ჩაფლავდა მისი „შორსმჭვრეტელი“ პოლიტიკა.

სარიბეგოვმა გაჰყიდა ღვინო. ჩაიწყო ჯიბეში 9.000 მანეთამდე და ბოქლომი დაადო სარდაფს.

როცა მიაკითხეს არსენას ფულზე, უკანასკნელმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. წაიღო თავის პატენტი და ჩაბარა ინსპექციას.

— აღარ ვვაჭრობ. გავკოტრდი... რაც გინდათ ის მიყავით!—ლაპარაკობს სარიბეგოვი.

საგადასახადო ინსპექციამ შეაგროვა მასალები. გამოარკვია „გაკოტრების“ მიზეზი და აღმოჩნდა, რომ არსენ სარიბეგოვს მხოლოდ ფული არ ემეტება სახელმწიფოსათვის. ისე ძალიან მტკიცეა, მისი ფინანსიური მდგომარეობა.

უძრავ-მოძრავი ქონების დამტკიცება ცოლისათვის, სარდაფის დაცალიერება, ყალბი ცნობების მიწოდება,—ყველაფერი ეს არსენას ოინებია გადასახადისაგან თავის დასაძვრენად.

არსენ სარიბეგოვს გაასამართლებს შაბათს 1 უბნის სასამართლოს საგადასახადო კამერა. გასამართლება მოხდება ავლაბრის მუშათა კლუბში.

პონჩიკით „მოწამლული“

ეს ამბავი საინტერესოა, როგორც ცილისწამების ნიმუში.

საბრალდებო სკამზე ზის ახალგაზრდა ნიკოლოზ რომანის ძე შენგელია, რომელსაც მისივე ყოფილი ამხანაგი ვიკენტი მელქაძე მოწამვლის ცდას აბრალებს.

საქმე შემდეგშია. ამა წლის 1 იანვარს საბა მელქაძეს, რომელსაც ორთაჭალაში სახლი და ბაღი აქვს, მოჯამაგირეთ აიყვანა ნიკოლოზ შენგელია.

ნიკოლოზ შენგელიასა და საბას ვაჟ ვიკენტს შორის კარგი მეგობრული განწყობილება იყო პირველად.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვიკენტიმ განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას, რომ ნიკოლოზ შენგელიას უნდოდა მისი მოწამვლა. ამ მიზნით მან ვითომ მიაწოდა მას მოწამლული პონჩიკი. შენგელიას განზრახვა იცოდა მისმა ამხანაგმა დეკანოსიძემ, რომელიც პონჩიკის გადაცემის დროს იქ იყო. ვიკენტიმ ჩაიდო პირში პონჩიკი. ერთ ლუკმას გადაყლაპვა მოასწრო, სანამ დეკანოსიძე მიაძახებდა: „არ შესჭამოო“. ერთმა ლუკმამაც მას ზე ცუდათ იმოქმედა და სხვა.

— რატომ მოგწამლავდათ, რა ინტერესი ჰქონდა თქვენი შენგელიას?—ეკითხებიან მელქაძეს.—როგორც გავიგე, ჩემი სიკვდილის შემდეგ მას უნდა შეერთო ჩემი და ეჟენია. შემდეგ, დედ-მამაც, რომ მოკვდებოდნენ, მემკვიდრეობით მას დარჩებოდა მთელი ოჯახი,—ლაპარაკობს ვიკენტი.

აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმ დღეს, რა დღესაც ვითომ ადგილი ჰქონდა მოწამვლის ცდას, მელქაძეს არ მიუმართავს ექიმისათვის. ექიმთან გამოცხადდა მეორე, თუ მესამე დღეს. იმ პონჩიკის ნაწილი, რომელიც ვითომ მოწამლული იყო ქიმიურ ლაბორატორიაში გასასინჯათ მიიტანეს მეოთხე, თუ მეხუთე დღეს. საწამლავი მართლაც აღმოჩნდა პონჩიკზე. მაგრამ ხომ შეიძლებოდა თვითონ ვიკენტის, ან ვინმე სხვა დაინტერესებულ პირს დაეყარა საწამლავი?

საქმე გადაეცა სასამართლოს, სამი დღის განმავლობაში ირჩეოდა საქმე.

მეტად საინტერესო ხასიათი მიიღო მოწამვლის ფაქტის გამორკვევამ.

დეკანოსიძე, რომელიც მთავარი მოწმე იყო და რომელიც ადასტურებდა, რომ შენგელიამ მას გაუზიარა ეს საიდუმლოება და სთხოვა თანამონაწილეობა, დაიბნა სასამართლოში „ბრინჯგით“. რაკი ერთხელ დაუსხლტა ფეხი, გაჰყვა და აურია ყველაფერი. დაიჭირეს ტყუილებში.

სასამართლომ ცრუმოწმე დააპატიმრა. შენგელიას არ დაუმტკიცდა ბრალდება. გამოირკვა, რომ არავითარი ინტერესი არ ამოქმედებდა მას ვიკენტის საწინააღმდეგოდ. მისი დაც რომ შეერთო ცოლად, და მშობლებიც რომ დახოცილიყვნენ, მელქაძის ოჯახი მას მაინც არ დარჩებოდა, რადგან კიდევ რამოდენიმე წევრი იყო ოჯახში.

ნიკოლოზ შენგელია გამართლებულ იქნა.

—:—

დ. ასათიანი უდანაშაულოა

გურჯაანის რკ. გზის სადგურის ყოფილი უფროსი დიმიტრი ასათიანი პასუხისგებაში იყო მიცემული იმისათვის, რომ აღმოჩნდა დანაკლისი 272 მანეთი, რომელიც გაფლანგულად ჩაუთვალეს.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ასათიანს დღეში 16—18 საათი მუშაობა უხდებოდა. თავის პირად მოვალეობის გარდა მას უხდებოდა სხვადასხვა მოვალეობის შესრულება: საქმის წარმოება, ბილეთების გაყიდვა, ტვირთის აწონვა და ყველაფერი. ჰქონდა ერთი სალარო, რომელშიაც ყოველივე შემოსულ თანხებს ინახავდა. იმუშავა 3 წლის განმავლობაში. ითვლებოდა საუკეთესო ზედით მუშაკად.

სასამართლომ მიიღო მხედველობაში მძიმე პირობები, რომელშიაც მუშაობდა ასათიანი სამი წლის განმავლობაში. ამ ფულის დაკლება სცნო სამსახურებრივ დეფექტად და არა გაფლანგვათ.

ასათიანი წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

ზერ.

ხელფასის რეფორმა რკინისგზებზე

ამჟამად ა.-კ. რკინისგზებზე ტარდება ხელფასის რეფორმა თვიურად მომუშავე მუდმივ მუშებისა და სადგურების და მატარებლების გუნდების დამხმარე პერსონალისათვის.

განზრახული იყო ხელფასის რეფორმის გატარება ნარდად მომუშავე მუშებისათვისაც. მაგრამ რეფორმა გადადებულია 1 ივნისამდე, რადგან გზის გამგეობამ პირველ მაისისათვის ვერ მოასწრო ნარდად მომუშავეთა ხელფასის ნორმების შემუშავება.

ახალი რეფორმის შესახებ ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ულტიაშვილმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— თვიურ მუდმივ ხელფასის რეფორმისათვის ამჟამად წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უკვე დამთავრებულია: სატარიფო განაკვეთები გადასინჯულია და შედგენილია ახალი სატარიფო ცხრილის მიხედვით.

ხელფასის რეფორმა მდგომარეობს იმაში, რომ ერთი მხრივ ხდება ჩამორჩენილ მუშათა ჯგუფების დაწინაურება, ხოლო მეორეს მხრივ დიდდება ძირითადი სატარიფო განაკვეთი.

ამასთანავე ისპობა აქამდე არსებული სხვადასხვა სახის მრავალგვარი დამატებითი ჯილდოები, რომლებიც ამიერიდან შევა ძირითად ხელფასში. საერთოთ ისპობა ხელფასის ის მრავალფეროვანება, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქამდე.

ახალი რეფორმის გატარებით მცირდება სხვაობა ერთი და იმავე დარგის მუშების ხელფასში და კვალიფიციურ და არა კვალიფიციურ მუშების ხელფასს შორის.

ამასთანავე ერთად მარტივდება და იოლდება ხელფასის აღნუსხვა.

რეფორმის გატარების დროს მოსალოდნელია ხელფასის მხრივ ძალიან გასწრებულ მუშაკების ხელფასის შეკვეცა. მაგრამ რათა არ მოხდეს მათი ხელფასის საგრძნობი შემცირება, გზის გამგეობა და საგზაო კომიტეტი აწესებს ამ ჯგუფის მუშებისათვის პერსონალურ დამატებებს ხელფასზე.

ახალ სატარიფო ცხრილის მიხედვით შედგენილი განაკვეთები ამჟამად გადაცემულია შემფასებელ საკონფლიქტო კომისიებში. ადგილობრივი საკავშირო ორგანოები ამ ტარიფებს ამუშავებენ თავის მხრივ ცალკე და შეაქვთ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში აქ მუშაობა უნდა დამთავრდეს 11 მაისისათვის.

თუ ადგილი იქნა უთანხმოებას ადმინისტრაციასა და პროფორგანიზაციას შორის, საკითხი გაირჩევა მომრიგებელ კამერაში ისეთის ანგარიშით, რომ საკითხის გადაწყვეტა დამთავრდეს 15 მაისისათვის.

მუშაობის დამთავრების შემდეგ მოწვეული იქნება რკინისგზელთა საუბნო კონფერენციები, რომლებზედაც გაკეთდება მოხსენებები ხელფასის რეფორმის მნიშვნელობაზე.

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი

სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო ჯანმრთელობის კომისარიატს შეაკეთოს ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი და ამ მიზნით სესხათ აიღოს 50.000 მანეთი.

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი (ყოფილი მიხეილის საავადმყოფო), თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს ერთად-ერთ სამკურნალო დაწესებულებას მთელ რესპუბლიკაში. ინსტიტუტს აქვს 260 ოთახი. მათ შორის—120 სადოსტაქრო, 80 თერაპევტიული და 60 ნერვიულ სნეულების.

საავადმყოფო აგებულია დაახლოებით 100 წლის წინად, რის გამო ის მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. საავადმყოფოს ნაკლად ჩაითვლება გათბობის მოუწესრიგებლობა. ღუმელები ისეა მოწყობილი, რომ მათი ტემპერატურა 10-11 გრადუსს არ სცილდება დერეფნებში კი—5-6 გრადუსს.

ამბულატორიის კორპუსი საავადმყოფოს შენობიდან დაშორებულია 40-50 საჟენით, რის გამო ავადმყოფები გასინჯვის შემდეგ უნდა გაატარონ ეზოში ღია ცის ქვეშ. ეს გარემოება კი ხშირად იწვევს ავადმყოფების მდგომარეობის გართულებას.

ჯანსახკომს გადაწყვეტილი აქვს: საავადმყოფოს ყველა შენობაში მოაწყოს ცენტრალური (ორთქლით) გათბობა; ქირურგიულ განყოფილებაში დაგოს პარკეტის იატაკი; ამბულატორიის და საავადმყოფოს შესაერთებლად გააკეთოს დახურული დერეფანი.

ამას გარდა გადაწყვეტილია ჰიდრო-ტერაპევტიულ კაბინეტის მოწყობა ნერვიულ განყოფილებაში, თბილი წყალის გაყვანა, ვენტილაციის მოწყობა, სამრეცხაოს და სამზარეულოს მექანიზაცია, სადეზინფექციო კამერის მოწყობა პროზექტურის გაფართოება და სხ.

დედათა და ბავშვთა დაცვის სადღიური

(თათბირი ჯანსახკომში)

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხების შესახებ, თათბირმა მოისმინა რამდენიმე მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის გაუმჯობესებაზე. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ახალ დაბადებულ ბავშვთა და მშობიარე ქალთა კონსულტაციების მუშაობა საჭირო თანხების უქონლობის გამო, ბევრგან ვერ არის შესაფერისად დაყენებული. საკონსულტაციო პუნქტების უზრუნველსაყოფად ჯანსახკომის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილებას გადაწყვეტილი ჰქონდა მთელ რესპუბლიკაში ჩაეტარებია სადღიური და ყულაბებით ფულის შეგროვება.

თათბირმა გადასწყვიტა უახლოეს ხანში ჩაატაროს სადღიური, რომელსაც თბილისში უხელმძღვანელებს სპეციალური კომისია, ხოლო სამაზრო ქალაქებში და დაბებში —სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებები.

თათბირზე განხილული იქნა აგრეთვე საბავშვო ბაგებში მომუშავე ქალთა პერსონალის (მომვლელების და აღმზრდელების) მომზადების საკითხი, ვინაიდან ამ დარგში მომუშავე ქალები ვერ არიან შესაფერისად მომზადებულნი, თათბირმა დაადგინა მოაწყოს მოკლევადიანი კურსები მათ გადასამზადებლათ.

1.033.000 მ. ფეხსაცმელი საქართველოსათვის

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში საბჭოთა კავშირიდან ამიერ-კავკასიაში შემოზიდული იქნება 2.000.000 მანეთის ფეხსაცმელი. აქედან საქართველოსთვის გამოყოფილია 1.033.000 მან., აზერბეიჯანისთვის—652.000 მანეთის და სომხეთისთვის 315.000 მანეთის ფეხსაცმელი.

საქართველოსთვის გამოყოფილი ფეხსაცმლების მთელი რაოდენობა საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა ორგანიზაციებს შორის შემდეგ ნაირად გაანაწილა: მუშკოოპს—195.000 მანეთის, აფხაზეთის კოოპ. კავშირს—68.000 მანეთის, ცეკავშირს—220.000 მანეთის, „ზაკტპს“—120.000 მანეთის, „ზაკვოენპს“—70.000 მანეთის, სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას—260.000 მანეთის და სათადარიგო ფონდში—100.000 მანეთის ფეხსაცმელი.

გარდა ამისა ამავე კვარტალში ადგილობრივ ტყავ-ტრესტის ქარხნებში შეკერილი იქნება 300.000 მანეთის ფეხსაცმელი (60.000 წყვილი).

საძოვრების საიჯარო ქირა

ამიერ-კავკ. ცაკმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით სარგებლობის საიჯარო ქირის შესახებ.

ამიერ-კავკ. ყველა კუთხეებში საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით სარგებლობისათვის დაწესებულია ერთიანი საიჯარო ქირა. ქირის რაოდენობა განსაზღვრული იქნება ყოველწლიურად ამიერ-კავკ. ცაკის განსაკუთრებული დადგენილებით.

1927—28 წელში არსებული საიჯარო განაკვეთები გადიდებული იქნება 40 პროც.; მაგრამ საძოვრების მეურნეობის სიმძლავრესთან დაკავშირებით განაკვეთი შეიძლება გადიდებული იქნეს 50 პროცენტამდე.

არსებულ განაკვეთების 40 პროც. დანარიცხიდან 25 პროც. გადაეცემა რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, საძოვრების მელიორაციის ჩასატარებლად.

ამიერ-კავკ. ფინსახკომს წინადადება მიეცა ერთი თვის განმავლობაში გამოსცეს ინსტრუქცია ამ დადგენილების გამოსაყენებლად.

ამავე დროს რესპუბლიკანურ მთავრობებს წინადადება მიეცათ: დააწესონ საძოვრების საიჯარო ქირის აკრეფის ვადები, მიღებული იქნეს ზომები, რომ აღმასკომებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა არ დაუშვან ზედმეტი გამოსაღების აკრეფა საძოვრებით სარგებლობისათვის. მიღებულ იქნეს საჭირო ღონისძიებები, რომ დამწყემსები არ იქნენ სუბიჯარათ [illegible] ანდა ფარული სახით და ყურადღება მიექცეს მომთაბარეთა კულტურული და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას სკოლების გახსნით, საექიმო დახმარების მოწყობის და სხვ. გზით.

რკინისგზებზე

დაჯახება

8 მაისს საბარგო მატ. № 453 შემადგენლობა სადგ. იიმშში გავლის დროს გაწყდა. მატარებლის გაწყვეტა თავის დროზე ვერ შეამჩნიეს. მოწყვეტილი უკანასკნელი ნაწილი [illegible] და დაეჯახა წინას. დაჯახებას შედეგად მოჰყვა ათი ვაგონის დაზიანება.

მეორე ხაზი

ამჟამად იებათ-ფუთას და ყარადაღ-სანგაჩალ შუა სწარმოებს მეორე ხაზის დაგება.

მუშათა კლუბი ხაშურში

საქციო საზოგადოება „სამშენი“ ხაშურში რკინისგზელებისათვის აშენებს დიდ კლუბს. კლუბის აგება ჯდება—83.330 მანეთი.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 11 მაისი

11 მაისს თბილისის 4 კილოვატიან რადიოსადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორიგე ამბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების—საუბარი ქართულ ენაზე.

ცეკავშირის მოხსენება—ქართულ ენაზე.

ბუზები და სხვა მწერები, როგორც სნეულებათა გამავრცელებელი და მათთან ბრძოლა—ჯანსახკომის საუბარი თურქულ ენაზე.

რადიო-მეგობართა საზოგადოების ტეხნიკური კონსულტაცია.

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან და ტრანსლიაცია.

ამ.-კავ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებების შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 10 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშათა პირველი სექციიდან: [illegible], [illegible], პაველ ბარბაქაძე, დავით ივანიშვილი და ზ. კოჩიმიროვი; გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: პარასკევა კობახიძე, გიორგი ტყეშელაშვილი, ნიკოლოზ ასათიანი, გიორგი ავალოვი და სერგო კაუხჩიშვილი; მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან: ვასილ ამანათიძე, ისაკ გეორგიანცი და ალანიანცი; მედსექციიდან: ბ. თავდიძიძე და დავით აბულაძე.

შრომის ბირჟასთან არსებულ საგარანტიო დაზღვევის საკონფლიქტო კოლეგიის დადგენილებით, საგარანტიო დაზღვევიდან მოხსნილია არჩილ დავითისძე პარესაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 10 მაისს, დღის 1-ლ საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. ს. მამულიას კაბინეტში შესდგება თათბირი რ. ს. ფ. ს. რ.-ის უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში გასაგზავნ სტუდენტების საკითხის შესახებ.

სავალდებულოა დაუგვიანებლივ გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ზახაროვი, დ. კანდელაკი, ა. გეგეჭკორი, მ. ტორომელიძე, ასრიბეკოვი ან ბედია, ფირალიშვილი, ან მხითაროვი და საქ. ახ. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელი.

—:—

დღეს, 10 მაისს, დილის 11 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. ს. მამულიას კაბინეტში მოწვეულია პროფ-ტეხნიკური განათლების გამომკვლევი კომისიის გაერთიანებული სხდომა. ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სთხოვენ დაუგვიანებლივ გამოცხადდენ: ავაქოვი, ყამაშაული, ბედია, მახათაძე, ღლონტი, ფერიაშვილი, ვ. კანდელაკი, ბარნაბიშვილი, ცხოვრებაშვილი, კანდელაკი, ა. გიორგაძე, ძამაშვილი, კვიცარიძე, ბუდილევი, ჩანკვეტაძე, ორაგველიძე, ორჯონიკიძე.

—:—

დღეს, 10 მაისს, დღის 12 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის ახ. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა,

ბიურო-კოლექტივის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ყველა ის ამხანაგი, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები კომკავშირში მისაღებად ან პარტიაში გადასარიცხავად.

—:—

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 12 მაისს, საღამოს 5 საათზე საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის ორგანიზაციო განყოფილების ოთახში (რუსთაველის პროსპ. 20)., შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

აღნიშნულ კომისიის ყველა წევრთა და აგრეთვე იმ პირთა ანკეტები, რომლებიც დამტკიცებულია თბილისის კომიტეტის მიერ, გამოცხადება სავალდებულოა.

—:—

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოდდასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიაში დღეს, 10 მაისს, საღამოს 5 საათზე (რუსთაველის პროსპ., 20).

პარადოვი, მოსესიანი, ალ. ანდრეევი, ვლად. ხელაძე, მიხ. მეღვინეჯანაშვილი, ვლად. მეგრელიშვილი, კულგინა. ჩხიკვიშვილი, მეხუზლა და მგელაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენ. საკონტრ. კომისია სთხოვს ამხ მაქსიმე ხვიჩიას, გრიგოლ ჭინჭიანს და შალვა ჯალაღანიას გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ., 24, მესამე სართული, ოთახი № 6).

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 10 მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან:

ალექსანდრე ექვთიმესძე სტურუა, ვალერიან გიორგისძე სამსონიძე, სიმონ ალექსისძე გოგიაშვილი, ივანე მათესძე ბირიულინი, იროდიონ პავლესძე კეშელავა, ონისიმე ალექსისძე ქურაშვილი, ვასილი პეტრესძე კისლუხინი, გაბრიელ გიორგისძე ხუციშვილი, ალექსანდრე პავლესძე შონია, ათანასე ივანესძე ჩხეტიანი, ვლადიმერ ზაქარიასძე მახარაშვილი, მიხეილ ნიკიტესძე ინდიკოვი, ადამ ლეონტისძე მარფაძე, ვასილი ექვთიმესძე დუმბაძე, ანდრია ეგნატესძე სულიგინი, ვართან იოსებისძე ვარანაზოვი, ათანასე გაბრიელისძე კოსტოვი, მიხეილ სერგოსძე პოპოვი, სიმონ გაბრიელისძე ნაზარეტიანი, დავით იოსებისძე მაჩიაშვილი, იაკობ ზოსიმესძე მონიავა, ნიშან მარტიროსისძე მკრტჩიანი, გაიკ პოღოსისძე ადამიანი, ვიქტორ ალექსანდრია, სოლომონ გიორგისძე დიმიტრაშვილი, იაკობ ტიმოთესძე სტეპანიკოვი, სერგო პავლესძე კალანდაძე, გრიგოლ იაგორასძე ჩანტლაძე, პავლე სალესძე კოჩინიძე, ალექსანდრე თედორესძე სკამნეევი, ალექსანდრე ეგნესესძე ბანიკოვი, ლეონტორ ანტონისძე ნადარეიშვილი, ბაგრატ ტონგიანი, მიხეილ ნიკოლოზისძე ცუცქირიძე, ყარამან ალექსანდრესძე სირაძე, ერმოლოზ ტარიელისძე რეგია, კონდრატე ელისესძე გაგუა, შალვა პეტრესძე სალაძე, მიხეილ ვასილისძე ჩუკაევი, სიმონ ნიკოლოზისძე კიკაბიძე, ვასილ პავლესძე შიროევი, ალექსანდრე ამირანისძე დათეშიძე, ვასალ ვრიკელისძე ჩიგოგიძე, ფარუხაკან ასატურისძე ავეტისიანი, გაიკ თადეოზისძე გასპარიანი, გიორგი ივანესძე სიმონიანი, ემილ ალექსანდრესძე მელიქოვი, სიმონ ბესარიონისძე გულზანი, ნიტიფორე ვლასისძე ეფრიაკოვი, კონსტანტინე არტემისძე მაზნიანი, ბაგრატ სარქისისძე გრიგორიანი, ალექსანდრე კონსტანტინესძე სმირნიცკი, თედორე ვასილისძე კარტოზენკო, სერგო ლეონტისძე ფერაძე, ილია სიმონისძე შონია, შალვა ანდრიასძე ცერაძე, პავლე არტემისძე დანჩენკო, მიხეილ ექვთიმესძე პარტიანსკი, ჰაჭენტი სიკოსისძე კაპანაძე, ალექსანდრე თომასძე ცქიტიშვილი, კალისტრატე კირილესძე გველესიანი და აგას ავეტისძე ხაჩიკიანი.

საქართველოს კომუნალურ მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრთ, რომ ა.-წ. 8 მაისს გარდაიცვალა ჩვენი კავშირის წევრი ტრამვაის მუშათა კლუბის ყოფ. ინსტრუქტორი ძველი კულტურული მოღვაწე ამხ.

ნიკოლოზ ალექსის-ძე ჭანკვეტაძე

გამოსვენება პარასკევს, ა.-წ. 11 მაისს, ბინიდან—ვეძინის ქ. № 5 დღის 3 საათზე. 2320

ღრმად დამწუხრებული რაისა ნიკოლოზის ასული ინაშვილი აუწყებს ნათესავთ და ამხანაგებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა მისთვის უძვირფასესი დაუვიწყარი მეგობარი

ნიკოლოზ ალექსის-ძე ჭანკვეტაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია დღეს, საღ. 7 საათზე. ბინა—მთაწმინდა, ვეძინის ქუჩა № 5. 2322

ღრმად დამწუხრებული დები: ვერა, ელენე, ძმები: ილიკო, ვიქტორი, კოტე. ბიძები: მიხეილი, პორფილე; მამიდა მაშუა, აუწყებენ საზოგადოებას, რომ 8 მაისს, გარდაიცვალა პირველთათვის დაუვიწყარი უფროსი ძმა, უკანასკნელთა სასიყვარულო ძმის-წული

ნიკოლოზ ალექს ს-ძე ჭანკვეტაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღ. 7 საათზე, ბინაზე—ვეძინის ქ. № 5. გამოსვენება მოხდება 11 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2321

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ვასასი და ვარლამი, დები: თამარი და ტატიანა, ძმები: აკაკი, შალვა და შოთა ქოიავები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფას, ფოთის ცხრაწლედის უკანასკნელი ჯგუფის მოწაფის

ნინა (ჩიტო) ვარლამის ას ულ ქოიავას

ხსოვნის აღსანიშნავად, კვირას, 13 მაისს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძველ აბაშაში. ნ. 1069

სამი შვილის დაკარგვით განაწამები მშობლები: ნატაშა და ვლადიმერ აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ მათი უკანასკნელი იმედის—ერთად-ერთი შვილის

პიტა ვლადიმერის-ძე თოიძის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 13 მაისს, 12 საათზე—ოზურგეთში ექადიის სასაფლაოზე. 2309

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი შვილები: გრიგოლ და მიხეილ მიხეილისძენი და რძალი თამარი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 6 მაისს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი დედა

მარიამ იაკოფის ასული ქიქიბური

რომლის გამოსვენება მოხდება დღეს, 10 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან, ელისაბედის ქ. № 90, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2316

დამწუხრებული მეუღლე გიორგი; შვილები: პლატონი, თომა, კოლია; რძლები: თეკლე, ოლია, ლიუდვი თავიანთი შვილებით; მაზლი კოწია ანთიძე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

მართა ანთიძისა

დაკრძალვა 12 მაისს ბჟოლეთში (გურია) ნ.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თამარ, მამა გიგო, დედა ოლღა, დიდედა მარიამი, დები მარიამი და ვერა, ძმები ლევანი, ლადო და არჩილი, [illegible] და სანდრიკო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს [illegible]

ნ ი კ ო [illegible]

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება ქ. გორში, ჯორჯაძის ქუჩა, № 5, 10 მაისს ნ. 1060

გორის მაზრაში მომუშავე ამხანაგები: ვ. ქურდაძე, პ. გელაძე, თ. კორსაველი, ს. ცხოვრებაშვი, ლ. გოგოლაძე, გ. გვერწითელი, გ. კალმახელიძე, ტ. ბუხრიკიძე, ტ. გურგენიძე, ა. ცაბაძე, ნ. კალანდარაშვილი, გ. ბადრიაშვილი, კ. შეროზია, გ. პაქსაშვილი, ჯინჯოლია, ა. გასიევი ი. დოლიძე მწუხარებით იუწყებიან საყვარელი და ენერგიით სავსე ახალგაზრდა ამხანაგის

ნიკო კეჩხუაშვილის

ტრაღიკულად დაკარგვას. დაკრძალვა ქ. გორში, მაისის 10-ში ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 1060

გორის მაზრის სამიწადმოქმედო განყოფილება იუწყება, რომ 7 მაისს მდინარე ლიახვში ტრაღიკულად დაიღუპა, მაზრის აგრონომი, ენერგიული და შეუდარებელი მუშაკი

ნიკოლოზ გრიგოლის ძე კეჩხუაშვილი

ნ. 1060

გორის მაზრაში მომუშავე ამხანაგები: ი. ორჯონიკიძე, ს. გერსამია, გ. ქერეჭაშვილი, შ. ბეგოიძე, ვ. ქუჩუკაშვილი, ი. ხუციშვილი, ვ. ხოზბერიძე, გ. აბულაძე ს. ორჯონიკიძე, შ. კორინთელი, ი. ოქროპირიძე, გ. ყანჩელი, დ. პაპოვი, ა. გლურჯიძე და ვ. ციმაკურიძე მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ მეგობრის

ნიკო კეჩხუაშვილის

ტრაღიკულად დაკარგვას. ნ. 1060

გორის მაზრაში მომუშავე აგრონომები—ი. ორჯონიკიძე, მამაცაშვილი, მ. ბერიტაშვილი, გამსახურდია, კარიჭაშვილი, ბაბალოვი, გ. ახალკაცი, ი. ჯორჯიშვილი, ნ. ბერძნიშვილი, ს. ვართუმოვი, ვ. ციმაკურიძე, ა. ბუჩუკური, ი. ედილაშვილი, ს. კასრაძე, ს. დემუროვი და ს. შარაშენიძე აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ ხელმძღვანელის, მაზრის აგრონ მის

ნიკო კეჩხუაშვილის

ტრაღიკულად დაკარგვას ნ. 1060

გორის სამ-აღმასკომის მუშა-მოსამსახურეები, აუწყებს საზოგადოებას, რომ ა|წ. 7 მაისს ტრაღიკულად დაიღუპა საუკეთესო მეგობარი, მაზრის აგრონომი

ნიკოლოზ კეჩხუაშვილი

ნ. 1060

გორის მაზრის სამიწად-მოქმედო განყოფილების მუშა-მოსამსახურენი გულითად მწუხარებით აუწყებენ საუკეთესო ამხანაგის

ნიკოლოზ კეჩხუაშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. ნ. 1060

გორის სატყეოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს საუკეთესო ამხანაგის გორის მაზრის აგრონომის

ნიკო გრიგოლის-ძე კეჩხუაშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას ნ. 1060

გორის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის თანამშრომლები, ღრმად დამწუხრებულნი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფასი ამხანაგის

ნიკო კეჩხუაშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას. ნ. 1060

გორის მაზრის საფინანსო-საგადასახადო განყოფილების თანამშრომელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ 7 მაისს ტრაღიკულად დაიღუპა გორის მაზრის აგრონომი

ნიკოლოზ კეჩხუაშვილი

ნ. 1060

გორის სამაზრო პროფ-ბიურო მწუხარებით აუწყებს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს, რომ ა.-წლის 7—მაისს ტრაღიკულად დაიღუპა აქტიური და დაუღალავი მუშაკი მაზრის აგრონომი

ნიკოლოზ კეჩხუაშვილი

ნ. 1060

გორის სას. სამ. საკრ. ამხ.-ბის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ ა.-წ. 7 მაისს სამსახურის აღსრულების დროს ტრაღიკულად დაიღუპა

ნიკოლოზ კეჩხუაშვილი

ნ. 1060

სოფ. სამთავისის კომუნის წევრები ულრმეს მწუხარებით აუწყებენ მაზრის გლეხობას სოფელ სამთავისის კომუნის უშუალო ხელმძღვანელის და მასწავლებლის გორის მაზრის აგრონომ

ნიკო კეჩხუაშვილის

ტრაღიკულად დაკარგვას. ნ. 1060

სასოფლო სამეურნეო და ტყის მუშაკთა კავშირის გორის სამაზრო განყოფილება აუწყებს ყველა ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ა|წლის 7 მაისს ტრაღიკულად დაიღუპა გამგეობის აქტიური მუშაკი და გორის მაზრის აგრონომი

ნიკოლოზ კეჩხუაშვილი

ნ. 1060

„სოფლის კავშირის გამგეობა“ ღრმა მწუხარებით იუწყება კავშირის საბჭოს წევრის, კოოპერატიულ მშენებლობის ერთგულ მუშაკის, აგრონომ

ნიკო კეჩხუაშვილის

უდროო და ტრაღიკულ დაკარგვას. 2317

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ელისაბედ პეტრეს ასული რჩხილაძისა, ქალიშვილი ზაინკა, მამა იროდიონ სტეფანეს-ძე მეუღლით, ძმები: ვანიჩკა მეუღლით და შვილებით, სტეფანე, კოლა მეუღლით და შვილით, ირაკლი და ვახტანგი, დები: თამარა, ელენე და ნინა, სიძეები: პავლე ტრუბინინი, ბორის გაგუა და ირაკლი მაჭავარიანი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა.-წ. მაისის 9-ს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვასილ (ვასო) იროდიონის-ძე რჩხილაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ა.-წ. მაისის 11-ს, საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე—კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზისა) № 22,—დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ე)

სახკინმრეწვის კინოები		
აპოლო	განსაკუთრებული წარმატება! ყოველდღიური ანშლაგები. მეორე კვირა. დადგმა რეჟისორ—კ. მარჯანიშვილის. ოპერატორი—ს. ზაბოზლაევი	„ბორა“
არფასტო	უცხოეთის მხატვრული სურათი	„სიკვდილი მასკარადზე“
სოლეი	უკანასკნელად თბილისში	„ნამდვილი მამაკაცი“ კარმენ ბონის მონაწილეობით
ოდეონი	პირველად თბილისში მხატვრული სურათი	„ახალი ქარი“
დარბაზი	საინტერესო სურათი	„ნიღაბი ახდილია“ (ბელვედერის ჩრდილები)
პროლეტარი ავლაბარი		

ანონსი: მალე საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული სურათი „ბოშური სისხლი“ 0—6

დღეს
კინო ოდეონ
უკანასკნელად თბილისში
ნამდვილი მამაკაცი
კარმენ ბონის მონაწილეობით

დღეს
კინო დარბაზი
პირველად—მხატვრული სურათი
ახალი ქარი
ტაუდ-კორსას, ჩუვერევის და კუჩინსკის მონაწილეობ.
ნ. 1067

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—76

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აპოფაშვილი
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—9

სახკინმრეწვი · ГОСКИНПРОМ
საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
მალე
კინო-თეატრებში
მინიონი-პალასი
სოლეი
მხატვრული სურათი
„ბოშური სისხლი“
დადგმა რეჟისორ ლ. პუშის
ნ. 1068

დავკარგე: პირადობის მოწმობა, კავშირის წიგნაკი № 7780, დამხმარე სალაროს წიგნაკი № 220, კოოპერატივის წიგნაკი № 23428, და სიღარიბის მოწმობა, ნიკოლოზ გიორგისძე კალანდაძის სახელზე, ჩ. გ. 23 3

დავკარგე: განათლების კავშირის წიგნაკი № 28352 და სამხედრო წიგნაკი № 304—ნიკოლოზ მოსეს-ძე კალანდარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2319

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

ამით აცხადებს თბილისის ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ თანახმად მისი განკარგულებისა,

საქართველოს ტყის მრეწველობის —ტრესტი—

უკვე შეუდგა 1928|29 წ. ზამთრისათვის

შეშის დამზადებას

რათა გეგმა შეწონილად იქნეს ჩატარებული სათბობი მასალის დამზადება, საჭიროა ტყის მრეწველობის ტრესტის განკარგულებაში იყოს სრული ცნობები თუ რომელ დაწესებულებას რამდენი შეშა დასჭირდება 1928/29 წლის ზამთრისათვის.

ტრესტისათვის აღნიშნული ცნობების წარდგენის ვადა გაგრძელებულია მაისის ბოლო რიცხვამდე.

ის დაწესებულება-ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ მიაწვდიან ტყის მრეწველობის ტრესტს მათთვის საჭირო რაოდენობის შეშაზე ცნობებს და არ **დასდებენ მასთან სათანადო ხელშეკრულებებს**, გამოტოვებულ იქნებიან მომავალი სათბობ სეზონისათვის შეშის მომარაგების გეგმიდან. ნ. 1065

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

დავკარგე: მუშკოოპის საწ. წიგნაკი № 16743 მარიამ ბასილოვას სახელზე, ჩ. გ. 2318

დავკარგე მუშათა მთლიან კოოპერატივის წიგნაკი № 931—გ. ბოლქვაძის სახელზე ჩ. გ.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს რომ ის 12 მაისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 32 მეჯვრის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სამუელ ჯამგარიანის მოძრავ ქონებას: ერთ ხელით საკერავ მანქანას და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 80 მან. აღმშენებელთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 16 ივლის 1927 წ. თარიღით, № 2249 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1066

ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

კოგალაძე

ამით აცხადებს, რომ ა|წ. 17 მაისს ნაშუადღევის 1-ლ საათზე დანიშნულია ფოთის სახალხო სასამართლოს დარბაზში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა პეტრე ნიკოლაძე ხარიბავას ქონების დასაკმაყოფილებლად შემდეგი მოვალეებისა: თანახმად ფოთის სახელმწიფო სანოტარო კანტორის გამგის აღსრულებითი წარწერისა პროტესტ ქმნილ თამასუქზე № 78 მარიამ (იგივე მართა) ჭკუასელის 391 მანეთი და 15 კაპ. და ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა № 414 ტარასი ურთმელაძის 148 მან. 55 კაპ. ხსენებული ქონება მდებარეობს ნაბადაში ფოთის რაიონში და შეიცავს ერთ ერთ სართულიან ხის სახლს სამი განყოფილებით, აივნით, დახურული ყავრით, ერთი ხის სამზარეულო ერთი განყოფილებით, დახურული ისლით. ქონება შეფასებულია 400 მ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარუდგინონ აღმასრულებელს ცნობა გათვალისწინებული 311—312 სამოქ. საპ. კოდ. მ. მ. მიხედვით და აგრეთვე საწინდარი 10 პროც. შეფასებული თანხიდან. ნ. 070

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. ვ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

დავკარგე: საკანდიდატო ბილეთი № 1513—ნინა ხატისკაცის სახელზე, ჩ. გ. 2318

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68